ვასილ ხიზანიშვილი

სოციალური საბაზრო ეკონომიკა (გერმანული მოდელი)

(მონოგრაფია)

გამომცემლობა ,,ლოი“
თბილისი-2020

ვასილ ხიზანიშვილი, ,,სოციალური საბაზრო ეკონომიკა (გერმანული მოდელი)“, გამომცემლობა ,,ლოი“, თბილისი, 2020 წელი, გვ. 130

მონოგრაფია წარმოადგენს პირველ ინდივიდუალურ კვლევას საქართველოში, გერმანული ეკონომიკური სისტემის არსისა და რაობის შესახებ. ვფიქრობთ, ის საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აწმყოსა და მომავლის პერსპექტივით.
ნაშრომი შესრულებულია ტიუბინგენის უნივერსიტეტში.

მთავარი რედაქტორი:
პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
საპატიო რედაქტორი:
პროფ. ჰერმან ლიხტენბერგერი
(ტიუბინგენის უნივერსიტეტი)
რეცენზენტი:
პროფ. ლოიდ ქარჩავა
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

ISBN 978-9941-9711-0-5

© ვ. ხიზანიშვილი, 2020

მსურს გამოვხატო უღრმესი მადლიერება და პატივისცემა პროფესორ ჰერმან ლიხტენბერგერის და მისი მეუღლის, ქ-ნ დორის ლიხტენბერგერის მიმართ, ადამიანური და აკადემიური მხარდაჭერისთვის, და სტუმართმოყვარეობისთვის.

მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებს, მანფრედ და ელიზაბეტ როიტერებს, და მათ დიდ და საოცარ ოჯახს, ჩემდამი დიდი ქრისტეანული სიყვარულისთვის.

მსურს გამოვხატო გულწრფელი მადლიერება და პატივისცემა KAAD-ის(კათოლიკური აკადემიური გაცვლის სამსახურის) მიმართ, არაერთგზის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

I would like to express my deepest gratitude and respect to Professor Hermann Lichtenberger and to his wife, Mrs. Doris Lichtenberger, for human and academic supports, and for the hospitality.

I would like to express my deepest thanks to my friends Manfred and Elizabeth Reutter and to their large and wonderful family for great Christian love towards me.

I would like to express my deepest gratitude and respect to KAAD (Katholischer Akademischer Ausländer-Dienst) for often financial supports.

შესავალი ---------- 6
თავი 1. სოციალური საბაზრო ეკონომიკის განმარტებისათვის ---------- 9
§ 1.1. რა არის სოციალური საბაზრო ეკონომიკა? ------- 9
§ 1.2. სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპები - 20
§1.2.1 თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრინციპი ---------- 20
§ 1.2.2 სოციალური თანასწორობის პრინციპი --------- 22
§ 1.2.3 სუბსიდიარულობის პრინციპი ---------- 24
§ 1.2.4 კონკურენციის პრინციპი ---------- 26
თავი. 2 სახელმწიფოს როლი სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში ---------- 28
§ 2.1 სახელმწიფოებრივი ამოცანა: წესრიგის პოლიტიკის ფორმირება ---------- 28
§2.2 სახელმწიფო წესრიგის პოლიტიკის დაკონკრეტება: ---------- 31
§2.3 სოციალური უზრუნველყოფა საბაზრო ეკონომიკაში ---------- 34
§ 2.3.1 სოციალური სახელმწიფოს ნიშნები. ---------- 34
§ 2.3.2 საზოგადოებრივი კონსესუსი ძირითად პრინციპებზე ---------- 35
თავი 3. სოციალური საბაზრო ეკონომიკის მამები ---- 39
§ 3.1 ვალტერ ოიკენი და ფრანც ბიომი ---------- 39
§ 3. 2 ვილჰელმ რიოპკე და ალექსანდრე რიუსტოვი--- 43
§ 3. 3 ლეონარდ მიკში ---------- 44
§ 3. 4 ლუდვიგ ერჰარდი ---------- 46
§ 3. 5 ალფრედ მიულერ-არმაკი ---------- 49
თავი 4. სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარების ფაზები ---------- 53
§ 4. 1 ორდოლიბერალიზმის დომინაციის ფაზა (1948 - 1966) ---------- 53
§ 4.1.1 სოციალური პოლიტიკის ნაბიჯები (კურსი/ სახელმძრვანელო პრინციპები) ---------- 58
§ 4.1.2 ეკონომიკური სასწაული ---------- 62
§ 4.1.3 ორდოლიბერალური ფაზის დასრულება ------ 68
§ 4. 2 გლობალური მართვის (კონტროლის) ფაზა (1967-1982) ---------- 69

§ 4.3 წესრიგის (მარეგულირებელი) პოლიტიკისა და მიწოდებაზე ორიენტირების დომინაციის ფაზა (1983 – 1989) ---------- 72
§ 4.4. გერმანიის ერთიანობა (1990) ---------- 74
§ 4.5 ცვლილება(ტრანსფორმაცია) 1990 წლიდან ------- 76
თავი 5. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ეკონომიკის ეთიკის პრიზმაში. ---------- 79
§ 5.1 სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკური საფუძვლები (დასაწყისი) ---------- 79
§ 5.2 სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკური საფუძვლები (გაგრძელება) ---------- 84
§ 5.3 სოციალურიდან ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკისკენ ---------- 92
§ 5.4 ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ანუ <<ჰუმანური ეკონომიკა>> ---------- 97
ბოლოთქმა ---------- 106
ლიტერატურა ---------- 110
განმარტებები ---------- 126

სოციალური საბაზრო ეკონომიკა (გერმანული მოდელი)

შესავალი

1950-იანი წლებიდან, ,,სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ ცნება ასევე იქცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეალური ეკონომიკური სისტემის (წესრიგის) აღმნიშვნელად.(Hans-Rudolf Peters, 2000, S. 47.) ამასთან, პრაქტიკაში, სხვადასხვა ფედერალური მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარებოდა პოლიტიკური მიზნების ცვილებას.

სწავლულთა უმეტესობა ვარაუდობს, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკა განვითარდა 1948 წლიდან, ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტური მახასიათე-ბლების შეცვლის გარეშე. სხვები ფიქრობენ, რომ რეალური ეკონომიკური წესრიგი(სისტემა) 1957 წლიდან, შესაბამისად, 1960-ანი წლებიდან აღარ შეესაბამება ლუდვიგ ერჰარდის იდეებს.(Alfred C. Mierzejewski, 2004, S. 17–27.; Martin Greiffenhagen, Sylvia Greiffenhagen, 2002, S. 553 f.; Gerhard Willke, 2006, S. 172.)

მაიკლ სპანგენბერგერის აზრით, შესაძლებელი გახდა "სოციალური საბაზრო ეკონომიკის შინაარსის ინტერნაციონალიზაცია წმინდა კაპიტალიზმის ცნებაში." (Michael Spangenberger, 2011, S. VIII.) განსაკუთრებით ე.წ. Rheinanliegerstaaten(Die Rheinanliegerstaaten sind die Nachfolgestaaten der Unterzeichner der Rheinschiffahrtsakte von 1831: Die Bundesrepulik Deutschland, Die Französische Republik Das Königreich der Niederland, Die Schweizerische Eidgenossenschaft.) ამ ქვეყნებში, ისევე როგორც სკანდინავიასა და იაპონიაში აღმოცენებული კორპორატიული ან კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის ანგლო-საქსური ეკონომიკური წესრიგისაგან

განსასხვავებლად, მიშელ ალბერტმა 1991 წელს შემოიტანა ,,წმინდა კაპიტალიზმის“ ცნება(Yūichi Shionoya, 2001, S. 199.), რითაც მან სოციალური საბაზრო ეკონომიკა წმინდა კაპიტალიზმის სახელწოდებით მონათლა.(შდრ. Werner Abelshauser,2005, S. 78.) გერჰარდ ვილკე, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას ან მის სინონიმურ წმინდა კაპიტალიზმს ხედავს, როგორც კაპიტალიზმის მოდელს, რაც რეგულირების საშუალო დონით ხასიათდება. იგი მას უპირისპირებს, ერთი მხრივ, დაბალი რეგულირების თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ალტერნატიული კაპიტალიზმის მოდელს, ხოლო მეორე მხრივ, ძლიერი რეგულირებით მმართულ ეკონომიკას და მიდის დასკვნამდე, რომ ეფექტიანობა, კეთილდღეობა და ცხოვრების ხარისხი ყველაზე მაღალია სოციალური საბაზრო ეკონომიკის კაპიტალიზმის მოდელში.(Gerhard Willke, 2006, S. 172.)

ჰერბერტ გირშისთვის, სოციალური საბაზრო ეკონომიკა, შესაბამისად წმინდა კაპიტალიზმი, რომლის თანახმადაც, მას ”კომუნიტარიზმის მინიშნება” აქვს, სიმბოლიზირებს ისეთი პიროვნებებს, როგორიცაა კონრად ადენაუერი ან ჰერმან ჯოზეფ აბსი. ამის საპირისპიროდ, იგი ხედავს ერჰარდს, ოიკენსა და ჰაიეკს, რომელთაც, მათ "წმინდა კაპიტალიზმთან", შესაბამისად, "ნეოლიბერალურ საბაზრო ეკონომიკასთან" იდენტიფიცირებს.(Herbert Giersch, 2006, S.63.)

აგრეთვე მანფრედ გ. შმიტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკურ წესრიგს(სისტემას) გამოარჩევს საბაზრო-ეკონომიკისთვის უცხო ნიშან-თვისებით/ხასიათით, განსაკუთრებით საშუალო რეგულირების სახელმწიფო კვოტისა და ეკონომიკური რეგულირების საშუალო სიძლიერის გათვალისწინებით,

რაც შესაბამისად მას განასხვავებს სოციალური საბაზრო ეკონომიკის თავდაპირველი მოდელისგან. იგი ეჭვობს, რომ ტერმინი "სოციალური საბაზრო ეკონომიკა" არ არის საკმარისი მრავალი დამკვირვებლისთვის და რომ ისინი, ეკონომიკური წესრიგის(სისტემის) აღსანიშნავად უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა "ორგანიზებული", "გერმანული" ან "წმინდა კაპიტალიზმი". (Manfred G. Schmidt, 2007, S. 367; შდრ. ასევე Thomas Meyer, 2006, S. 276.) მეორე მხრივ, გერო ტალემანი, ძირითად ფასეულობებსა და მიზნებზე ხანგრძლივი ემპირიული დაკვირვების შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკა მთლიანობაში შეიძლება ჩაითვალოს გერმანიის ეკონომიკის "რეალიზებულ კონცეფციად".(Gero Thalemann, 2011, S. 235)

თავი 1. სოციალური საბაზრო ეკონომიკის განმარტებისათვის

§ 1.1. რა არის სოციალური საბაზრო ეკონომიკა ?

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია, როგორც სახელმწიფოს მიერ მმართული ეკონომიკის ალტერნატივა, შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აღსადგენად.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა კონცეპტუალურად ემყარება იდეას, რომელიც უკვე 1930-იან და 1940-იან წლებში განვითარდა რიგ მეცნიერთა სრულიად განსხვავებული აქცენტებით, რაც დღეს, განსაკუთრებული მნიშვნელობით, ნეოლიბერალიზის გამოხატულებით არის ჩამოყალიბებული (აქ ნაგულისხმევია ნეოლიბერალიზმი, თავისი ისტორიული მნიშვნელობით. ძირითადად, ნეოლიბერალიზმი ხშირად გაიგივებულია ბაზრის ლიბერალიზაციასთან და ამ მნიშვნელობით, დიდი ხანია არაა, რაც სოციალური საბაზრო ეკონომიკის საფუძვლად მოიაზრება). ამ მიმართულების ფარგლებში, გერმანიისთვის განსაკუთრებული როლი ითამაშა ფრაიბურგის სკოლამ (იხ. ორდოლიბერალიზმი).

<<სოციალური საბაზრო ეკონომიკის>> კონცეფცია არსებითად ეფუძნება ე.წ. ფრაიბურგის სკოლის სამეცნიერო შრომებს, რომელთა მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ (პოლიტ)ეკონომისტი ვალტერ ოიკენი (1891-1950) და იურისტი ფრანც ბიომი. მათთან ერთად სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია თეორიულად შემუშავებულ იქნა ვილჰელმ რიოპკეს (1899-1966), ალექსანდერ რიუსტოვის (1885-1963), ალფრედ მიულერ-არმაკისა (1901-1978) და სხვათა მიერ, რისი პოლიტიკური განხორციელებაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოხდა ლუდვიგ ერჰარდის (1897-1977), ხოლო ავსტრიაში, - იულიუს რააბის(1891-1964) ხელმძღვანელობით. აღნიშნული ნეოლიბერალური იდეების შემდგომ განვითარებასა და გავრცელებაში,

გადამწყვეტი როლი სწორედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა ლუდვიგ ერჰარდმა (1897-1977) და მისმა სახელმწიფო მდივანმა ალფრედ მიულერ-არმაკმა (1901-1978) ითამაშეს. ამ უკანასკნელს უკავშირდება ,,სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ ტერმინის დამკვიდრებაც.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციაზე, შემდგომი მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კათოლიკურმა სოციალურმა მოძღვრებამ, შესაბამისად ქრისტეანულმა სოციალურმა ეთიკამ. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მიულერ-არმაკთან, რიოპკესთან და რიუსტოვთან. იგი ეხება, მაგალითად, ანთროპოლოგიურ საფუძველს, სადაც ქრისტეანული სოციალურ სწავლებათა(დოქტრინის) გავლენა დაიყვანება იქამდე, რომ ინდივიდუალისტური ლიბერალი ადამიანის ხატების გვერდით, ჩნდება სოციალურად დავალებული(ე.ი. სოციალური ვალდებულების მქონე) ადამიანი(Martin Nonhoff, 2006, გვ.13).[1]

სოციალურმა საბაზრო ეკონომიკამ არაპირდაპირი გავლენა განიცადა „ორდოლიბერალიზმის პროტესტანტული ღრმა გრამატიკით“.(Traugott Jähnichen, Hella Blum. 2011)[2] გარდა ამისა, სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციაში შედიოდა ფრაიბურგის წრის პრელიმინარული(მოსამზადებელი/წინასწარი) ნამუშევრებიც, რაშიც ერვინ ფონ ბეკერატის, ვალტერ ოიკენის და ფრანც ბიომის გვერდით, მონაწილეობას ასევე იღებდნენ აღმსარებელი ეკლესიის წევრები, როგორიცაა ჰელმუტ ტილიკე და, ზოგჯერ, დიტრიხ ბონჰოეფერიც.(იხ. [2], Jähnichen, Blum) საკამათოდ რჩება ის, თუ ფრანც ოპენჰაიმერის "ლიბერალური სოციალიზმი", რომელთანაც ერჰარდი სწავლობდა ფრანკფურტში და რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა მასზე, რამდენად შეიძლება იქნას მიჩნეული შემდგომი გავლენის ფაქტორად, სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე.

(Volkhard Laitenberger, 1986, S.16 ff, Werner Kruck, 1997, S.83.)[3]

თეორიულ მოსაზრებათა ამოსავალ წერტილს სოციალურ საბაზრო ეკონომიკასთან მიმართებით წარმოადგენს რწმენა იმის შესახებ, რომ აქამდე არც წმინდა ეკონომიკურ ლიბერალიზმს და არც წმინდა ცენტრალურ ადმინისტრაციულ ეკონომიკას არ მიუღწევია იმგვარი ეკონომიკური წესრიგის შექმნისათვის, რაც მისაღები იქნებოდა ასევე ჰუმანიტარული თვალსაზრისით. ამდენად, აღნიშნული კონცეფციის სულიერ მამებს სოციალური საბაზრო ეკონომიკა წარმოედგინათ ,,მესამე გზად", რომელიც ეკონომიკური პროცესების კონტროლს არ ტოვებს მხოლოდ ბაზარზე ,,უხილავი ხელის" პირობებში, ან ექსკლუზიურად (მარტოოდენ) ცენტრალური ორგანოს დაგეგმვის მოთხოვნებთან, არამედ, - ძალაუფლებისა და ცენტრალიზაციის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად და სამართლიანი განაწილებისა და თანაბარი შანსების უზრუნველსაყოფად, მათ უქვემდებარებს ex ante(წინასწარ) შემუშავებულ ჩარჩო-პირობათა პრინციპებს.(შდრ. Eucken 1949, S.18)

ამგვარად, სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის საფუძველია კონკურენტული წესრიგი, რომლის თანახმადაც, თავისუფალი მეწარმეობა, ბაზრის ეფექტიანობა, სოციალურად დაუცველთა/უმწეოთა და სოციალური სამართლიანობის დაცვა, როგორც სოციალური საბაზრო ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნები, უნდა იყოს დაბალანსებული.(შდრ. Röpke 1979, S.22 f.) ამასთან, სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორეტიკოსები, საბაზრო მექანიზმში ხედავდნენ უეფექტურეს გზას, საქონლის სიმწირის რედუქციისა(შემცირების) და მოთხოვნილებათა შესაბამისად (საჭიროებებზე დაფუძნებული) რესურსების ალოკაციისთვის(განაწილებისთვის/გამოყოფისთვის); თუმცა, მეორე მხრივ, მათი საზრუნავი იყო სოციალურად სამართლიანი ეკონომიკური წესრიგისთვის/ სისტემისთვის (შესაბამისი) ზომების მიღება და სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით, მცდარი საბაზრო

მმართველობისა და უსამართლობის თავიდან აცილება.

ამასთან ერთად, სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია გაიგება არა მხოლოდ როგორც ეკონომიკური კონცეპტი, არამედ, იმავდროულად, აგრეთვე როგორც ერთობლივი თანაცხოვრების წესრიგის პროექტი (მონახაზი), რაშიც შესაძლებელია თავისუფლების, სოციალური სამართლიანობისა და ინდივიდუალური (საკუთარი) პასუხისმგებლობის ელემენტების მორიგება. საბოლოო ჯამში, ძირითად ჰიპოთეზას (ვარაუდს/დაშვებულობას) წარმოადგენს ის, რომ სიცოცხლის მსახური/მომფრთხილებელი ეკონომიკური სისტემა (წესრიგი) წარმოუდგენელია (მისი) სოციალურ მთლიანობაში, ანუ მთლიან საზოგადოებაში ჩართვის გარეშე (შდრ. Röpke 1979, S.161f; Müller-Armack 1948, S.104). ამგვარად, სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია ემყარება იმ იდეას(მოსაზრებას/აზრს), რომ ეკონომიკური წესრიგი ერთი მხრივ დაფუძნებული უნდა იყოს სოციალურ წესრიგზე, მის ზენობაზე(ზნე-ჩვეულებებზე), ფასეულობებსა და მიზნებზე, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალურ-პოლიტიკურად სასურველი არხებით მას უნდა მართავდეს სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები (ორგანოები). („სოციალური წესრიგი“, როგორც უმაღლესი ცნება მოითხოვს განმარტებას. მასში უნდა ვიგულისხმოთ სოციალური კანონმდებლობა არა მხოლოდ ვიწრო გაგებით, არამედ, ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდებში, პროცესში და მიზნის დადგენაში. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ შიდა ადმინისტრირების ღონისძიებით; ის მეტს ნიშნავს ვიდრე საბიუჯეტო, საფინანსო და სავალუტო პოლიტიკის წესრიგი. ის ასევე მოიცავს სოციალური ბინათმშენებლობის პრობლემას, ლტოლვითა და საოჯახო პოლიტიკას, პენსიონერთა და მეანაბრეთა და რიგ სხვა ამოცანებს. ამ გაგებით, სოციალური წესრიგი გულისხმობს ადამიანური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველსა და ყველა ყოფითი სფეროს ჩვენი დროის არსებულ ხდომილებებს.).

ეკონომიკური იმპერატივები ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, სოციალურ მოთხოვნებზე

დაქვემდებარებულად, რადგან ეკონომიკის ამოცანაა მხოლოდ, ხელი შეუწყოს ამ მიზნების მიღწევას.(შდრ. Barry 1989, P.108) შესაბამისად, ეს იყო, უპირველეს ყოვლისა სოციალური მიზნები, რომელთა შესახებ მსჯელობა წარმოებდა გერმანული ეკონომიკის ეთიკის კონტექსტში. ეკონომიკის შესახებ არსებული ამ სპეციფიკური სოციალურ-პოლიტიკური ხედვით შეიძლება აიხსნას, ის თუ რატომ არის მრავალი წლის განმავლობაში სოციალური პასუხისმგებლობა გაგებული პოლიტიკის და არა ეკონომიკის ამოცანად, განსაკუთრებით გერმანიაში. ამრიგად, ის მცირეოდენი შრომებიც კი, რომელიც ექსსპლიციტურად (დაწვრილებით/აშკარად) ეხება ,,ეკონომიკის ეთიკას" (შდრ.Weddigen 1951; Walter-Raymond-Stiftung 1964), უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკაში მორალური მოთხოვნების შესრულებას განიხილავს, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ მოთხოვნებს, რომელიც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო მარეგულირებელი პოლიტიკის დახმარებით. ამასთან, განსაკუთრებული როლი ენიჭება სუბსიდიარულ (თანა)პასუხისმგებლობას, გაერთიანებების(საზოგადოებების/კავშირების) (თანა) მონაწილეობასა და საქველმოქმედო ორგანიზაციებს((Die freie Wohlfahrtspflege). ძირითადი საკითხები, როგორიცაა სამართლიანი ხელფასი(Die Lohngerechtigkeit), (მშრომელთა) მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში/კოდეტერმინაცია(Die Mitbestimmung), საპენსიო უზრუნველყოფა(Die Altersvorsorge), საკუთრების (ქონების) სოციალური ვალდებულება(Die Sozialverpflichtung des Eigentums) და ა.შ., გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რეგულირდება ეკონომიკური ჩარჩო-წესრიგით, რომელთა ე.წ. update (აქტუალიზაცია/განახლება) და შემდგომი განვითარება, პირველ რიგში მიჩნეულია როგორც სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის სფეროს ნაწილი და არა როგორც ნებისმიერი სახის კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა.

სოცილაური საბაზრო ეკონომიკა არის გერმანიის

ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური მოდელი. იგი განვითარდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკიდან. მის ძირითად ელემენტს წარმოადგენს თავისუფლების პრინციპის სოციალურ თანასწორობასთან შეკავშირება ბაზარზე, რასაც მიულერ-არმაკი ,,ირენიული ფორმულის"(Die irenische Formel, მშვიდობის ფორმულა) სახით აღნიშნავდა.(Alfred Müller-Armack, 1976, S.243)[4] აღნიშნულ მოდელში სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა, პრივილეგიების გარეშე უზრუნველყოს თავისუფალი და პატიოსანი კონკურენციის არსებობა. ამას გარდა, სახელმწიფო გადანაწილების გზით ასევე უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის ღირსეულ არსებობას და ზრუნავს მათი შანსების თანასწორობისთვის. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, თავისი ქვაკუთხედებით (თავისუფლება, კონკურენცია, საკუთრება, პასუხისმგებლობა და სოლიდარობა) ქმნის კეთილდღეობას ყველასთვის.

ზემოთ ნახსენებ უკვე ამ ფორმულირებაში ხდება ცხადი, რომ <<სოციალური საბაზრო ეკონომიკის>> წამყვანი პრინციპის მხარდამჭერები ესწრაფვიან ფასეულობებით დავალებულ წესრიგს, რომელთა საფუძვლები ემყარება ეთიკურ, რელიგიურ, ისევე როგორც ეკონომიკურ შეხედულებებს. ეს შესაძლებელია სამი ცენტარლური იდეით იქნას ნაჩვენები.

ა) <<სოციალური საბაზრო ეკონომიკის>> მიმდევრები (როგორც მანამდე კლასიკური ლიბერალები) პრინციპულად ენდობიან კონკურენციით მმართულ საბაზრო ეკონომიკას. კონკურენცია არის სასარგებლო ინსტრუმენტი; ის აწარმოებს კარგ ეკონომიკურ შედეგებს, რადგან იგი ზრუნავს (და უზრუნველყოფს) რესურსების ეკონომიურ(მომჭირნე) გამოყენებასა და ინოვაციების რეალიზებაზე(სიახლეთა განხორციელებაზე). მაგრამ, ამავე დროს, კონკურენციას ლიბერალური თვალსაზრისით გააჩნია სოციალური, შესაბამისად საკუთარი, შინაგანი ეთიკური ფასეულობა(ღირებულება). ამიტომ ის(ფასეულობა) თავად მისი(კონკურენციის)

სიკეთისთვისაა სასურველი. ამასთან, შეიძლება განვასხვავოთ სამი ასპექტი:

კონკურენციას ბაზარზე მივყავართ <<გაცვლის სამართლიანობამდე>>, ვინაიდან გაცვლაში დასტურდება გაცვლის ორივე პარტნიორის თანხმობა. გაცვლის აქტით ისინი იღებენ დიდ სარგებელს, რისი განხორციელებაც სხვა შემთხვევაში არ შეეძლებოდათ. ამდენად, კონკურენციული ფორმით არსებული ბაზარი ,,არის აქამდე ცნობილთაგან საუკეთესო საშუალება, ყველა ადამიანის სოლიდარობის ცხოვრებაში გასატარებლად". (K. Homann/F. Blome-Drees, 1992, S.49)[5] გაცვლაში ვლინდება თანამშრომლობის <<დემოკრატიული>> ფორმა. ეს მოსაზრებები ერთნაირად ეხება როგორც ლოკალურ საკვირაო ბაზრებს, ისე მსოფლიო ბაზრებს,- მზარდი საერთაშორისო შრომის დანაწილების კონტექსტში.

კონკურენცია ასევე უზრუნველყოფს თავისუფლებას და მით ქმნის წანამძღვრებს პასუხისმგებლიანი, მორალური მოქმედებებისთვის, ვინაიდან ის თითოეულ ეკონომიკურ მონაწილეს, ანუ საქონლისა თუ საწარმოო ფაქტორების მიმწოდებელსა თუ მომხმარებელს უტოვებს თავისი მიზნის თავისუფალ არჩევანს, რითაც ის სასურველი მიზნის შესაბამისად, მის განკარგულებაში მყოფი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. დაბოლოს, ასევე ინტენსივობის, ანუ უკეთესი შედეგის დასადგენად მიჰყვება თავის მიზნებს.

დასასრულს, ფ. ბიომის (F. Böhm, 1961, S.22)[6] მიხედვით კონკურენცია არის <<ისტორიის ბრწყინვალე და უგენიალურესი ძალაუფლების ჩამორთმევის ინსტრუმენტი>>. ის მოტივირებს დისციპლინას და ხელს უწყობს ეგოიზმისა და სიხარბის შეზღუდვას, ვინაიდან ის აიძულებს თითოეულ ბაზრის მონაწილეს, თავის საბაზრო პარტნიორს ემსახუროს მისთვის მისაღები ფორმით.

ბ) თავისუფლება ბაზარზე ჯერ კიდევ არასაკმარისია სოციალური უზრუნველყოფის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ვინაიდან ყველას არ შეუძლია შეესაბამებოდეს ბაზრის ფუნქციონირების კრიტერიუმებს. აქედან გამომდინარე, თითოეულ ადამიანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სათანადო საზოგადოებრივ თანაცხოვრებაში. ამიტომ, ინდივიდუალური პრინციპის გვერდით, ასევე უნდა შეიტანოს წვლილი სოლიდარობის პრინციპმა. მაშასადამე, ადამიანები ვალდებულნი არიან გვერდში დაუდგნენ ერთმანეთს. ინდივიდუალური(Das Individualprinzip) და კოლექტიური პასუხისმგებლობის(Das Solidarprizip) საგულდაგულოდ დასაბალანსებლად, ლიბერალი ეკონომისტები მხარს უჭერენ კათოლიკური სოციალური მოძღვრებიდან აღმოცენებულ სუბსიდიარობის პრინციპს(Das Subsidiaritätsprinzip). ეს ნიშნავს, რომ თითოეულს, აქვს უფლება საზოგადოებიდან აიღოს ის, რისი შესრულებაც მას არ შეუძლია. თითოეული ადამიანი უპირველესად თავად არის პასუხისმგებელი საკუთარი კეთილდღეობისთვის. თითოეულს აქვს თავისუფლება, მაგრამ ასევე - ვალდებულებაც, თავად იზრუნოს საკუთარი კეთილდღეობისთვის. არსებობს ცალკეული ინდივიდის პრინციპული უპირატესი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. სახელმწიფო თუ სხვა კოლექტივი, მხოლოდ მაშინ შეიძლება მხარში ამოუდგეს, როდესაც ცალკეულ პიროვნებასა თუ მის ოჯახს, ამ ამოცანის გადაწყვეტა არ შეუძლია. ცალკეულის თვითდხმარებას და მცირე, არასახელმწიფო გაერთიანებების(თემების, ჯგუფების) დახმარებას უნდა ჰქონდეს უპირატესობა დიდი სოციალური ერთობის, განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ სუბსიდიარულ დახმარებასთან მიმართებით. ინსტრუმენტალურ დონეზე, ეს ნიშნავს

სოციალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებას ცალკეულისა თუ მისი ოჯახის საჭიროებებისადმი, როგორც ამას ადგილი აქვს სოციალური დახმარებისა თუ საბინაო (ფულადი) შემწეობების შემთხვევაში. საჯარო დაწესებულება უზრუნველყოფს სუბსიდიარულ დახმარებას, უკანასკნელი უსაფრთხო ქსელის (უსაფრთხოების ბადის) თვალსაზრისით. ამასთან ერთად, ამ კონცეფციის მიხედვით, სახელმწიფოს უპირველისი ამოცანაა, სავალდებულო ქმედებათა ჩარჩოს განსაზღვრა. აქ შეიძლებოდა გვესაუბრა სოციალური ჩარჩო პოლიტიკის /სოციალური პოლიტიკის სტრუქტურის შესახებ.

გ) <<სოციალური საბაზრო ეკონომიკის>> წარმომადგენლებს არ სჯერათ თავისთავად რეგულირებადი საბაზრო სისტემის ბუნებრივი წესრიგისა და ამიტომ, კლასიკური ლიბერალების საპირისპიროდ მოითხოვენ <<ძლიერ>> სახელმწიფოს. მან უნდა შექმნას ყველასათვის ფასეული მარეგულირებელი სტრუქტურა (Die Ordnungsrahmen), რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ თავისუფლებასა და კონკურენციას ბაზრებზე. <<ძლიერი სახელმწიფო>> არ არის ისეთი სახელმწიფოებრივი წყობა, რომელიც უნივერსალურად(ყოვლისმომცველად) მოქმედებს და სელექციურად(შერჩევით) ერევა ეკონომიკურ პროცესში, რათა დაიცვას ან ხელი შეუწყოს ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესებს. მსგავსი სელექციური ინტერვენციონიზმი ასუსტებს არა მხოლოდ ეკონომიკის ქმედითუნარიანობას, არამედ ასევე ანგრევს და ძირს უთხრის სახელმწიფოს როგორც მორალურ, ისე ეკონომიკურ საფუძვლებს. პირიქით, ძლიერი სახელმწიფო ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია უკუაგდოს პარტიკულარული(ნაწილობრივი/ცალკეული)

ინტერესი, რათა ეკონომიკისთვის შექმნას კონსისტენტური (შემადგენლობითი/მყარი) და სამართლიანი/პატიოსანი მარეგულირებელი სტრუქტურა. ეს განსაკუთრებით ნიშნავს თანამიმ-დევრულ კონკურენციულ პოლიტიკას კარტელებისა და გაერთიანებების წინააღმდეგ, მათი ეკონომიკური ხელისუფლებიდან(ძალაუფლებიდან) ჩამოსაშორებლად. ეს არის მარეგულირებელი (ნორმატიული) საკითხის არსი და ამასთანავე, - საბაზრო ეკონომიკური წესრიგის ცენტრალური ეთიკური შინაარსიც. მისი განსაკუთ-რებულად გარკვევით ფორმულირება მოახდინეს ჰომანმა და ფ. ბლომე-დრესმა. მათი ძირითადი თეზა ჟღერს ასე: << მორალის სისტემური ადგილი საბაზრო ეკონომიკაში არის ჩარჩო-წესრიგი>>.(იხ. [5], S. 35.) ეს მოსაზრება შეიძლება ახსნილიყო საფეხბურთო მატჩის ანალოგიით. თამაშის წინაპირობას წარმოადგენს თამაშის წესები, რომელთა დაცვის გარანტორიც მთელი თამაშის მსვლელობის მანძილზე არის მსაჯი. ანალოგიურად, საბაზრო ეკონომიკისგან ჩარჩო-წესრიგის განსასხვავებლად არის თამაშის წესები, რომლებიც ეთიკურ მოსაზრებათა მიხედვით უნდა იქნეს აგებული, და თამაშის მსვლელობა, კონკურენციული ქმედებები, რომელთაც შეუძლიათ შედეგზე (ეფექტიანობის მოსაზრებებზე) იყვნენ ორიენტირებულნი, თამაშის წესების პრინციპული დაცვით, ისინი საკუთარ თავში ატარებენ მორალურ გამართლებას. სახელმწიფოს დაკისრებული აქვს (მიუკერძოებელი) მსაჯის ფუნქცია, ის უწევს ზედამხედველობას წესების დაცვას; კონკურენციული პოლიტიკის დახმარებით მაგ., ის ზრუნავს, შეზღუდოს კერძო ძალაუფლება. ზნეობრივი საკითხები (როგორიცაა მაგ., დასაქმებულთა(თანამშრომელთა, მუშაკთა) (თუ გარემოს დაცვის კანონის შემოღება და წესების

უზრუნველყოფა) არის არა კომპანიისადმი მორალური მოწოდებით მოთხოვნილი/ნაკარნახევი, არამედ წესრიგის დონეზე დაკანონებული. მხოლოდ წესების ამგვარი კონკურენციულად ნეიტრალური მოქმედებით არის შესაძლებელი დაიძლიოს პატიმრების დილემატა(Die Gefangendilemmata). პარალელურად ჩნდება და მიმდინარეობს ეკონომიკური და მორალური მისწრაფებები.

მაშასადამე, სოციალური საბაზრო ეკონომიკა მეტია, ვიდრე კეთილდღეობის მანქანა, რომელსაც პოლიტიკურად სასურველი შედეგები მოაქვს. ის არის ფასეულობებს შეწონილი წესრიგი, რასაც მისი თავისუფლების გარანტიის(საწინდრის) გამო, მორალური ხარისხი უნდა მიენიჭოს. ის, მისი მხარდამჭერების მიერ რასაკვირველია არ გაიგება ერთხელ და სამუდამოდ როგორც მზა წესრიგი; ის ღიაა და გააჩნია მომავლის პერსპექტივა(გეგმები) იმგვარ ახალ გამოწვევებთან მიმართებით, როგორიცაა ეკოლოგიური კრიზისი თუ გლობალიზაცია.

§ 1.2. სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპები

სოციალური საბაზრო ეკონომიკა არ ასახავს დახურულ კონცეფციას და არც თეორიულ სისტემას. სოციალური საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს მუდმივი ტესტირების საგანს, თუმცა იმავდროულად მაინც ღიაა და ფლექსიბელური(მოქნილი) ახალ გამოწვევებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპთა კონკრეტული ფორმირება რჩება თანამედროვე საზოგადოების აქტუალურ მიზნად. რასაკვირველია, ეს გახსნილობა არის უპირატესობა, როგორც წინაპირობა ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციისთვის. მაგრამ, ის ასევე ნაკლოვანებაცაა, რადგან ,,სოციალური კომპონენტების" დაკონკრეტება შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნას გაგებული და ,,სოციალურის" ცნება, - ბოროტად გამოყენებული.

სოცილური საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებრივი და სამეურნეო წესრიგისათვის მოხდა სამეცნიერო შრომებისა და პრაქტიკულ გამოცდილებათა ერთმანეთთან დაკავშირება. კონცეფციაში ვხვდებით ეთიკურ, ფილოსოფიურ და რელიგიურ მოსაზრებებს, კათოლიკური სოციალური მოძღვრება და პროტესტანტულ ტრადიციაში მყარად ფესვგადგმული მეცნიერება, ღრმად აღწევს გერმანულ საზოგადოებრივ და სამეურნეო მოდელში.

სახელმწიფოს ეკონომიკური წესრიგის(სისტემის) სოციალურად მოწყობა ეფუძნება რიგ კატეგორიებს, რომელთაც ქვემოთ შევეხებით.

§ 1.2.1 თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრინციპი

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია უპირატესად ფასეულობებით არის დეტერმინირებული, კერძოდ კი, - ინდივიდის თავისუფლებითა(E. Tuchtfeldt, 1994, S. 84)[7] და პასუხიმგებლობით. თავისუფლება, როგორც პლურალისტული საზოგადოების საფუძველი,

თითოეულს აძლევს ინდივიდუალური სურვილებისა და წარმოდგენების განხორციელების შესაძლებლობას. ,,მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანს შეუძლია თავისუფალი გადაწყვეტილების მიღება, ის შეძლებს კარგისა(კეთილისა) და ცუდის(ბოროტის) გარჩევას, მას შეეძლება მორალური გადაწყვეტილების მიღება“.(E. Hoppmann, 1993.)[8] თავისუფლება, როგორც ,,რაღაც მთლიანი და განუყოფელი“(L. Erhard, 1988b, S.352.)[9] მოითხოვს ნებისმიერი ძალაუფლების შეზღუდვას. მხოლოდ საბაზრო ეკონომიკური წესრიგი შეიცნობს და აღიარებს ინდივიდუალურ სურვილებსა და საჭიროებებს. თანახმად ამისა, საბაზრო ეკონომიკურ წესრიგში რეალიზებულია თავისუფლების განსხვავებული ფორმები, ისეთი, როგორიც არის პროფესიული და ეკონომიკური(საწარმოო-სავაჭრო) თავისუფლება, ხელშეკრულების, გაერთიანებისა და ინვესტიციის თავისუფლება.

რა არის თავისუფლება ? თავისუფლება არის სამოქალაქო უფლება, რომლის ხელყოფის უფლებაც არავის აქვს. თავისუფლება არის რაღაც მთლიანი და განუყოფელი, და მიზანშეწონილობის საფუძველზე არ შეიძლება მისი დაცვა ან უგულვებელყოფა. დემოკრა-ტიულ საზოგადოებაში თავისუფლება ჭეშმარიტად უფლებაა. მაგრამ თავისუფლება არ ნიშნავს ანარქიას, ადამიანების თვითნებობასა და სულერთიაობას, არამედ ის დასაზღვრულია: ადამიანთა(თანამოძმეთა) თავისუფ-ლებასა და უფლებებში, ისევე როგორც, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ვალდებულებაში პოულობს ინდივიდუ-ალური თავისუფლება თავის საზღვრებს. პიროვნული თავისუფლების კატეგორია პირდაპირ კავშირშია ზნეობასთან. ყოველი ადამიანი ატარებს თავისუფლების

სტიგმას და ის მით უფრო დიდია, რაც უფრო მაღალია მისი ზნეობის ხარისხი. თავისუფლება არ ნიშნავს კაპერობას (დაჭერა/დატუსაღება), არც უპასუხისმგებლობას.

თავისუფლების თანამდევია პასუხისმგებლობა. პირველის გარეშე არ არსებოს მეორე და პირიქით. პასუხისმგებლობა არა მხოლოდ სამართალაღსრულების, არამედ უპირველესად წესრიგის ცნებაა, მეტიც, ის ზნეობის უმაღლეს კატეგორიას წარმოადგენს. ამასთან, პერსონალურ განზომილებაში, თვითოეული ატარებს პასუხისმგებლობას საკუთარი სინდისის, მოყვასის, ღვთისა და კანონის წინაშე. ,,გერმანული ეკონომიკური სასწაულის" შემოქმედის, ეკონომიკის მინისტრის, ლუდვიგ ერჰარდისეული ხედვა სოციალური საბაზრო ეკონომიკის შესახებ ჩანს შემდეგში: ,,თავისუფლების პრინციპი ბაზარზე, სოციალურ თანასწორობასთან და თითოეულის ყველას წინაშე ზნეობრივ პასუხის-მგებლობასთან უნდა დავაკავშიროთ".(L. Erhard,1988a, S. 515.)[10] ამით უკვე ჩანს სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელის ძირითადი პრინციპები(მონახაზი/კონტურები). ამდენად, თავისუფლება და პასუხისმგებლობა წარმოადგენს ,,სოციალური საბაზრო ეკონომიკის" მედლის ორ მხარეს.

§ 1.2.2 სოციალური თანასწორობის პრინციპი

სოციალური თანასწორობა პირველ რიგში გულისხმობს შემოსავლების სამართლიან განაწილებას და მეორეც, ის გაცილებით მეტია, ვიდრე ბაზრის სისტემის უცხო დანამატი.

მაშინ როდესაც ადამიანთა დიდი რაოდენობა, თავის შემოსავალს იღებს ბაზარზე არსებული მომსახურების სანაცვლოდ, <<ვერ უარვყოფთ, რომ თანამედროვე

ინდუსტრიულ ეკონომიკაში საუკეთესო ეკონომიკური პოლიტიკაც კი სოციალური საბაზრო ეკონომიკის სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებებით უნდა იქნას შევსებული>>.(L. Erhard,1988e, S.462.)[11] თუმცა, ერჰარდი იმავდროულად შენიშნავს, რომ მით უფრო ნაკლები სოციალურ-პოლიტიკური დახმარება იქნება საჭირო, რაც უფრო წარმატებული იქნება ეკონომიკური პოლიტიკა. და: წარმატებული სოციალური დახმარება შესაძლებელია მხოლოდ ეფექტური ეკონომიკის საფუძველზე.

სოციალურ-პოლიტიკური დახმარებებით ხდება მოხუცებულთა, ავადმყოფთა, ბავშვთა და შრომის-უუნაროთა ადამიანური ღირსების შესაბამისი ცხოვრებით უზრუნველყოფა. თუმცა, სოციალური პოლიტიკა ასახავს სუბსიდიარულ ელემენტებს. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და პერსონალური (ინდივიდუალური) უზრუნველყოფა ცალკეულთათვის კვლავაც საგრძნობია. მასში ოიკენმა სცნო >>ახალი სოციალური საკითხი<<(W. Eucken, 1948, S. 119.)[12], რაც სახელმწიფოს რეპრესიული(შემავიწროებელი) დამოკიდებულებით, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური არასაიმედოობით შეიცავს ადამიანური თავისუფლების დაკარგვის საფრთხეს. ერჰარდი ამ კავშირთან მიმართებით საუბრობს >>სოციალურ ქვეშევრდომზე<<.(იხ.[11],გვ.465] გარდა ამისა, სოციალური დაცვა ასევე ყოველთვის ნიშნავს ბატონობას. თუ სოციალური(საყოველთაო კეთილდღეობის) სახელმწიფო ზრუნავს მთელი მოსახლეობის მხარდაჭერასა და ხელშეწყობაზე, აგრეთვე მათ თანასწორობაზე, იგი ამავე დროს იძენს უფლებამოსილებას საკუთარ მოქალაქეებზე, რა დროსაც სტიმულირებს(ხელს უწყობს/წააქეზებს) შესაბამის ზეწოლას, კონფორმულო-

ბასა (შემგუებლობა/პასიური მიღება) და ჰომოგენურობას (ერთგვაროვნება), რადგან ადამიანები ადაპტირდებიან სისტემის ფუნქციონალურ პირობებთან. ზღვარგადასული კეთილდღეობის სახელმწიფო იწვევს ინფანტილიზაციას (ფსიქო-ფიზიკურ ჩამორჩენილობას/ განვითარების შეჩერებას), ასე რომ, ადამიანი, რომელზეც სახელწიფო ზრუნავს, მას იგივე სახელმწიფო პასუხისმგებლობას აკისრებს ყველაფერზე, რითაც ის მკვეთრად ზღუდავს თავისი მოქალაქის ინიციატივიანობასა და მოქმედების დამოუკიდებლობას.

§ 1.2.3 სუბსიდიარულობის პრინციპი

უდავოა, რომ ეგზისტენციალური საგანგებო სიტუაციების დაძლევა-აღმოფხვრა სახელმწიფოს ლეგიტიმურ ამოცანას წარმოადგენს. სოლიდარობის ეს ფორმა, როგორც უკიდურესი საშუალება (= სოციალური დახმარება), შეიძლება იმავდროულად გაგებული იქნას, როგორც ქრისტეანული მოყვასის სიყვარულის ანონიმური ფორმა. ეს განიზომება (და ფასდება) არა მხოლოდ იმით, რომ ყველას უნდა შეეძლოს ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ყველას აქვს სოციალური თანამონაწილეობის უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადამიანები არიან. ეკონომიკური განვითარების პროცესში, მრავალი მცირე ინტერესისა და პასუხისმგებლობის ჯგუფის გაუჩინარებით, უსაფრთხოების ეს ელემენტარული ამოცანა სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება.

ამასთან, კათოლიკურ სოციალურ მოძღვრებაში ფორმულირებული სუბსიდიარულობის(სუბსიდირების) პრინციპთან დაკავშირებით, სოლიდარობა და სამართლიანობა კონკურენციულ წესრიგში(სისტემაში) განიცდის თავის ობიექტურ დასაზღვრულობა-შეზღუ-დვებს. ეს სოციალურ-ეთიკური პრინციპი წარმოადგენს ინდივიდის ფასეულობათა შეფასების(გაგების)

გამოვლინებას, რომელსაც სურს საკუთარი ცხოვრებისეული იდეებისა და საკუთარი პასუხისმგებლობის მიხედვით ჩამოაყალიბოს თავისი ცხოვრება, რაზეც მას და არა საზოგადოებას უნდა ჰქონდეს თავდაპირველი უფლება. ამგვარად, სუბსიდიარულობის პრინციპი არის თანამედროვეობაში შემუშავებული პიროვნული პასუხისმგებლობის კონცეფციის გამოხატულება. მეორე მხრივ ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში არის საჭირო, თუ ინდივიდი (ან მისი ოჯახი) ვერ შეძლებს თავი გაართვას დასახულ ამოცანებს. სუბსიდიარულობის პრინციპი არა მხოლოდ ასრულებს სოციალურ-ეთიკური ლეგიტიმაციის ფუნქციას, არამედ იმავდროულად აყალიბებს პრაქტიკული სიბრძნის პოსტულატს, კერძოდ, შრომის მიზანშეწონილ დანაწილებას საზოგადოებაში პასუხისმგებლობის სხვადასხვა დონეზე. იგი ეხება ეფექტიანობის ასპექტს იმ კუთხით, რომ მოითხოვს ინტერესთა და კომპეტენციათა შესაბამისობასა და სრულ ურთიერთთანხვედრას.

სუბსიდიარულობის პრინციპი ემყარება იდეას >>დახმარება თვითდახმარებისთვის <<, რისი მიხედვითაც არსებობს რწმენა და მზაობა თითოეული ადამიანის შემოქმედებითი, თვითგანსაზღვრული ცხოვრების შესახებ, რაც ფაქტობრივად უკავშირდება მშრომელი საზოგადოების არსებობას, ე.ი. პრინციპში თითოეულს შეუძლია საკუთარი არსებობისთვის საჭირო ფულის თავად გამომუშავება. საგანგებო სიტუაციებში საარსებო მინიმუმის დონის უზრუნველყოფა შეიძლება განმარტებული იქნას, როგორც მინიმალური კონსესუსის ერთგვარი ფორმა, რომელზეც საზოგადოების ყველა წევრი თანხმდება სოციალურ კონტრაქტში.

ამასთან, არსებობენ ადამიანები, რომლებიც დაბადებიდან ავადმყოფობენ ან შეზღუდული შესაძლებლობების არიან; თვითდახმარება და სადაზღვევო საშუალებები მათთვის საკმარისი არ არის, ამიტომ ინდივიდუალური დახმარება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ. სწორედ ამას გულისხმობს

ოიკენი, როდესაც ის ასევე საჭიროდ მიიჩნევს სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო დაწესებულებების არსებობას მაგ., უნარშეზღუდული ან ფსიქიურად დაავადებული ადამიანებისთვის. ამასთან, ეს განსაკუთ-რებული სოციალური პოლიტიკა ეწინააღმდეგება ოიკენისვე თვითმმართველობის სახელმწიფო პოლიტიკურ პრინციპს, რომ სახელმწიფო მოქმედება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ წესრიგის ფორმების ორგანიზებით.

§ 1.2.4 კონკურენციის პრინციპი

კონკურენცია, როგორც ისტორიის შესანიშნავი და უგენიალურესი ძალაუფლების ჩამორთმევის ინსტრუმენტი(იხ. [7]) ზრუნავს იმისთვის, რომ მომხმარებელი, სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონკურენტული წესრიგის ცენტრში იმყოფებოდეს. კონკურენციული საბაზრო პროცესი ძლევს მართვის/ კონტროლის და განაწილების პრობლემებს და ზრუნავს მოხმარების თავისუფლებისთვის, რაც ცენტრალურ სოციალურ საკითხს წარმოადგენს. კონკურენცია პროვოცირებს (და ასტიმულირებს) ინოვაციებსა და ტექნიკურ პროგრესს, კრეატიულობასა და დისციპლინას, ზრუნავს ეფექტიანი წარმოებისათვის, და შემოსავლებისა და მოგების განაწილებას ახდენს მხოლოდ და მხოლოდ დამსახურებათა მიხედვით. მხოლოდ ეფექტიანობის კონკურენცია ხდის <<გაცვლის სამართლიანობას>> შესაძლებელს, რისი მიხედვითაც, გაცვლა მხოლოდ და მხოლოდ თანხმობითა და ორივე გაცვლის პარტნიორის სასარგებლოდ მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, კონკურენცია წარმოადგენს ყველა ადამიანის სოლიდარობის რეალიზების აქამდე ნაცნობ საუკეთესო საშუალებას>>.(K. Homann, 12 September 1996.)[13]

ქმედითი კონკურენციის საჭიროებას, როგორც წარმატებული ხელახლა აღმშენებლობის წინაპირობას, ლუდვიგ ერჰარდი 1947 წელს გადმოსცემს შემდეგი სიტყვებით: <<მხოლოდ ყველა საწარმოო ფაქტორის რაციონალური კომბინაციით, რისი მიღწევაც მხოლოდ უმძიმეს კონკურენციაში არის შესაძლებელი, გერმანელ ხალხს სთავაზობს ცხოვრების შესაძლებლობისა და თანდათანობითი ეკონომიკური და სოციალური გაჯანსაღების რეალურ შანსებს.(L. Erhard, 1988c, S. 94.)[14] რადგან ,,კონკურენციის შოლტი>> მუდმივად მაღალმწარმოებლურობას(მაღალეფექტიანობას) ითხოვს, კომპანიასთან არსებობენ <<ძალები, რომელთათვისაც კონკურენცია ხდება მომაბეზრებელი>>(L. Erhard, 1988d, S. 226.)[15] და რომელთაც შეუძლიათ, შეეცადონ მის შერბილებას. ამიტომ სახელმწიფოს მნიშვნელოვან ამოცანას განეკუთვნება, კონკურენციული პოლიტიკის საშუალებით ქმედითი, ეფექტიანობაზე ორიენტირებული კონკურენციის მიღება.

თავი. 2 სახელმწიფოს როლი სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში

§ 2.1 სახელმწიფოებრივი ამოცანა: წესრიგის პოლიტიკის ფორმირება

მთელ მსოფლიოში, საზოგადოებები, რომლებიც ხასიათდებიან შრომის დანაწილებითა და სპეციალიზაციით, და რთული გაცვლითი ურთიერთობების ზრდით, ისევე როგორც აქედან დაკავშირებული ინდივიდთა მაღალი ორმხრივი ურთიერთ-დამოკიდებულებებით, მოითხოვს კონკრეტულ წესრიგს. აღნიშნული წესრიგის აგებისა და შენარჩუნების პროცესი განიხილება წესრიგის პოლიტიკად. ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ჰუმანური(ადამიანის ღირსების შესაბამისი) წესრიგი არა თავისთავად, ანდა ისტორიული გარდაუვალობით ჩნდება, არამედ საჭიროებს გაცნობიერებულ პოლიტიკურ ფორმას. ამდენად, წესრიგის პოლიტიკა განეკუთვნება სახელმწიფოს პრიორიტეტულ ამოცანათა სფეროს. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში, წესრიგის პოლიტიკით იმგვარად ხდება ცალკეულთა (ინდივიდუალური) გადაწყვეტილების მიღებისა და შესაძლებლობათა (სამოქმედო სივრცის) შეზღუდვა-დასაზღვრა და დადგენა-დასისტემება, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და შესაბამისად, მისი ძირითადი არსი გარანტირებული და შენარჩუნებულია.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი არის კონკურენციის წესრიგი. ის ეფუძნება დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს, რომელთა მიხედვით არა ადამიანები, არამედ კანონები უნდა ბატონობდეს. ამის გამო, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება თანმიმდევრულად დასაზღვრულია, ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმღებნი იძენენ პერსონალური დამოუკიდებლობის არაავტორიტარულ (არაბრძანებლურ) სივრცეებს. ამრიგად, სახელმწიფო წესრიგის პოლიტიკას გააჩნია ფუნქციური კონკურენციისთვის საჭირო სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობებით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა.

თუმცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში არ არის განსაკუთრებული წესები ეკონომიკური წესრიგისთვის, ამისდამიუხედავად, ფუნდამენტური უფლებები, ხელშეკრულებისა და კოალიციის თავისუფლება, კერძო საკუთრების გარანტია, სამართლებრივ და სოციალურ პრიციპებზე დაფუძნებული წესები, ისევე როგორც ფედერაციული სტრუქტურა წარმოადგენს სოციალური საბაზრო ეკონომიკის საფუძველს და განამტკიცებს ურთიერთდამოკიდებულებას სახელმწიფოებრივ წესრიგს, ეკონომიკურ წესრიგსა და საზოგადოებრივ წესრიგს შორის.

სახელმწიფო წესრიგის პოლიტიკა, ნაცვლად ეკონომიკური პროცესების მართვისა, წესებით, ინსტიტუციებითა და ნორმებით მიმართული უნდა იყოს წესრიგის ფორმების გრძელვადიან ჩამოყალიბებაზე. პირდაპირი სახელმწიფო ინტერვენციები(ჩარევები) კერძო გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში, აღინიშება როგორც პროცესის პოლიტიკა. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში წესრიგის პოლიტიკა და პრიორიტეტი, პროცესის პოლიტიკის საპირისპიროდ, ერთურთს უახლოვდება (და შეესაბამება). ორივეს შორის არსებობს სუბსიდიარულობა(Subsidiarität): რაც უფრო წარმატებულია წესრიგის პოლიტიკა, ფუნქციონალური/ქმედუნარიანი კონკურენციული წესრიგის მიღწევისას, მით უფრო მეტად შეძლებს პროცესის პოლიტიკა უკან დახევას.

წესრიგის პოლიტიკისა და პროცესის პოლიტიკის გასარჩევად, სახელმწიფოს მოეთხოვება დიდი პასუხისმგებლობა: ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკური წესრიგი ნიშნავს არა მთელ ავტომატიკას. მიულერ-არმაკი ამ ურთიერთკავშირზე საუბრობს როგორც ნახევრად ავტომატურზე, რომელიც რაციონალ პირობას საჭიროებს. ამასთანავე, წესრიგის პოლიტიკის მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა ძლიერი სახელმწიფო. მაგალითად, ეკონომიკური და სოციალური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად. მეორე მხრივ, სახელმწიფო

თავად უნდა შეიზღუდოს იმისათვის, რომ გარანტირებული იქნას ინდივიდუალური გადაწყვეტილებისა და მოქმედების თავისუფლება. ამდენად, ის წინ უნდა აღუდგეს მუდმივად პუნქტუალურ ინტერვენციათა ცდუნებას და მაგალითად, დამოუკიდებელი ფედერალური ბანკის ფულადი პოლიტიკის გადაწყვეტილების, ანდა სატარიფო ავტონომიის სფეროში უზრუნველყოს ავტონომიურობა.

კერძოდ, ჩარჩო-პირობებსა თუ რეგულირების ფორმებზე დაფუძნებულ სახელმწიფოში, თავს იჩენს დაძაბულობა კონკურენციული პროცესების სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების დროს: ერთი მხრივ, სოციალური თანასწორობა წარმოადგენს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ინტეგრალურ(განუყოფელ) ნაწილს. თუმცა, ამით არსებობს ცრუ სიგნალების საშიშროება: გადასახადის გადამხდელს დაემუქროს სერვისზე (მომსახურებაზე) უარის თქმის საფრთხე, მომსახურების მიმღებს, - კეთილდღეობის სახელმწიფო მენტალიტეტი. ამიტომ მეორე მხრივ, სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს დაძაბულობის ისე განმუხტვა, რომ არც გადამხდელმა და არც მიმღებმა არასწორი სტიმულები არ აღძრას (და მცდარი სიგნალები დააგზავნოს). <<სოლიდარულობისა და სუბსიდიარულობის წესრიგის პრინციპები ახლად უნდა განისაზღვროს და კვლავ რაციონალურ დამოკიდებულებაში მოვიდეს>>(Schlecht 1994, S. 12).[1] კერძოდ, ეს შეიძლება მიღწეულ იქნას სოციალური საბაზრო ეკონომიკის სუბსტანციის(არსის) წესრიგის შესაბამისი, მაშასადამე არადამაზიანებელი ფორმით.

სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში, წესრიგის პოლიტიკამ მთლიანად უნდა ჩართოს საბაზრო ეკონომიკური ეფექტიანობა და საზოგადოებრივი თანასწორობა ჰარმონიულ ურთიერთდამოკიდებულებაში და ჰპოვოს თავისუფლებისა და ვალდებულების სინთეზი, რომელიც სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკურ მოთხოვნებს (და)აკმაყოფილებს. საბაზრო ეკონომიკური წესრიგის ფუნქციონირების

ხანგრძლივი დროით უზრუნველყოფა საჭიროებს გაცნობიერებულ სახელმწიფოებრივ ფორმას. ამასთან, მიღწეულ უნდა იქნას <<ბაზრის სიტუაციის ხდომილების გარდაუვალობასა და ძალისხმევის/მცდელობის შეხედულებებს შორის სინთეზი, ამ საბაზრო ეკონომიკური ორგანიზაციის სტრუქტურის სოციალურ პროგრესთან>> (Müller-Armack 1974, S. 221)[2] შეკავშირებით.

ეს მიიღწევა სოციალური საბაზრო ეკონომიკის <<იდეის სისხარტით>>: მრავალრიცხოვან ინდივიდუალურ, დეცენტრალიზებულ პრეფერენციათა და გადაწყვეტილებათა კოორდინაცია ბაზრის წესებისა და ელემენტების შესახებ არის მეტად საჭირო, როდესაც მიღწეულ უნდა იქნას ეფექტური ეკონომიკა და შესაძლებელი თავისუფალი თანაცხოვრება ღია საზოგადოებაში. მაგრამ ეს უნდა შეიზღუდოს და კანალიზირდეს(დაირაბვოს) სახელმწიფო ჩარჩო-წესრიგით, რითაც ცალკეული ეკონომიკური ქმედება არ აღმოჩნდება წინააღმდეგობაში სხვათა სოციალურ მიზნებთან და თავისუფლებასთან (Schlecht 1990, S. 43).[3]

§ 2.2 სახელმწიფო წესრიგის პოლიტიკის დაკონკრეტება:

კონსტიტუტიური და მარეგულირებელი პრინციპები

კონკურეცნიული წესრიგის სახელმწიფო ჩარჩო-პირობებს განეკუთვნება ვალტერ ოიკენის კონსტიტუტიური (ძირითადი/ფუძემდებელი) და მარეგულირებელი პრინციპები (Eucken 1952, S. 241 ff.)[4]:

ა) სოციალური საბაზრო ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს კერძო საკუთრება, რომელიც არაუფლებამოსილ პირთა მიღებას გამორიცხავს. იმ დროს, როდესაც კოლექტიურ საკუთრებას შედეგად კოლექტიური უპასუხიმგებლობა მოსდევს, კერძო საკუთრება

უზრუნველყოფს პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას საკუთრებასთან მიმართებით, რადგან გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა შედეგები, როგორც წესი ინდივიდუალურად შეიძლება იქნას მიჩნეული. გარდა ამისა, კონკრეტული პასუხისმგებლობის რეგულაციები (გამაფრთხილებელი ზომები) აძლიერებს საკუთრების მიმართ მზრუნველ მოპყრობას.

ბ) მხოლოდ კონვერტირებადი და სტაბილური ფული უზრუნველყოფს კავშირს მსოფლიო-ეკონომიკურ ე.წ. scarcity prices-თან და ზრუნავს დაუმახინჯებელი ფასებისთვის და ფასთა კავშირისთვის (თანაფარდობისთვის), რაც მწარმოებლებსა და მომხმარებლებს საინვესტიციო და სამომხმარებლო გადაწყვეტილებებისთვის კალკულაციისა და დაგეგმვის უსაფრთხოებას (და საიმედოობას) ანიჭებთ.

გ) თავისუფალი ფასწარმოქმნა ბაზრებზე იწვევს მწირი რესურსების ეფექტურ გამოყენებას და ამდენად, ინფორმაციის ფუნქციის გვერდით, ასევე მოიცავს მართვისა და შერჩევის ფუნქციებსაც.

დ) თავისუფალი ბაზრები უზრუნველყოფს შინამრეწველობის (სამამულო მრეწველობის) ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკაში და იძლევა მონაწილეობის გარანტიას საერთაშორისო შრომის დანაწილებაში. ამასთანავე, ღია ბაზრები ხანგრძლივი დროით ზღუდავს შიდა კომპანიების მიერ ძალაუფლებისა და ექსპლუატაციის შესაძლებლობებს, და ამდენად ახდენს მონოპოლიზაციის პრევენციას(თავიდან აცილებასა და ხელის შეშლას).

ე) აქტიური კონკურენციული პოლიტიკის დახმარებით თავიდან უნდა იქნას აცილებული კონკურენციული შეზღუდვები კარტელების, მონოპოლიებისა და ბაზარზე დომინანტური(გაბატონებული) კომპანიების ფორმათა მხრიდან.

ვ) ვინაიდან კომპანიებს მათი დეცენტრალიზებული დაგეგმვისთვის სჭირდებათ უსაფრთხოება, და კონკურენციის რისკები და არასაიმედოობა დამატებით არა მხოლოდ ხელისუფლების მიერ მატულობს, ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობა(უცვლელობა) განეკუთვნება სოციალური საბაზრო ეკონომიკის

პრინციპებს, რაც სიცხადესა და საიმედოობას (და სანდოობას) უზრუნველყოფს.

ზ) საჯარო ინფრასტრუქტურისა და საშუალოვადიანი სახელმწიფო ზრდის პოლიტიკის უზრუნველყოფა, ხელსაყრელ ჩარჩო-პირობებს, ხელსაყრელ გარემოს ქმნის ინვესტიციებისა და დასაქმებისთვის. მათშორისაა ინვესტიციებისადმი მეგობრული საგადასახადო კანონმდებლობა, გადაჭარბებული სახელმწიფო რეგულაციების თავიდან აცილება, ბაზრის (საბაზრო პირობების) შესაბამისი სტაბილიზაციის ღონისძიებები კონიუნქტურული რყევების მოსაგვარებლად, ისევე როგორც საშუალო ზომისა და რეგიონალური ბიზნესების(ეკონომიკების) მხარდაჭერა/ხელშეწყობა.

თ) დასასრულს, საჭიროა მარეგულირებელი მექანიზმი(წესთა კრებული/კანონმდებლობა) გარემოს დასაცავად, სადაც მარეგულირებელ საშუალებებს საბაზრო ეკონომიკურ ინსტრუმენტებზე უპირატესობა ეძლევა.

თითოეული სახელმწიფო ღონისძიება, შესაბამისად ფორმა, უნდა ითვალისწინებდეს ოიკენისეულ <<საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულებას>>, - <<ყოველი ცალკეული ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევა მთლიან ეკონომიკურ პროცესზე>> (იხ. [4] Eucken 1952, S. 254) ახდენს ზემოქმედებას. საბაზრო ეკონომიკური ინტერვენციების შემთხვევაში სახელმწიფოს მოეთხოვება იმგვარი ღონისძიებების გატარება, რაც ნეგატიურ გავლენას არ ახდენს ფასების მექანიზმზე.

სახელმწიფოს აქვს პრინციპი: <<სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ეკონომიკის წესრიგის ფორმების ჩამოყალიბებაზე და არა ეკონომიკური პროცესის კონტროლისკენ.>>(>>Die wirtschaftliche Tätigkeit des Staates sollte auf die Gestaltung der Ordnungsformen der Wirtschaft gerichtet sein, nicht auf die Lenkung des Wirtschaftsproozesses.<< Eucken 1952/1968, S. 336) [5]

§ 2.3 სოციალური უზრუნველყოფა საბაზრო ეკონომიკაში

§ 2.3.1 სოციალური სახელმწიფოს ნიშნები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) შეიცავს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. პირველ რიგში, Art. 20 Abs. 1 და Art. 28, რომლებიც ყველა ფედერაციული მიწისთვის შეიცავს რესპუბლიკური, დემოკრატიული და სოციალური სამართლის სახელმწიფოს ბუნდეს (ფედერაციულ) გარანტიას, იცავს სოციალური სამართლის სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპს, რაც პოლიტიკურ ხელისუფლებას აძლევს დავალებასა და დირექტივას, და ადგენს მათ საზღვრებს. კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტი და ექსპერტი, პ. ბადურა მას განმარტავს შემდეგნაირად: <<ამგვარად, კეთილდღეობის სახელმწიფოს კონკრეტული სამართლებრივი იდეა, სოციალური სამართლიანობა ხდება უფლებათა ძირითადი/მთავარი (ხელშემწყობი) ლეგიტიმაციის საფუძველი....; სამართლებრივი (კონსტიტუციური) სახელმწიფო ნიშნავს არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური კანონებით სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ სოციალურ უსაფრთხოებას, არამედ ეკონომიკური პროცესისა და საერთოდ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემქმნელ რეგულაციებსა და წესებს>> (Badura 1972, 33-34).[6]

ლამპერტი წესრიგის თეორიის(ორდო-ლიბერალურ) პერსპექტივიდან აყალიბებს შემდეგს: <<მაშასადამე, საზოგადოებრივი წესრიგის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს სოციალური მშვიდობა, განახორციელოს სოციალური სამართლიანობა და სოციალური უსაფრთხოება ყველასთვის, და ეკონომიკურ ცხოვრებაში სამეურნეო და სამუშაო ცხოვრების ჰუმანურობის თვალსაზრისით უზრუნველყოს მინიმალური სოციალური პირობების დაცვა, შესაბამისად, აამაღლოს მათი ჰუმანურობის ხარისხი>>(Lampert 1992, 66).[7]

ასევე მაასტრიხტის ხელშეკრულება შეიცავს მიზანს/განზრახვას, რაც ეხება სოციალურ ასპექტს: <<

საზოგადოების ამოცანა არის, ... ხელი შეუწყოს ეკონომიკური ცხორების ჰარმონიულ და დაბალანსებულ (გაწონაწორებულ) განვითარებას საზოგადოების ფარგლებში, მუდმივ, უინფლაციო და ეკოლოგიურად მტკიცე ზრდას, ეკონომიკურ მიღწევათა (შესრულებათა, მწარმოებლურობის) მაღალი ხარისხის კონვერგენციას, დასაქმების მაღალ დონეს, სოციალური დაცვის მაღალ ზომას, ცხოვრების დონისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, ეკონომიკურ და სოციალურ თანამშრომლობას, და წევრ ქვეყნებს შორის სოლიდარობას (Europäische Kommission 1994a, 9).[8]

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაფუძნების შემდეგ, მიღწეული იქნა ფართო კონსესუსი სოციალური სახელმწიფოს ამ მიზნის შესახებ, რასაც თავისი გადაწყვეტილებებით ხელი შეუწყო საკონსტიტუციო სასამართლომ. სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი იყო ამ კონსესუსის გამოხატულება. (როდესაც საუბარია სახელმწიფოს სოციალურ მოწყობაზე, იგულისხმება იმგვარი ინსტიტუციური წესრიგი, სადაც უზრუნველყოფილია ადამიანის ფიზიკური და სულიერი განვითარების პირობები. ამიტომ, ,,სოციალური წესრიგი", როგორც უმაღლესი ცნება მოითხოვს გარკვეულ განმარტებას. მასში იგულისხმება სოციალური კანონმდებლობა არა მხოლოდ ვიწრო გაგებით, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდებში, პროცესში და მიზნის დადგენაში. ის ასევე მოიცავს საზოგადოებრივი ბინათმშენებლობის პრობლემას, ლტოლვილთა და საოჯახო პოლიტიკას, პენსიონერთა და მეანაბრეთა საკითხებს, და რიგ სხვა ამოცანებს.).

§. 2.3.2 საზოგადოებრივი კონსესუსი ძირითადი პრინციპებზე

გერმანიაში საზოგადოებრივი კონსესუსი არსებობს სატარიფო ავტონომიის, სოციალური მშვიდობისა და სოციალური პარტნიორობის კულტურის მაღალი ღირებულების შესახებ, რაც გლობალურ კონკურენციაში

მიიჩნევა როგორც მნიშვნელოვანი ლოკალური (განსაზღვრული ადგილისთვის დამახასიათებელი; ადგილის/ადგილმდებარეობის) უპირატესობა(Die Standortvorteile), რაც ასევე სამომავლოდ არის დასაცავი (და მოსაფრთხილებელი). ვინაიდან, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შინაგანი სიმშვიდის საქმეში, არსებითი და გადამწყვეტი დახმარება გაუწიეს ეკონომიკურ აღმავლობას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, წარმოადგენენ თავისუფლების პრინციპთა მსაზღვრელს და რაც ნიშნავს კიდეც, სუბსიდიარობის პრინციპის განხორციელებას.

შრომის ბაზრის პოლიტიკური შეთანხმებები არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ და მხოლოდ საბაზრო კანონმდებლობის მიხედვით, რადგან ადამიანის შრომა, სხვა ნებისმიერი საქონლისგან განსხვავებით სპეციფიკური საქონელია. სწორედ ამიტომ არის სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში სისტემურ-პოლიტიკურად ლეგიტიმური დაცვითი წესები და კოლექტიური ხელშეკრულებები. შესაბამისად, კონსტიტუციით გარანტირებული კოალიციური/ კოალიციის(შეთანმებითი კავშირის/გაერთიანების) თავისუფლების საფუძველზე, შრომის ბაზარი გათავისუფლებულია კარტელური აკრძალვისგან. ამგვარად, ამით <<კოლექტიური შეთანხმებები (სატარიფო ავტონომიის ყველა ლეგიტიმაციით) წარმოდგენილია როგორც << კოლექტიური შეთანხმების მხარეების ბილატერალური(ორმხრივი) მონოპოლიები, ამ მონოპოლიების კანონის გარანტირებული დაცვით გარე(უცხოური) კონკურენციისგან>>(Deutscher Bundestag 1992/93, 880);[9] სხვა მხრივ, საუბარია სახელმწიფოებრივად გარატირებული კარტელის შესახებ.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მართებულ გაგებას არ შეესაბამება ის, რომ ავტონომიური ე.წ. Flächentarif (დარგობრივი ტარიფი, რაც უკავშირდება სექტორალურ კოლექტიურ სატარიფო ხელშეკრულებას/შეთანხმებას) ისტორიის წყვდიადში ჩიაძიროს, როგორც ამას ზოგიერთი ლიბერალი წესრიგის თეორეტიკოსი მოითხოვს. დადგენილია: ასევე სატარიფო ავტონომიის ფუნქციონირებისა და პრაქტიცირებული კოლექტიური

შეთანხმებები არის საყოველთაო კეთილდღეობის განვითარების წინაპირობა, რასაც გერმანელი ხალხი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უნდა უმადლოდეს. კოლექტიური შეთანხმებები შეესაბამება მშვიდობის დამამყარებლის მნიშვნელობას.

გრძელვადიანი პერსპექტივით აუცილებელი (და გარდაუვალი) არის დემოკრატიული და საბაზრო ძირითადი საფუძვლების ფართო სოციალური კონსესუსი, სახელმწიფოს ძლიერი პოზიცია, ისევე როგორც ტექნიკური პროგრესის საზოგადოებრივი მიმღებლობა. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში <<მიიღწევა მშვიდობიანი კოორდიანცია ბაზრის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის>>(Müller-Armack 1976, 297).[10] ნდობით აღსავსე და განგრძობადი დიალოგი სახელმწიფოს, საზოგადოებრივ ჯგუფებს, ეკონომიკასა და ეკლესიას შორის აიოლებს კონსესუსის მიღწევას და გასაგებს ხდის განსხვავებულ თვალსაზრისებს.

ინდივიდი და საზოგადოება სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ახერხებენ დაპირისპირებულობათა დაძლევას. <<მარადიული დაძაბულობა ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გადალახული ერთის ან მეორის უარყოფით(Erhard 1988h, 110).[11] აქამდე არსებულმა გამოცდილებამ გერმანიაში აჩვენა, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკა მუდამ შემძლეა ანგარება(კერძო სარგებელი) და სახალხო ინტერესი(საზოგადო სარგებელი) იმგვარად ურთიერთ-დააკავშიროს, რომ საპირისპირო შეხედულებებიდან აღმოცენდეს სათანადო და იმავდროულად სამართლიანი მოქმედებები.

დიალოგი ნიშნავს ვალდებულების ორმხრივად კისრების მზაობას და არა პასუხისმგებლობისგან ცალმხრივად თავის არიდებას. განსაზღვრული ჯგუფების ინტერესების არსებობა და გამოხატვა მხოლოდ იქამდეა ლეგიტიმური, ვიდრე საზოგადოებრივი კეთილდღეობა დავიწყების ბურუსში არ გახვეულა. ამ აზრით ვილჰემ რიოპკე(Röpke 1979, 205ff.)[12] ახდენს განსხვავებას <<საღ და არაჯანსაღ პლურალიზმს>> შორის. პირველი უყენებს მოთხოვნებს სახელმწიფოს და იცავს ლეგიტიმურ

საკუთარ სივრცეს სხვა გარკვეული ჯგუფებისგან. მეორე ცდილობს სახელმწიფოს თავისი საკუთარი მიზნების მსახურად ქცევას. ჯგუფების ინტერესთა დომინაცია მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც პოლიტიკოსები უგულებელყოფენ მარეგულირებელ პრინციპებს. ამიტომ ითვლება: თანმიმდევრული წესრიგის(მარეგულირებელი) პოლიტიკა(Die Ordnungspolitik) საუკეთესო იარაღია, საზოგადოების ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაინტერესებული ჯგუფების/ მხარეების (სტეიკჰოლდერები Die Interessengruppen) ხელში.

თავი 3. სოციალური საბაზრო ეკონომიკის მამები

§ 3.1 ვალტერ ოიკენი და ფრანც ბიომი

ვალტერ ოიკენი განიხილება, როგორც სოციალური საბაზრო ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი იდეური მოძღვარი და იდეების გენერატორი.(Lüder Gerken, 2000.; Nils Goldschmidt, fr-online.de)[1] უკვე 1942 წელს ვალტერ ოიკენმა მოითხოვა ეკონომიკური სისტემის სრული რეორგანიზაცია. ამასთან, იგი გამოდიოდა როგორც სრულიად თავისუფალი ეკონომიკის (laissez-faire) და ე.წ. Nachtwächterstaat -ის ანუ მინიმალური სახელმწიფოს (Nachtwächterstaat/laissez-faire-regimen ეკონომიკური ლიბერალიზმის ექსტრემალური ფორმა), ისე სახელმწიფოს მიერ მართული(სახელმწიფო კონტროლირებადი) ეკონომიკის წინააღმდეგ.(Otto Schlecht, 1990, S. 9.)[2]

”დიდი(მნიშვნელოვანი) ამოცანა მდგომარეობს მასში, რომ ამ ახალ ინდუსტრიულ ეკონომიკას [...] მივანიჭოთ ეკონომიკის ფუნქციონალური(ქმედუნარიანი) და ჰუმანური წესრიგის ფორმა . [...] ფუნქციონალური და ჰუმანური ნიშნავს, რომ მასში საქონლის სიმცირე [...] რამდენადაც შესაძლებელია მაქსიმალურად უნდა გადაილახოს და სამუდამოდ დაიძლიოს. და ამავე დროს, ამ წესრიგში შესაძლებელი უნდა იყოს თვითპასუხის-მგებლიანი ცხოვრება. ” - ვალტერ ოიკენი. (Walter Eucken, 1940, 1989, S. 239–240.)[3]

ოიკენმა შეიმუშავა კონკურენციული წესრიგის ძირითადი პრინციპები, რაც ეფექტიანობასა და თავისუფლებას უზრუნველყოფს, კონკურენციული პროცესის თავისუფალი/შეუფერხებელი მოძრაობის (ე.ი. შეუზღუდავი ფუნქციონირების) გზით(Heiko Körner, 2007, S. 23 f.)[4]. ოიკენისთვის, კონკურენციული წესრიგის ფუძემდებლური პრინციპები არის ქმედუნარიანი ფასების სისტემა(ფასების ფუნქციონირების სისტემა), მონეტარული პოლიტიკის პრიორიტეტი, ბაზრებზე

თავისუფალი დაშვება, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, კონტრაქტის თავისუფლება, პასუხისმგებლობის პრინციპი და ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრულობა.(Hans-Rudolf Peters, 2000, S. 151 f.)[5] ამაზე ფოკუსირებული პოლიტიკა ყურადღებას უნდა აქცევდეს მსგავსი კონკურენციული წესრიგის შემადგენელი პრინციპების ერთობას, ისევე როგორც, - ეკონომიკური წესრიგის ურთიერთდამოკიდებულებას ცხოვრების სხვა სფეროებთან.

ოიკენის თანახმად, არსებობს სფეროები, სადაც კონკურენციული წესრიგის ფუძემდებლური პრინციპები საკმარისი არ არის, კონკურენტული წესრიგის ქმედუნარიანობის შესანარჩუნებლად. იგი ციტირებს (ასახელებს) სოციალური პოლიტიკის, ეფექტიანობით შეპირობებულ მონოპოლიურ მდგომარეობათა, შემოსავლების განაწილების, შრომის ბაზრებისა და გარემოსდაცვითი პრობლემატიკის საკითხებს.(Lüder Gerken, Andreas Renner, 2000, S. 20.)[6] აღნიშნული ბოლო ოთხი სფერო ემთხვევა ოიკენის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ პრინციპებს. ამასთან, მარეგულირებელი პრინციპების განსახორციელებლად საჭირო ზომები არ უნდა ეფუძნებოდეს ცალმხრივ ეკონომიკურ პოლიტიკას, არამედ უნდა ხელმძღვანელობდეს ეკონომიკური კონსტიტუციის პრინციპებით. (Werner Lachmann, 1995, S. 45.)[7] (ეკონომიკური კონსტიტუცია: ტერმინი ეკონომიკური კონსტიტუცია გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. ტერმინი სათავეს იღებს ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ტერმინოლოგიიდან. აქ ის გაგებულია როგორც"საერთო გადაწყვეტილება საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების წესრიგის შესახებ".)

"ხშირად შეუმჩნეველია, რომ ოიკენი დიდ ადგილს უთმობს სოციალურ საკითხს, უფრო მეტიც: მისთვის, ეს წამყვანია. "ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპებში" მან შესავალში ახსენა, რომ "სოციალური უსაფრთხოება და სოციალური სამართლიანობა ... დროის ძირითადი

საზრუნავია" (1952/1990, 1). ინდუსტრიალიზაციის დაწყების დღიდან, სოციალური საკითხი უფრო და უფრო მეტად გახდა ადამიანური არსებობის ცენტრალური საკითხი [...] აზროვნება და მოქმედება უპირველეს ყოვლისა, მისი გადაწყვეტისკენ უნდა იყოს მიმართული. ") (ibid.)[იხ. 6] ოიკენისთვის, არ არსებობს მიზნობრივი კონფლიქტი ერთი მხრივ თავისუფლებას, ხოლო მეორე მხრივ სოციალურ უსაფრთხოებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის, რადგან თავისუფლება უსაფრთხოებისა და სამართლიანობის საწინდარია.(Ingo Pies, 2000, S. 35.)[8] სწორად გაგებული სოციალური პოლიტიკა ოიკენისთვის გაუქმებულია წესრიგის (მარეგულირებელ) პოლიტიკაში(Die Ordnungspolitik). სახელმწიფოს მოქმედებამდე, პოლიტიკამ თითოეულ ინდივიდს უნდა მისცეს თვითუზრუნველყოფის/ თავდაცის შესაძლებლობა[იხ. 6] ეფექტიანობით შეპირობებულ მონოპოლიურ მდგომარეობას ხელი უნდა შეუშალოს, დამოუკიდებელმა ანტიმონოპოლირმა სამსახურმა(Das Kartellamt)[იხ. 6, S. 20.] კონკურენციიდან აღმოცენებული შემოსავლების განაწილება მცირე შემოსავლიანი ბიუჯეტისთვის(ანუ, დაბალი შემოსავლის მქონე სუბიექტებისთვის) საჭიროებს მარეგულირებელ პოლიტიკას შემოსავლის დაბეგვრის იმგვარი ფორმით, როგორიცაა პროგრესული გადასახადი(Der Progressive Tarifverlauf).[იხ.6, S. 20.] საარსებო მინიმუმს ქვემოთ ხელფასის შემცირებისას და უმუშევრობის დროს, შრომის ბაზარზე შეიძლება გაჩნდეს მოქმედების/ჩარევის საჭიროებას. რა თქმა უნდა, ეს პრობლემები გარკვეულწილად მოგვარებული უნდა იქნას მიწოდებისა და მოთხოვნის მხრიდან ოპტიმალური კონკურენციის გზით. თუმცა გარკვეულ პირობებში მხარდაჭერილია (და დაცული) მინიმალური ხელფასი(Die Mindestlöhne). ოიკენი მოუწოდებდა დამსაქმებელთა და დასაქმებულთა იმ კავშირების/საზოგადოებების (ძალა)უფლებათა ჩამორთმევისკენ(Die Entmachtung), რომლებიც დომინირებდნენ შრომის ბაზარზე და ამით ზღუდავდნენ კონკურენციას. თუმცა, პროფესიული კავშირები ასრულებდნენ მნიშვნელოვან ფუნქციას მშრომელისა და

მეწარმის საბაზრო პოზიციების უთანასწორობის მოგვარება-მორიგებაში[იხ. 6, S. 22, 23] გარემოსდაცვით პოლიტიკაში, გარე ეფექტების(Externe Effekte) შეზღუდვის მიზნით, სახელმწიფოს ჩარევა მიიჩნევა საჭიროდ[იხ. 6, S. 23.].

ოიკენისათვის, სახელმწიფოს უმთავრესი ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანა იყო მონოპოლიებით, კარტელებითა და ძალაუფლების ფლობის სხვა ფორმებით, ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის თავიდან აცილება/ხელის შეშლა. მისთვის ასევე პრობლემატური იყო სახელმწიფოს მონოპოლიური ძალაუფლება[იხ. 6, S. 20f].

ვალტერ ოიკენის მსგავსად, ფრანც ბიომის მოთხოვნაც იყო სწორედ ბრძოლა მონოპოლიების წინააღმდეგ და კონკურენციული წესრიგის ჩამოყალიბება სახელმწიფოს ხელშეწყობით. ის შემდეგნაირად სვამდა საკითხს: სახელმწიფომ პრინციპულად უნდა შეზღუდოს თავისი უფლებები, როგორც ასევ ვთქვათ, - ,,წესრიგის დამცველის“ და სისტემატურად არ უნდა ერეოდეს ეკონომიკურ პროცესებში. მისი გაგებით, წესრიგი ეს არის კეთილგონივრული სამეურნეო მდგომარეობის შექმნა. როცა წესრიგი(ანუ სისტემა) ,,წესრიგშია“ , მაშინ სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები თავისით გადაიჭრება. ამგვარ ვითარებში აღარ არსებობს ექსპლუატაცია, რადგან აღარ არსებობენ მონოპოლისტები, და თუ ფულის საქმე გონივრულად რეგულირდება, მაშინ ასევე დაკარგავს მნიშვნელობას კონიუნქტურული რყევები, და უმუშევრობა, როგორც ურთულესი პრობლემა, მეტად აღარ იარსებებს. ე.ი. ერთი მხრივ წყდება სოციალური საკითხი, მეორე მრივ (თავად) უმუშევრობის პრობლემა, რამდენადაც ეს უკანასკნელი სწორედ კონიუნქტურული ცვალებადობიდან გამომდინარეობს.

§ 3. 2 ვილჰელმ რიოპკე და ალექსანდრე რიუსტოვი

სოციოლოგიური ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლები ითხოვდნენ, რომ ფუნქციონირებადი კონკურენციის უზრუნველყოფის ამოცანის გარდა, ასევე მიყოლოდნენ სოციალურ-პოლიტიკურ მიზნებს. გერო ტალემანის თანახმად, ისინი მასში ხედავდნენ სახელმწიფოს ვალდებულებას, აქტიურად, მაგრამ ბაზართან თავსებადობით ჩარეულიყო საბაზრო ეკონომიკში.(Gero Thalemann, 2011, S. 36.)[9]

რიოპკესა და რიუსტოვის აზრით, საბაზრო ეკონომიკა არ არის სიცოცხლისუნარიანი, თუ იგი არ არსებობს ეთიკურ-მორალურ საფუძველზე, რასაც ბაზარი თავად არ ქმნის. (Hans-Günther Krüsselberg, 1994, S. 39, ისევე როგორც Ralf Ptak, 2003, S. 199, ასევე Jan Hegner, Alexander Rüstow, 2000, S. 43.)[10] რიოპკე აქ ასახელებს ადამიანურ თვისებებს, როგორიცაა თვითდისციპლინა, პატიოსნება, სამართლიანობა და ზომიერება. ესენი შუამავალად გვევლინება საზოგადოებასა და ოჯახში.(Hans-Günther Krüsselberg, 1994, S. 39.)[11] ფორმულით "საბაზრო ეკონომიკა არ არის ყველაფერი", რიოპკე იძლეოდა გაფრთხილებას კონკურენციის საშიში დეგენერაციის (გადაგვარების) შესახებ, თუკი უგულებელყოფილი იქნებოდა ანთროპოლოგიურ-სოციოლოგიური ჩარჩოები. [იხ. 11, S. 39]

ვიტალური პოლიტიკის(Der Vitalpolitik) კონცეფცია შემუშავებული იქნა ალექსანდრე რიუსტოვისა და ვილჰელმ რიოპკეს მიერ.(Peter Ulrich, 2001, S. 32, 33.)[12] აქ მთავარი იდეა მდგომარეობს მასში, რომ საბაზრო ძალებს, მარეგულირებელი პოლიტიკის თვალსაზრისით უნდა მიენიჭოს სიცოცხლის მომფრთხილებელი (სიცოცხლის მსახურის) ფუნქცია. ვიტალური პოლიტიკის სოციალურად მისაღები პროდუქტი არ შეიძლება იყოს თავისუფალი ბაზრის ავტომატური შედეგი, არამედ მას

გააჩნია ეთიკური წინაპირობა ლეგიტიმური საბაზრო ეკონომიკისთვის.[იხ. 12, S. 34.] 1960-იან წლებში, მიულერ-არმაკი აცხადებდა, რომ ვიტალური(სასიცოცხლო) პოლიტიკის სფეროში ბევრი რამ დარჩა შეუსრულებელი. [იხ. 11, S. 52]

§ 3. 3 ლეონარდ მიკში

სოციალური საბაზრო ეკონომიკის აღმოცენების ეტაპზე ნაკლებად ცნობილია სოციალ-დემოკრატისა და ორდო-ლიბერალის, ოიკენის (სკოლის) მოსწავლის, ლეონარდ მიკშის როლი. თავისი საჰაბილიტაციო ნაშრომით "კონკურენცია, როგორც დავალება" (1937), რომელშიც მან კონკურენცია გამოაცხადა "სახელმწიფო მოვლენად" (Die staatliche Veranstaltung)",(Friedrun Quaas, 2000, S. 252.)[13] ვიწრო გაგებით, იგი იყო "ფრაიბურგის სკოლისა და ორდოლიბერალიზმის წარმომადგენელი."(Arnold Berndt, Nils Goldschmidt, 2000, S. 40.)[14] რამდენიმე თვის შემდეგ, ფრაიბურგის უნივერსიტეტში იგი დასახელებული იქნა ვალტერ ოიკენის ინსტიტუციონალურ მემკვიდრედ. გარდაიცვალა 49 წლის ასაკში. [იხ. 14, S. 40]

1948 წლის დასაწყისიდან, ფრანკფურტის ეკონომიკურ საბჭოში(Im Frankfurter Wirtschaftsrat), მიკში იყო ერჰარდის უახლოესი თანამშრომელი (ასე ვთქვათ, მიულერ-არმაკის წინამორბედი) და ხელმძღვანელობდა „ფუნდამენტური საფასო-ეკონომიკური საკითხებისა და წარმოების ეკონომიკის განყოფილებას“(Die Abteilungen Preiswirtschaftliche Grundsatzfragen und Betriebswirtschaft). ერჰარდამდე დიდი ხნით ადრე, მან გამოიყენა ტერმინი

„სოციალური საბაზრო ეკონომიკა“: 1947 წლის ბოლოს პროფილურ ჟურნალში, ხოლო 1948 წლის იანვარში, შიდა მემორანდუმში, „... მან განახორციელა ენობრივ-ტერმინოლოგიური ცვლილება 'თავისუფალიდან' '' სოციალური '' საბაზრო ეკონომიკისკენ'',(Uwe Fuhrmann, 2017, S. 145)[15], მაშინ როდესაც, ერჰარდი 1948 წლის შუა პერიოდამდე საუბრობდა "თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის" ან უბრალოდ "საბაზრო ეკონომიკის" შესახებ.[იხ. 15, S. 263 ff.]

უპირველეს ყოვლისა, სწორედ მიკში გახდა ,,სავალუტო რეფორმის საფასო პოლიტიკის მხარდაჭერის პიონერი და იდეების მიმწოდებელი(გენერატორი) ერჰარდისთვის“ .[იხ. 14, S. 37.] მან ”შეიმუშავა ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები სავალუტო რეფორმის შემდეგ, გარდამავალი პერიოდისთვის.”(Gerold Ambrosius, 1977, S. 172)[16] გეროლდ ამბროზიუსის თანახმად, ”სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ” კანონის პროექტი [...] თითქმის სიტყვასიტყვით ეთანხმებოდა მიკშის ,ძირითად პრინციპებს' [...]. ”[იხ.16, S. 173.] ამრიგად, ამბროზიუსის თქმით, ”ირონია არ არის, რომ სწორედ კანონ-პროექტი, რომელსაც ქრისტეან-დემოკრატიული ხელმძღვანელობის პირობებში გადამწყვეტი გავლენა უნდა მოეხდინა როგორც დასავლური ზონისა და ფედერაციული რესპუბლიკის შემდგომ განვითარებაზე, ისე კავშირის ეკონომიკურ პროგრამაზე(Die Wirtschaftsprogrammatik der Union), შედგენილ იქნა სოციალ-დემოკრატის მიერ” ? [იხ.16, S. 173.]

§ 3. 4 ლუდვიგ ერჰარდი

ლუდვიგ ერჰარდი, რომელიც ჩვეულებრივ განიხილება, სოციალური საბაზრო ეკონომიკის განმახორციელებლად, ამტკიცებდა, რომ "რაც უფრო თავისუფალია ეკონომიკა, მით უფრო სოციალურია ის".(Alfred C. Mierzejewski, 2005, S. 59.)[17] ერჰარდისთვის, თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნება, ლიბერალურ საზოგადოებრივ წესრიგზე დაფუძნებული სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. მაგალითად, ერჰარდი წერს, რომ აკრძალვაზე დაფუძნებული კარტელის კანონი არის შეუცვლელი „ძირითადი ეკონომიკური კანონი“. თუ სახელმწიფო ვერ შეძლებს ამ სფეროში თავის გართმევას, მაშინ ეს ასევე მალე შეეხება სოციალურ საბაზრო ეკონომიკასაც. ეს პრინციპი ავალდებულებს თითოეულ მოქალაქეს, არ ჰქონდეს ინდივიდუალური თავისუფლების ჩახშობის ან მცდარად გაგებული თავისუფლების სახელით მისი შეზღუდვის უფლება(Ludwig Erhard, Wolfram Langer, 1957, S. 9.)[18] თავისუფალი კონკურენცია უნდა ყოფილიყო სათანადო გზა, ფართო სოციალური კეთილდღეობის შესაქმნელად. [იხ. 9] შედეგად, მარეგულირებელი პოლიტიკით ჯეროვნად მმართულ საბაზრო ეკონომიკაში, კეთილდღეობის ზრდის წყალობით, სულ უფრო და უფრო შემცირდებოდა მოთხოვნილება კლასიკურ სოციალურ პოლიტიკაზე.(Richard Reichel, 1988 S. 83–92.)[19] მისი მიზანი იყო ე.წ. Eigentumsbürgern-ის (მესაკუთრე მოქალაქეებისგან შემდგარი) დე-პროლეტარიზებული საზოგადოების უტოპია, რომელსაც მეტად აღარ დასჭირდებოდა სოციალური უზრუნველყოფა.(Gerd Habermann, 2004, S. 114.)[20]

ლიბერალური და საბაზრო ეკონომიკური(ბაზარზე

დაფუძნებული) კომპონენტების მიმართ, ერჰარდს გაცილებით ძლიერი ენგაჟემენტი(ვალდებულება) გააჩნდა, ვიდრე სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიული კონცეფციის შემქმნელებს.[იხ.5, S. 169 f.] ამასთან, ერჰარდმა გამოიყენა ინტეგრაციის ეფექტი(Die Integrationswirkung) მთლიანი საბაზრო ეკონომიკური წესრიგის(სისტემის) სასარგებლოდ, რაც შესაძლოა მიღწეული ყოფილიყო ამ ეტიკეტით, საკამათო პოლიტიკურ გარემოში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.[იხ. 5, S. 171.] ერჰარდისთვის, თავისუფლება იყო სახელმწიფო მართვისა(კონტროლის) და მზრუნველობის ყველა გამოხატულებაზე აღმატებული, და გარდა ამისა, - განუყოფელი.[იხ. 9, S. 47.] ჰანს-რუდოლფ პეტერსის თანახმად, ერჰარდი, თავისი ლიბერალური მიდგომით, სკეპტიკურად უყურებდა კოლექტიური სავალდებულო დაზღვევის ფორმას.[იხ. 5, S. 169.] (Hans-Rudolf Peters: Wirtschaftspolitik. 3. Auflage. Oldenbourg Wissenschaftsverlag, 2000, S. 169. [83]). ამასთან, მან რა თქმა უნდა, სრულიად ნათლად დაინახა, რომ საზოგადოებამ უნდა "დაადგინოს საზღვრები ან შეიმუშავოს წესები სოციალური, ეკონომიკური და ფისკალური ზომების მეშვეობით".[იხ.2, S. 12.]

სახალხო კაპიტალიზმის კონცეფციით, იგი ცდილობდა შეექმნა უფრო თავისუფალი და თანასწორუფლებიანი საზოგადოება. ერჰარდმა, თავისი ფართო კაპიტალის ფორმირების იდეა დააფუძნა შემდეგზე: "თუკი თანამედროვე ტექნიკის განვითარებით, უკვე გარდაუვალია წარმოების საშუალებების კონცენტრაცია, მაშინ ამ პროცესს უნდა დაუპირისპირდეს ფართოდ გავრცელებული, მაგრამ ჭეშმარიტი თანასაკუთრების (თანამონაწილეობის) გაცნობიერებული და აქტიური ნება ამ ეკონომიკურად ეფექტიან (მწარმოებლურ)

კაპიტალში."(Gerhard Kutzenberger, 1964, S. 46.)[21] თუმცა, ცალკეული მცდელობა სახალხო ეკონომიკის (პოპულარული კაპიტალიზმის) კონცეფციის პრაქტიკში დასანერგად, აღმოჩნდა მეტწილად არაეფექტური. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, 1957 წლიდან, სახალხო კაპიტალიზმის ერჰარდისეული ინტერპრეტაცია რეინტერპრეტირდა საბაზრო ეკონომიკად, თვითმყოფადი კეთილდღეობის სახელმწიფოებრიობით. მხოლოდ მისი წყალობით იქცა სოციალური საბაზრო ეკონომიკის იდეა(ცნება), ე.წ. „შუა გზის“(Der mittlere Weg) კონსენსუსისა და მშვიდობის ცენტრალურ ფორმულად. (Lutz Leisering, 2008, S. 425.)[22] (დეტალურად, იხ. „Weichenstellungen der Sozialpolitik“ /„სოციალური (კეთილდღეობის) პოლიტიკის კურსის დადგენა“).

მისთვის აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფულადი ღირებულების დაცვას, კერძოდ, დამოუკიდებელი ბუნდეს(ფედერალური) ბანკის მხრიდან. ერჰარდისთვის, სოციალური საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელი იყო ფასების დონის სტაბილურობის თანმიმდევრული პოლიტიკის გარეშე. მხოლოდ ამ პოლიტიკას უნდა უზრუნველეყო, მოსახლეობის ცალკეული წრეების სხვათა ხარჯზე გამდიდრების თავიდან აცილება.[იხ. 18, S. 15.] (მისთვის,) კერძო საკუთრების უფლების გარდა, პასუხიმგებლობა ასევე წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, მწარმოებლური კაპიტალის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად. მწარმოებლური კაპიტალის მეპატრონეებმა უნდა მიიღონ არამარტო მოგება, არამედ ასევე იტვირთონ სრული პასუხისმგებლობაც, მიღებული არასწორი გადაწყვეტილებებისთვის.(Jürgen Pätzold, 1994, 2009.)[23]

თუმცა, კურტ ჰ. ბიდენკოფის აზრით, ფაქტობრივმა პოლიტიკურმა განვითარებამ ერჰარდის სურვილის საპირისპიროდ, რასაკვირველია უკვე გერმანიის ქრისტეან-დემოკრატიული კავშირის(Christlich Demokratische Union Deutschlands [CDU]) მმართველობის

დროს, ყველა ასპექტში შეიძინა განსხვავებული მიმართულება; ერჰარდის მიერ პროპაგანდირებული/ დეკლალირებული სახელმწიფოს შეზღუდვა პოლიტიკურად ვერ განხორციელდა.(Kurt H. Biedenkopf, 1988, S. 460.)[26] 1974 წელს ლუდვიგ ერჰარდმა განაცხადა, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეპოქა დიდი ხანია დასრულდა, როცა მან დაინახა, თუ როგორ დიდად დაშორებოდა არსებული/მიმდინარე პოლიტიკა, თავისუფლებასა და პირად პასუხისმგებლობაზე მის წარმოდგენებს.(Richard Reichel, 1988, S. 83–92)[27]

§ 3. 5 ალფრედ მიულერ-არმაკი

სოციალურად მოწყობილი საბაზრო ეკონომიკის სულიერ მამად, განსაკუთრებით შეიძლება დასახელდეს ალფრედ მიულერ-არმაკი, რომელიც 1952 წლიდან იყო ფედერალური ეკონომიკის სამინისტროს პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი და 1958 წლიდან, ამავე დროს სახელმწიფო მდივანი, (და) ლუდვიგ ერჰარდის თანამებრძოლი, რომელმაც არამარტო დაამკვიდრა ტერმინი „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“, არამედ, სხვებთან ერთად სისტემურად შეიმუშავა მისი კონცეფცია. მიულერ-არმაკმა შეგნებულად ღიად დატოვა სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეპტის ზუსტი ფორმულირება, რადგან მიაჩნდა, რომ ჩარჩო-პირობები შესაძლებელია იცვლებოდეს და რომ მასთან დინამიურად უნდა ხდებოდეს ეკონომიკური სისტემის ადაპტირება: ,,ჩვენი თეორია აბსტრაქტულია, საჯაროდ მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ის კონკრეტულ აზრს შეიძენს და ქუჩაში მყოფ კაცს აჩვენებს, რომ ეს მისთვის კარგია“. ლეგიტიმაციის ეს ფუნქცია განმარტავს, თუ რატომ არ არსებობს სოციალური საბაზრო ეკონომიკის დახურული თეორია, არამედ, - ცალკეულ (ინდივიდუალურ) ფაზებში აღმოცენებული მიზანი. მიულერ-არმაკის მიდგომის ეს ევოლუციურ-

კომპრომისული ძირითადი, საბაზისო სტრუქტურა, დროთა განმავლობაში გარდაუვლად მივიდა ორდო-ლიბერალურ თეორიასთან დაძაბულობამდე.(Christoph Butterwege, Bettina Lösch, Ralph Ptak, 2008, S. 82 f.)[28].

ქრისტეანული სოციალური მოძღვრებისა(Die christliche Soziallehre) და ვიქსელის კონიუნქტურის(ეკონომიკის) თეორიის(Die Wicksellsche Konjunkturtheorie) მიხედვით, იგი აშკარად წარმოადგენდა სახელმწიფოს გავლენის იდეას საბაზრო ეკონომიკის შედეგებზე.[იხ.2, S. 13.]. მიულერ-არმაკი სოციალურ საბაზრო ეკონომიკას განიხილავდა მესამე ფორმად, წმინდა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკისა და ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკის გვერდით: ”ჩვენ ვსაუბრობთ 'სოციალური ბაზრის ეკონომიკაზე', ამ მესამე ეკონომიკური (პოლიტიკის) ფორმის დასახასიათებლად. ეს ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკა, როგორც ჩანს, ჩვენთვის წარმოადგენს მომავალი ეკონომიკური წესრიგის ხერხემალს იმის გამორიცხვით, რომ ის არა თვითრეგულირებადი ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა, არამედ შეგნებულად კონტროლირებადი და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა უნდა იყოს.“ მიულერ-არმაკი შეშფოთებული იყო "ეკონომიკურ სისტემაში მათი ორმაგი პრინციპის ინსტიტუციონალური დამკვიდრება-განმტკიცებით"(Alfred Müller-Armack, 1966, S. 242.)[29], რაშიც ის ხედავდა სოციალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თავისუფლების დივერგენტულ (განსხვავებულ) მიზნებს, ახალ დაზავებამდე მისაყვანად“.[იხ.29, S. 236.] სოციალური საბაზრო ეკონომიკის მიმართულების მაჩვენებლის არსი არის "ბაზარზე თავისუფლების პრინციპის დაკავშირება სოციალური გათანაბრების/თანასწორობის პრინციპთან".(Alfred Müller-Armack, 1956, S. 390.)[30] მან სოციალურ საბაზრო ეკონომიკას უწოდა ირენიული(მშვიდობის დამამყარებელი) ფორმა, რომელიც ცდილობს "სამართლიანობის, თავისუფლებისა და ეკონომიკური ზრდის იდეალების გონივრულ წონასწორობაში მოყვანას".(Volkhard Laitenberger, Günter Pursch, 1989, S. 95.)[31]

კარლ გეორგ ზინის თანახმად, მიულერ-არმაკი უფრო ახლოს არის ვილჰელმ რიოპკესა და ალექსანდრე რიუსტოვის სწავლებებთან, ვიდრე (პურისტი) ოიკენის მარეგეულირებელი პოლიტიკის მოძღვრებასთან. ამგვარად, მან "გაცილებით დიდი წონა შესძინა სოციალურ პოლიტიკასა და სახელმწიფოებრივ კონიუნქტურულ (ეკონომიკურ) და სტრუქტურულ პოლიტიკას, ვიდრე ოიკენმა, რომლისთვისაც სოციალური პოლიტიკა, უკეთეს შემთხვევაში, როგორც მინიმალური პროგრამა, ჩანდა საჭირო უკიდურესი უწესრიგობის(არადამაკმაყოფილებები მდგომარეობის) წინააღმდეგ და კონიუნქტურის (ეკონომიკის) პოლიტიკა, - უბრალოდ ზედმეტი, საზიანოც კი, რადგან იდეალურ საბაზრო ეკონომიკას, როგორც ის თავის წესრიგის თეორიაში აჩვენებდა, მეტად აღარ უნდა გამოევლინა ციკლური კონიუნქტურები (ეკონომიკური სიტუაციები/რყევები) და კრიზისები ".(Karl Georg Zinn, S. 25.)[32]

მიულერ-არმაკი მხარს უჭერს სახელმწიფოს "სოციალურ ინტერვენციას", იმ პირობით, რომ ისინი "ექვემდებარებიან ბაზრის კონფორმიტეტის პრინციპს", (Dieter Cassel, Thomas Apolte, 1998, S. 105.)[34] რაც ნიშნავს იმას, რომ მიიღება მხოლოდ იმგვარი პოლიტიკური ზომები, "რომელიც უზრუნველყოფს სოციალური მიზნის შექმნას, საბაზრო ინსტრუმენტების(ბაზრის აპარატის) ჩარევის გარეშე".[იხ. 30.] ინგო პიზი მიდის იმ მოსაზრებამდე, რომ მიულერ-არმაკის თანახმად, შეიძლება ზუსტად იქნას მითითებული ის, რისი გაკეთებაც პოლიტიკას არ ევალება. მაგრამ პოზიტიური თვალსაზრისით, ამ პრინციპს მხოლოდ პოლიტიკური ინტერვენციის მეთოდის არჩევა შეუძლია, მაგრამ არა მისი გამოყენების ხარისხის.(Ingo Pies, 2000, S. 74. შდრ. აგრეთვე Hans-Rudolf Peters, 2000, S. 165.)[35] ჰაიკო კორნერი თვლის, რომ მიულერ-არმაკმა "არ გააკეთა კონკრეტული განცხადებები <<ბაზრის შესაბამისობაში მყოფი სოციალური პოლიტიკის>> პრინციპებისა და ელემენტების შესახებ" და ,,ამ <<თავისუფლად ინტერპრეტირებადი მოდელის/სახელმძღვანელო პრინციპების>> თითოეულ ინტერპრეტატორს, თავისი

ინტერესებისა და პოლიტიკური პრეფერენციების გათვალისწინებით შეუძლია შესაბამისი მნიშვნელობის აქცენტირება(ხაზგასმა) ერთი მხრივ, ეკონომიკური ეფექტიანობისა და მეორე მხრივ, სოციალური სამართლიანობის დაძაბულ ველში.[იხ. 4.] მიუხედავად ამისა, მიულერ-არმაკი "თეორიულად" თვლიდა, რომ შემოსავლების ყველაზე ფართო, დიდი მასშტაბის გადანაწილება შესაძლებელი იყო "ბაზრის წესებთან კონფლიქტის გარეშე".(Horst-Friedrich Wünsche, 2001, S. 102 f.)[36]

როდესაც მიულერ-არმაკმა, 1950-იანი წლების დასასრულს წამოაყენა სოციალური საბაზრო ეკონომიკის მეორე, სოციალურ-პოლიტიკური ფაზის(ეტაპის) აუცილებლობის საკითხი, თავისი ტრადიციული ბირთვის მიღმა, საზოგადოებრივი სიკეთით(კეთილდღეობის) უზრუნველყოფასთან მიმართებით, სოციალური პოლიტიკა განავრცო განათლებისა და ჯანდაცვის, ურბანული დაგეგმარებისა და ენერგეტიკის, და გარემოს დაცვის სფეროებზეც.(Hans Günter Hockerts, 2011, S. 143 f.)[37] 1975 წელს, მიულერ-არმაკმა ჩამოაყალიბა მძლავრი კრიტიკა დემოკრატიული სოციალიზმის წინსვლის, ინტერვენციონიზმით დამძიმებული სოციალური საბაზრო ეკონომიკის მარეგულირებელი(ეკონომიკური პოლიტიკის) ჩარჩო-წესრიგის(სტრუქტურის) წინააღმდეგ, რაშიც, ფუნდამენტურ ცვლილებათა მრავალი ცალკეული ღონისძიება მიმართულია საბაზრო ეკონომიკის ბირთვის(არსის) წინააღმდეგ. ამ ანტი-საბაზრო წესთაგან/ზომათაგან მიულერ-არმაკი განსაკუთრებით გამოყოფს პარიტეტულ მონაწილეობას (კომპანიის) მართვაში(Die Mitbestimmung), ისევე როგორც, მოთხოვნას ქონების გადანაწილების(Die Vermögensumverteilung) მიმართულებით.(Wilga Föste, 2006, S. 607.)[38]

თავი 4. სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარების ფაზები

§ 4. 1 ორდოლიბერალიზმის დომინაციის ფაზა (1948 - 1966)

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაჭირვების ჟამს, სამხედრო(ომის) ეკონომიკიდან (Die Kriegswirtschaft) აღმოცენებული სამეურნეო მართვის სისტემა, თითქმის უცვლელი სახით აგრძელებდა ფუნქციონირებას. იმ დროს დაგეგმარება და მართვა გამოყენებულ იქნა როგორც დროებითი საშუალება, ეკონომიკური ცხოვრების კვლავ გამოსაცოცხლებლად. ამდენად, ,,1000 კალორიის დროებაში"(,,Die Zeit der 1000 Kalorien"), სასურსათო პოლიტიკის მართვა, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის იყო გადარჩენის საშუალება. 1948 წლამდე, მთლიანი ძირითადი ფონდები(აქტივები) გაუთანაბრდა 1936 წლის დონეს.(Werner Abelshauser, 2011, S. 70 f.)[1] ეს მაშინ, როდესაც სამრეწველო წარმოება 1936 წლის ღირებულების ნახევარზე ოდნავ ნაკლებს შეადგენდა.(იხ.[1], S. 107) 1947 წელს, ამერიკისა და ბრიტანეთის საოკუპაციო ზონებში გატარდა ღონისძიებები, ომის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღსადგენად.(იხ.[1], S. 115 ff.) 1947 წლის შემოდგომაზე გაიზარდა წარმოება, თუმცა მოსახლეობის მომარაგება/უზრუნველყოფა მაინც არ გაუმჯობესდა, ვინაიდან სავალუტო რეფორმების მოლოდინში წარმოიქმნა მარაგების დიდი მოცულობა. (იხ.[1], S.119) 1948 წლის 20 ივნისს დაიწყო სავალუტო რეფორმა, რაც უშუალო კავშირში იყო ორი ზონის ეკონომიკური საბჭოს დირექტორის, ლუდვიგ ერჰარდის მიერ ფასების გათავისუფლების დადგენილებასთან (Bernhard Löffler, 2002, S.95)[2], და რომელიც განეკუთვნება გერმანიის ომისშემდგომი ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ღონისძიებათა რიცხვს(Die Währungsreform

1948 [Westdeutschland] https://de.wikipedia.org/wiki/W%C3%A4hrungsreform_1948_(Westdeutschland)). ორდოლიბერალი ლეონარდ მიკშის მიერ შემუშავებული ,,სახელმძღვანელო პრინციპთა კანონის(წესის)" თანახმად, პირველ რიგში გათავისუფლდა ფასები სამომხმარებლო საქონელზე, ხოლო მოგვიანებით კი მნიშვნელოვან სამრეწველო პროდუქციაზე, გათბობისა და სასურსათო საშუალებებზე(სურსათ-სანოვაგეზე).(იხ.[2], S.95) სავალუტო რეფორმა ნამდვილად საჭირო იყო. ეკონომიკური აღმავლობა უკვე 1947 წელს იწყება (1947 წლის იანვრიდან 1948 წლის ივლისამდე სამრეწველო პროდუქცია 1936 წლის არსებული 34%-იანი დონიდან გაიზარდა 57%-მდე, ხოლო სავალუტო რეფორმიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაფუძნებამდე კი მისმა მოცულობამ 86 %-ს მიაღწია).(იხ. [1], S.107) ფასების გათავისუფლებისას თავი იჩინა ე.წ. Die Durchbruchskrise(გარღვევის/თავის დაღწევის კრიზისი). სურსათზე ღირებულება უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საათობრივი ხელფასები. რაც შეეხება უმუშევრობას, მისი დონე 3,2%-დან 1950 წლის დასაწყისამდე 12,2%-მდე გაიზარდა.(იხ. [1], S.153) ამ დროისთვის სოციალური საბაზრო ეკონომიკის სოციალური კომპონენტი არსებითად შედგებოდა სოციალური უზრუნველყოფის უკვე არსებული სისტემიდან, რომელიც ჰენრი ც. ვალიხის(Henry C. Wallich) დაკვირვებით, სიტუაცია ,,სოციალურად ჯერ კიდევ ასატანად მოჩანდა"(იხ. [1], S.160) კორეის ომის შედეგად, გლობალური ეკონომიკური ბუმის ფონზე, შრომის ბაზარზე არსებული ვითარება დამშვიდდა (და გაუმჯობესდა). რასაკვირველია, მოკავშირეების დიდი კომისია(Die Alliierte Hohe Kommission) ხელს უწყობდა, რომ გერმანიას თავისი წვლილი შეეტანა დასავლური

თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში იმით, რომ უპირატესობა მიენიჭებინა კვლავაც თავისუფალ შესაძლებლობებზე დამყარებულ საქმიანობისთვის, ფოლადის წარმოების მიმართულებით. ამან ლუდვიგ ერჰარდი ძალზე შეაშფოთა, რომელმაც საგეგმო შტაბები ფედერაციული ეკონომიკის სამინისტროში დროებით გააუქმა.(იხ.[1], S. 164-165) ამ სიტუაციაში ეკონომიკის მთავარმა გაერთიანებებმა და პროფ.კავშირებმა აიღეს ინიციატივა და დააფუძნეს (ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის თანხმობით) შემსყიდველი კარტელი, რათა ნედლეული სამომხმარებლო საქონლის ინდუსტრიიდან მძიმე მრეწველობაში გადანაცვლებულიყო. ამგვარად, მათ აღმოფხვრეს მართვის ის ხარვეზები(ამოავსეს მართვის ხვრელები), რომელიც ერჰარდის ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეგნებულად დატოვა და მნიშვნელოვნად გააძლიერა მათი გავლენა. ამრიგად, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩარჩოპირობები ფუნდამენტურად შეიცვალა. კორეის კრიზისმა დააჩქარა კორპორატიული საბაზრო ეკონომიკის რენესანსი.(იხ.[1], S. 168, 170.)

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაფუძნების შემდეგ, მნიშვნელოვანი მარეგულირებელი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. ასე მაგალითად, სატარიფო ავტონომიის გამტკიცება 1949 წლის სატარიფო ხელშეკრულების კანონის(Das Tarifvertragsgesetz(TVG)vom 9. April 1949) საშუალებით, და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაქმებულთა(მუშაკთა/თანამშრომელთა) პარიტეტულ საფუძველზე მონაწილეობის რეგულაციით/ მოწესიგებით(Die Regelung der betrieblichen Mitbestimmung; Mitbestimmung - მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში/მონაწილეობა მართვაში) [საზოგადოებრივ და კერძო საკითხებში], და დასაქმებულთა თანამშრომლობა

[ეკონომკურ საკითხებში], თანამშრომელთა საწარმოს წარმომადგენლობით ორგანოებში კანონის საშუალებით [კანონი თანამშრომელთა მდგომარეობის შესახებ საწაროში](Das Betriebsverfassungsgesetz, 1952).(Jürgen Pätzold, 1994.)[3] ეკონომიკის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროფ.კავშირული კონცეფცია, მისი ეკონომიკური თანხმობის(Die wirtschaftlichen Mitbestimmung) ძირითადი ელემენტითა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის ორდოლიბერალური კონცეფცია, ფედერაციული რესპუბლიკის პირველ დეკადაში დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. (Walther Müller-Jentsch, 2008, S. 196)[4] 1957 წლის ბუნდესბანკის აქტის(Das Bundesbankgesetz) თანახმად, Deutsche Bundesbank-მა ფასების დონის სტაბილურობა უმნიშვნელოვანეს მიზნად დაისახა(იხ. [3]) რასაკვირველია, 1949 წლიდან 1973 წლამდე ბრეტონ ვუდსის სისტემაში(Bretton-Woods-System) მონაწილეობა იმას ნიშნავდა, რომ Deutsche Bundesbank-ს ფიქსირებული(მყარი) გაცვლითი კურსის მხარდასაჭერდ ხშირად უნდა გაეკეთებინა სავალუტო (უცხოური ვალუტის) შესყიდვები, რაც ზრდიდა ფულის მასის მოცულობასა და ინფლაციას, და ამავე დროს, იწვევდა DM-ის კურსის შემცირებას, რითაც ხელს უწყობდა ხელსაყრელი ექსპორტის პირობების შექმნას. ფასების დონის სტაბილურობა მხოლოდ 1973 წელს გახდა რეალური პრიორიტეტი.(Georg Altmann, 2004, S. 194.)[5] D-Mark-ის კურსის ქრონიკული შემცირება 1973 წლამდე ძლიერ უწყობდა ხელს გერმანიის საავტომობილო ინდუსტრიის ზრდას.(Willi Diez, 2012, S. 77)[6]

ბაზრის ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლით(ანუ, მისი გაუქმებით), სრულყოფილი კონკურენციის(Die vollkommene Konkurrenz) შექმნა იყო ორდოლიბერალების

ცენტრალური საკითხი(საზრუნავი/მისწრაფება/სურვილი), რაც ასევე ლეონარდ მიკშის მიერ იქნა წარმოდგენილი ეკონომიკის ფედერალურ სამინისტროში. თუმცა, გერმანული ინდუსტრიის წინააღმდეგობა კონკურენციის პირველ კანონპროექტთან დაკავშირებით, მაინც იყო მკაცრი და წარმატებული. ამასთან, ეს არა მხოლოდ კონცერნების ანგარებიდან იშვა, არამედ ასევე (იმ) რეალური საფრთხიდან, რომ კონცენტრაციის პროცესის რადიკალურ შეწყვეტა-აკრძალვას მკაცრი კონკურენციული პოლიტიკით, უცხოურ დიდ კონცერნებთან(კორპორაციებთან) დაპირისპირებაში, დანაზოგის მასშტაბის(Der Skaleneffekt) საფუძველზე შეეძლო გერმანული ინდუსტრიის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის საფრთხეში ჩაგდება. საბაზრო ეკონომიკის ორდოლიბერალური ეკონომიკური უტოპიის "გულუბრყვილო/მიამიტი" წარმოდგენა(იდეა), რომელიც მცირე და საშუალო საწარმოების არსებობას ემყარებოდა, გერმანიის ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკისთვის (საექსპორტო ეკონომიკა/ეკონომიკის საექსპორტო მხარე) და მთლიანად, ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის საფრთხედ იქნა მიჩნეული.(Jeremy Leaman, 2009, S. 33)[7] დაბოლოს, თავისუფალი კონკურენციის იდეალის(პრინციპების) სასამსახუროდ, 1958 წელს გამოცემულ იქნა კანონი კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ და დაფუძნდა ფედერალური ანტიმონოპოლიური კომიტეტი/სამსახური(Das Bundeskartellamt). პრინციპში კარტელები აიკრძალა, თუმცა გამონაკლისი იქნა დაშვებული პირობების, ფასდაკლების, საგარეო, სტრუქტურული კრიზისების, საექსპორტო და რაციონალიზაციის კარტელებისთვის (Konditionen-, Rabatt-, Auslands-, Strukturkrisen-, Export- und Rationalisierungskartelle)(იხ. [1], S.176) მაგრამ, ეს

ორდოლიბერალური წარმოდგენებისგან ძლიერ იყო დაშორებული. ფრანც ბიომმა საჯაროდ აღიარა მარცხი იმ სფეროში, რომელიც ორდოლიბერალების წარმოდგენით, გერმანიის ეკონომიკური სისტემის(წესრიგის) საკვანძო/ ძირითადი ელემენტი უნდა ყოფილიყო.(იხ. [7], S. 34) 1949 წელს, ლეონარდ მიკში ვალტერ ოიკენის საპირისპიროდ განმარტავდა: ,,ჩვენ სრული სერიოზულობით უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ აშკარად ვდისტანცირდეთ ახლანდელი ხელისუფლების კურსისგან. ადენაუერის კაბინეტი სულ უფრო მეტად ჩნდება როგორც ინტერესთა ხელისუფლება. სასოფლო-სამეურნეო და მძიმე ინდუსტრიული გავლენები/ ძალები(ნაკადები/ მიმართულებები) გაერთიანდა. ჩვენ არ შეგვიძლია ამის დიდხანს ყურება. მოგვიანებით იტყვიან, რომ ეს ჩვენი იდეები იყო“.(Walter Osswalt, 2008, S. 131 f.)[8]

§ 4.1.1 სოციალური პოლიტიკის ნაბიჯები(კურსი/სახელმძრვანელო პრინციპები)

სოციალური საბაზრო ეკონომიკის საწყის ეტაპზე არსებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების ქსელი კვლავაც რჩებოდა, რაც არსებითად გერმანიის იმ სოციალური დაზღვევის სისტემისგან შედგებოდა, რომელიც 1830 წელს დაარსებულ იქნა ბისმარკის მიერ და მას შემდეგ სხვადასხვაგვარად განვითარდა. სოციალური უზრუნველყოფის 15% ქვოტით(სოციალური გადასახდელების კოეფიციენტი), გერმანია ევროპის ქვეყნების ტოპჯგუფში იმყოფებოდა.(Anthony Nicholls, 1984, S. 174.; Werner Abelshauser, 2011, S. 191.)[9] გადაწყვეტილებამ სიციალური საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებრივი განზომილების(სოციალური დიმენსიის) ფორმირების შესახებ, საპენსიო რეფორმის

საკითხის ინიცირება გამოიწვია. სრული დაფინანსების ნორმატიული საპენსიო დაზღვევა დიდწილად დევალვირებული (გაუფასურებული) იქნა ჰიპერინფლაციითა და ომის ფარული დაფინანსებით. პენსიონერების საარსებო წყაროს(საშუალებების) უზრუნველსაყოფად, საპენსიო უზრუნველყოფა ახალ ბაზისზე უნდა დაფუძნებულიყო.(იხ. [1], S. 195) განიხილებოდა სახალხო კაპიტალიზმი, ბრიტანულ-სკანდინავიური მოდელის მიხედვით კეთილდღეობის სახელმწიფოზე გადასვალა და ბისმარკისეულ სოციალურ უზრუნველყოფათა უფრო ეფექტური ფორმირება, თანამედროვე სოციალური სახელმწიფოსთვის.(იხ. [1], S. 190)

ერჰარდის წარმოდგენით, სწორად მოწყობილ საბაზრო ეკონომიკას უნდა აღეთქვა კეთილდღეობა ყველასთვის. ე.წ. სახალხო კაპიტალიზმის პირობებში, უნდა მომხდარიყო ფართო (მასშტაბის) დოვლათის ფორმირების(კაპიტალის ფართო დაგროვების) ხელშეწყობა.(Gerhard Kutzenberger, 1964, S. 46.)[10] მისი მიზანი იყო მქონებელ(მესაკუთრე) მოქალაქეთა დეპროლეტარიზირებული საზოგადოების უტოპია, რომელიც მეტად აღარ საჭიროებს სოციალურ დაცვას(დაზღვევას, სოციალური უსაფრთხოების ფონდებს).(Gerd Habermann, 2004, S. 114.)[11]. ლუტც ლაიზერინგისა და ვერნერ აბელსჰაუზერის მიხედვით, ერჰარდმა შეიმუშავა (და განავითარა) სახალხო კაპიტალიზმის კონცეფცია, როგორც ბისმარკისეული სოციალური სახელმწიფოს კონტრკონცეფცია(Lutz Leisering, 2008, S. 425.)[12] მაგრამ, ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ საუბრობს ჰანს გიუნტერ ჰოკერსის ჩვენება, რომ ერჰარდი კაბინეტის თათბირებში (განხილვებსა თუ მსჯელობებში) საპენსიო რეფორმას არსებითად არ უარყოფდა. თუმცა ის უარყოფდა პენსიის

დაკავშირებას სტანდარტული ხელფასის შემუშავებასთან. მიუხედავად ამისა, სრულად უჭერდა მხარს სახელფასო დონის მკვეთრ ამაღლებას და პენსიის მიბმას პროდუქტიულობის განვითარებაზე.(Hans Günter Hockerts, 2011, S. 12.)[13] მიხაელ გელერის თანახმად, ერჰარდმა უპირატესობა სავალდებულო კერძო დაზღვევას მიანიჭა.(Michael Gehler, 2010, S. 109.)[14] ძალისხმევის მიუხედავად (მაგალითად, ,,სახალხო აქციებით" კაპიტალის/აქტივების აკუმულაცია/ფორმირება), სახალხო კაპიტალიზმმა ვერ უზრუნველყო პრაქტიკაში მისი წინსვლა და განხორციელება. 1974 წელს ვილი ბრანდტი შენიშნავდა, ,,რომ სახალხო კაპიტალიზმი", რაც აღაფრთოვანებდა ლუდვიგ ერჰარდს, იყო ოცნება; ,,სახალხო აქციები" საზოგადოებრივ ისტორიაში წარმატებულ ექსპერიმენტად ვერ მოიხსენიება".(Willy Brandt, 1974, S. 196.)[15]

სახალხო კაპიტალიზმის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა ბაზრის მექანიზმის შედეგად მიღებული შემოსავლებისა და აქტივების განაწილების არაადეკვატურობა. უკვე 1950-იან წლებში შეიმჩნეოდა შემოსავლებსა და სიმდიდრეს შორის უთანასწორო განაწილების ტენდენცია. იმ რიტორიკის მიუხედავად, რაც უკავშირდებოდა კაპიტალის ფორმირების პოლიტიკას, მუშაკთა (თანამშრომელთა) ხანდაზმულობის უზრუნველყოფისთვის(უზრუნველი სიბერისთვის), ლეგალური/ნორმატიული საპენსიო დაზღვევიდან მოთხოვნები (პრეტენზიები) რჩებოდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე შემოსავლის ნებისმიერი სხვა წყარო და ლეგალური/ნორმატიული საპენსიო დაზღვევის მოცულობამ ბევრად გადააჭარბა კერძო ოჯახების კაპიტალის(სიმდიდრის) ფორმირების(საოჯახო დანაზოგების) მოცულობას. საყოველთაო

კეთილდღეობის სახელმწიფოს ბევერიჯის-სისტემაზე გადასვლის საპირისპიროდ მეტყველებდა გადასვლის დიდი ხარჯები.(იხ. [1], S. 190–192),(Stefan Remke, 2005, S. 58.)[16] 1957 წლის საპენსიო რეფორმამ აჩვენა, რომ გერმანიის ბისმარკისეული სოციალური დაზღვევის ტრადიცია აჭარბებდა/სჯობდა როგორც ფართო/ვრცელ ბევერიჯის-სისტემას სახელმწიფოს მოქალაქეთა უზრუნველყოფის პრინციპის მიხედვით, ისე ლუდვიგ ერჰარდის შემცირების ვერსიას(Die Schrumpfversion) სოციალურ-სახელმწიფოებრივი ინტერვენციის მიხედვით.(იხ.[12], S. 428),(Lutz Leisering, 2008, S. 428.; Stephan Lessenich, 2003, S. 153, 154.)[17] საპენსიო რეფორმის გამო, ხანდაზმულთა პენსია მეტად აღარ ითვლებოდა არსებობის შემწეობად(სუბსიდიად), არამედ - როგორც ხელფასის ჩამნაცვლებლად. სტანდარტულ პენსიას ამიერიდან უნდა მოეცვა ყველა დაზღვეულ პირთა საშუალო ხელფასის 60% (1956 წელს ეს იყო მხოლოდ 34.5%). სხვა მოვლენების მსგავსად, საპენსიო რეფორმამ აღადგინა გერმანიის მოქალაქეების ნდობა კეთილდღეობის სახელმწიფოს (სოციალური სახელმწიფოებრიობის) მიმართ და მტკიცედ გააძლიერა სოციალური მშვიდობა.(იხ. [1], S. 197–198) 1957 წლიდან, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმულა ერჰარდისეული ინტერპრეტაციით ,,გადათარგმნილი“ იქნა, როგორც სახალხო კაპიტალიზმი საბაზრო ეკონომიკისთვის, თვითმყოფადი კეთილდღეობის სახელმწიფოთი. მხოლოდ ამით იქცა სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნება, შუა გზის ცენტრალური კონსესუსისა და მშვიდობის ფორმულად.(იხ. [12], S. 425)

§ 4.1.2 ეკონომიკური სასწაული

მეორე მსოფლიო ომის დასასრულსა და პირველ ნავთობის კრიზისს შორის პერიოდი ხასიათდებოდა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებითა და შემოსავლების მატებით (ომისშემდგომი ბუმი). ამავდროულად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს შემოსავლის დონეები თანხვედრაშია (და გათანაბრებული).(Thomas Bittner, 2001, S. 7.)[18]. შემცირდა უმუშევრობა, შენარჩუნდა ფასების რელატიური(შედარებითი) სტაბილურობა და გაიზარდა დასაქმებულთა(მუშაკთა/თანამშრომელთა) შემოსავალი. ერჰარდის მიერ გაცხადებული უწყება "კეთილდღეობა ყველასათვის", ახლო მომავალში ჩანდა მიღწევადი. (Martin Greiffenhagen, 2002, S. 556.)[19] თუმცა, მრავალგზის ციტირებულ გამონათქვამს "ეკონომიკური სასწაული", უარყოფდა თავად ერჰარდი.(Eckhard Mieder, 2002, S. 68.)[20]. გერმანიაში, ომისშემდგომი ბუმი დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა, როგორც კონკრეტულად გერმანული განვითარება და ამიტომ, ბუმის მიზეზები მხოლოდ გერმანიის ეკონომიკურ პოლიტიკაში იძებნებოდა.(Ludger Lindlar, 1997, S. 1.)[21]. შემდეგ, 1970-იან წლებში მოხდა მიბრუნება ომით გამოწვეულ ზარალთან (რეკონსტრუქციის თეზა/აღდგენის დებულება - Die Rekonstruktionsthese). 1970-იანი წლების ბოლოს, ეკონომიკის ისტორიკოსებმა აღმოაჩინეს(და დაადგინეს), რომ ბრწყინვალე ომისშემდგომ ბუმს ადგილი ჰქონდა მთელ დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში. წამოყენებული იქნა თეზა, რომ იმ სახალხო მეურნეობებმა(ეკონომიკებმა), რომლებიც 1945 წლის შემდეგ შედარებით ყველაზე დაბალ პროდუქტიულობას ავლენდნენ, 1970-იან წლებამდე ყველაზე მაღალ პროდუქტიულობის მატებასა და ეკონომიკური ზრდას მიაღწიეს(დაწევის/ანაზღაურების

თეზა). ომისშემდგომი ბუმის(აყვავების) ინტერპრეტაცია ეკონომიკის ისტორიკოსებსა და ეკონომისტების შორის დღეს ჯერ კიდევ არ არის სრულიად ერთგვაროვანი. მაგრამ, გაჩნდა ფართო შეხედულება, რომ 1950-იანი წლების ბოლომდე, რეკონსტრუქციის ეფექტმა და 1970-იანი წლების დასაწყისამდე, დაწევის/ანაზღაურების ეფექტმა არსებითი როლი ითამაშა.(Peter Temin, 1997, S. 127–149.)[22].

ჰერბერტ გირში, კარლ-ჰაინც პაკე და ჰოლგერ შმიდინგი გერმანიის ომისშემდგომ ბუმს ხსნიან ორდოლიბერა-ლური წესრიგის პოლიტიკით. აღმასვლა დაიწყო საბაზრო-ეკონომიკური შოკური თერაპიით სავალუტო რეფორმის ფარგლებში. ფრთხილმა მონეტარულმა და ფისკალურმა პოლიტიკამ განაპირობა უწყვეტი ბიუჯეტის პროფიციტი. 1950-იანი წლების ზრდა იშვა დერეგულირებული ეკონომიკის სპონტანური საბაზრო ძალებით, ისევე როგორც კომპანიების (კორპორატიული) უხვი მოგებებით. შემდგომ, 1960-იანი წლებიდან მზარდმა რეგულირებამ, უფრო მაღალმა გადასახადებმა და ზრდადმა ხარჯებმა შეანელეს ეკონომიკის ზრდა.(იხ. [21], S. 55) ამ მოსაზრების საპირისპიროდ გამოდიან მაგ., ვერნერ აბელსჰაუზერი თუ მარკ შპოერერი. მათი აზრით, პოსტულირებული იქნა დასავლეთგერმანული განსაკუთრებული პროგრესი, თუმცა რომელიც, ფაქტობრივ მდგომარეობას არ შეესაბამებოდა, ვინაიდან ამ დროისთვის არსებობდა არა მხოლოდ გერმანული ეკონომიკური სასწაული, არამედ ასევე მაგ., ფრანგულიც.(იხ. [21], S. 32) საფრანგეთის ეკონომიკური ზრდა 1950-იან და 1970-იან წლებში თითქმის გერმანულის პარალელურად მიმდინარეობდა, თუმცა სოციალური საბაზრო ეკონომიკა გერმანიაში და უფრო ძლიერ ინტერვენციონისტული პლანიფიკაცია (დაგეგმარება)

საფრანგეთში, ასახავდა ეკონომიკური პოლიტიკის უძლიერეს დაპირისპირებას/კონტრასტს დასავლეთ ევროპაში.(იხ. [21], S. 32-33) ეს მიუთითებს სხვადასხვა ეკონომოკური პოლიტიკის კონცეფციის მცირე პრაქტიკულ მნიშვნელობაზე იქამდე, ვიდრე საკუთრების უფლებები და კონკურენციის მინიმალური ხარისხი (დონე) რჩება გარანტირებული.(იხ. [21], S.36),(Mark Spoerer, 2007, S. 35.)[23]. ტომას ბიტნერის აზრით, ფრანგული ეკონომიკური პოლიტიკა არ წარმოადგენდა დახურულ კონცეფციას. ასევე, ბუნდოვანი იყო სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის პოლიტიკური რეკომენდაციები. ასე, რომ ორივე ქვეყანას არ გააჩნდა თეორიულად დასაბუთებული მარეგულირებელი საერთო კონცეფცია(Die ordnungspolitische Gesamtkonzeption).(იხ. [18], S. 121) ბიტნერის თანახმად, მნიშვნელოვანი კვლევითი ხარვეზების გამო, დღემდე ვერ ხერხდება იმის შეფასება-დადგენა, თუ რა მასშტაბის წვლი შეიტანეს ერთი მხრივ, სოციალური საბაზრო ეკონომიკისა და მეორე მხრივ, პლანიფიკაციის კონცეფციებმა დასავლეთ ევროპის ომისშემდგომ მაღალ ეკონომიკურ ზრდაში.(იხ. [18],S. 121)

რეკონსტრუქციის თეზა(თეზისი) შემუშავდა კონკრეტულად გერმანული ინტერპრეტაციის უარყოფაზე. 1970-იან წლებში, განსაკუთრებით ფრანც იანოსის, ვერნერ აბელსჰაუზერისა და კნუტ ბორხარდტის მიერ შემუშავებული განმარტებითი მიდგომის თანახმად, პირველი და მეორე მსოფლიო ომის გავლენისა და მათ შუალედში არსებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის საფუძველზე, პროდუქტიულობის ზრდა ბევრად ჩამორჩებოდა გერმანიის, შესაბამისად, ევროპის ეკონომიკათა წარმოების შესაძლო პოტენციალს. თანამედროვე შრომების დამოწმებით აბელსჰაუზერმა

შეძლო დაემტკიცებინა, რომ გერმანული ინდუსტრიის ომით მიღებული განადგურების მასშტაბები მნიშვნელოვნად იყო გადაჭარბებული ლიტერატურაში.(იხ. [21],S. 63) მაშინ როდესაც მოკავშირეებმა მიაღწიეს მთლიანი ქალაქების განადგურებას, სამრეწველო ობიექტების მიზანმიმართული განადგურება სრულად მაინც ვერ შეძლეს. ყველა განადგურების მიუხედავად, არსებობდა მნიშვნელოვანი, ხელუხლებელი აქტივი, მაღალკვალიფიციური ადამიანური კაპიტალი (რესურსი) და შემოწმებული/ნაცადი კორპორატიული ორგანიზაციული მეთოდები. ამიტომ, ომის დასრულების შემდეგ არსებობდა განსაკუთრებით მაღალი ზრდის პოტენციალი.(Hans-Ulrich Wehler, S. 51.)[24]. კაპიტალის დაქვეითებული, შემცირებული ზღვრული შემოსავლის გამო, ინვესტიციის ზრდის ეფექტი განსაკუთრებით მაღალი იყო რეკონსტრუქციის დასაწყისში და შემდეგ შემცირდა, რადგან ეკონომიკა (სახალხო მეურნეობა) მიუახლოვდა გრძელვადიანი ზრდის ტენდენციას.(იხ. [21], S. 62) მარშალის გეგმას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება დასავლეთ გერმანიის რეკონსტრუქციის საქმეში, რადგან დახმარება ძალიან გვიან დაიწყო და მთლიან ინვესტიციასთან შედარებით, მხოლოდ მცირე მოცულობით გამოირჩეოდა. ასევე უარყოფილია სავალუტო რეფორმის "მითიური გაზვიადება". მაშასადამე, რეკონსტრუქციის პროცესი, წარმოების მძლავრი გაფართოებით დაიწყო ჯერ კიდევ სავალუტო რეფორმამდე ერთი წლით ადრე, რაც გადამწყვეტი წინაპირობა იყო სავალუტო რეფორმის წარმატებისთვის. (იხ. [21], S. 63)

ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებით შესაძლებელია დადგინდეს, რომ ის ქვეყნები, რომლებსაც ომის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანი მიადგათ და მკაცრი

საოკუპაციო რეჟიმები მართავდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით მაღალი ზრდის ტემპებით გამოირჩეოდნენ. ასე მაგალითად, გერმანიის გვერდით ასევე ავსტრიას, იტალიას, იაპონიას, ნიდერლანდებსა და საფრანგეთს 1945-1960 წლებში (საშუალოდ) წლიური 7-9 % ტურბულენტური(სწრაფი) დაწევის/ანაზღაურების ზრდა ახასიათებდათ. ომის შედეგად ნაკლებად დაზარალებული ან ნეიტრალური ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი "მხოლოდ" 3-4% იყო.(იხ.[23], S. 34–35) ამიტომ, ლუდგერ ლინდლარის მიხედვით, რეკონსტრუქციის თეზა გვთავაზობს 1950-იანი წლების საშუალოზე მაღალი ზრდის ტემპების განმარტებას. მაგრამ მხოლოდ დაწევის/ანაზღაურების თეზას(თეზისს, დებულებას) შეუძლია ახსნას 1960-იანი წლების მაღალი ზრდა.(იხ. [21], S. 69) ეკონომიკის ისტორიკოსების, ანგუს მადისონისა და მოსეს აბრამოვიცის მიერ 1979 წელს წამოყენებული დაწევის/ანაზღაურების თეზა, დღესდღეობით მრავალი მეცნიერ-ეკონომისტის (მათ შორის, უილიამ ჯ. ბაომოლის, ალექსანდერ გერშენკორნის, რობერტ ჯ. ბაროს, და გოტფრიდ ბომბახის) მიერაა მხარდაჭერილი.(იხ.[21], S. 85.),(Karl Gunnar Persson, 2010, S. 110 ff.)[25] დაწევის/ანაზღაურების თეზა მიუთითებს იმაზე, რომ 1950 წლისთვის, აშშ-მა ევროპულ ეკონომიკებთან შედარებით, მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა პროდუქტიულობაში (მწარმოებლურობაში). ომის შემდეგ, ევროპულმა ეკონომიკამ დაიწყო დაწევის/ანაზღაურების პროცესი და ამასთან ერთად ისარგებლა დაწევის/ანაზღაურების ეფექტით. აქვე, ევროპულმა კომპანიებმა შეძლეს ამერიკული კომპანიების მაგალითზე ორიენტირება. ფიგურალურად რომ ითქვას, დაწევის/ანაზღაურების პროცესი მიმდინარეობდა აშშ-ის მხრიდან ზურგის ქარის

ფონზე, რაც უფრო მაღალი ზრდის ტემპის შესაძლებლობას იძლეოდა. მას შემდეგ, რაც მიაღწია ამერიკული ეკონომიკის პროდუქტიულობის დონეს და დასრულდა დაწევის/ანაზღაურების პროცესი, 1970-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპის ეკონომიკა თითქოს "ქარის ჩრდილიდან" გამოვიდა. ასე რომ, ზრდის ტემპები ისეთივე მაღალი, როგორც ეს 1950-იან და 60-იან წლებში იყო, შეუძლებელი აღმოჩნდა.(Hans-Jürgen-Wagener, 2010, S. 33.)[26] დაწევის/ანაზღაურების თეზას შეუძლია ახსნას განსხვავებული ზრდის მაღალი ტემპები ერთი მხრივ, შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის, და მეორე მხრივ გერმანიასა თუ საფრანგეთს შორის. სტივენ ბროდბერის ანალიზის მიხედვით, მაგალითად, გერმანიას გააჩნდა ძლიერი პოტენციალი პროდუქტიულობის ზრდისთვის, დაბალი პროდუქტიულობის სექტორთა შემცირებით (როგორიცაა სოფლის მეურნეობა) მაღალი პროდუქტიულობის სექტორთა სასარგებლოდ (როგორიცაა ინდუსტრიული წარმოება). ამგვარი პოტენციალი ვერ აღმოაჩნდა უფრო მძლავრად ინდუსტრიულ დიდ ბრიტანეთს. მაშინ როდესაც 1950 წელს, დიდ ბრიტანეთში შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 5% მუშაობდა სოფლის მეურნეობის სექტორში, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 24%-ს შეადგენდა.(Peter Temin, 2002, S. 3–22.)[27] ლუდგერ ლინდლარის ეკონომეტრიული ანალიზის თანახმად, 1950 წლიდან 1973 წლამდე პერიოდის დაწევის/ანაზღაურების თეზა იძლევა დასკვნით და ემპირიულად საფუძვლიან ახსნას დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში სწრაფი პროდუქტიულობის ზრდისთვის.(იხ.[21], S. 95.]

§ 4.1.3 ორდო-ლიბერალური ფაზის დასრულება

ლუდვიგ ერჰარდი, კანცლერ ადენაუერის საპირისპიროდ 1954 წელს შენიშნავდა, რომ სულ უფრო რთული ხდება SPD– ს, როგორც პარტიის პოლიტიკური ოპონენტების მიერ გეგმიური ეკონომიკის დაგმობა/(მკაცრად) გაკრიტიკება, რადგან მათი ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკა თითქმის მთლიანად კონცენტრირდება ეკონომიკური უსაფრთხოების ნაკლებობაზე. თუმცა, მას მაინც სჯეროდა, რომ ორდოლიბერალიზმის ეკონომიკურ თეორიაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას შეეძლო კონიუნქტურულ ციკლთა დაძლევა.(Alexander Nützenadel, 2011, S. 244, 245.)[28] მაგრამ ასევე, ლუდვიგ ერჰარდის თანაპარტიელებს შორის გაჩნდა გეგმიური და კონიუნქტურული პოლიტიკისგან თავშეკავების ნაწილობრივი კრიტიკა. ალფრედ მიულერ-არმაკი მხარს უჭერდა (და ითხოვდა) სოციალური საბაზრო ეკონომიკის მეორე ფაზას და მის დაწყებას, რომელშიც კონიუნქტურულ პოლიტიკას გარკვეულ როლი უნდა ეთამაშა.(Bernhard Löffler, 2003, S. 586.)[29]

1960-იანი წლების შუა ხანებში მომრავლდა ნიშნები, რომ აღმშენებლობის[რეკონსტრუქციის] ფაზის განსაკუთრებული ეკონომიკური მდგომარეობა სრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ტემპები კვლავ შედარებით მაღალი იყო, რეტროსპექტივაში აშკარად ჩანდა, რომ ზრდა მცირდებოდა ციკლიდან ციკლამდე.(იხ.[28], S. 295) 1966 წლის მიწურულს ფედერალური რესპუბლიკა შეეჯახა პირველ მსუბუქ/მცირე რეცესიას, ,,რასაც ეკონომიკური სასაწაულის ქვეყანა“ სრულიად მოუმზადებელი შეხვდა.(იხ.[1], S. 371) მისი ეკონომიკური პოლიტიკის გამო, ერჰარდი პირველად გააკრიტიკეს არა მხოლოდ ოპოზიციამ, არამედ ბიზნეს-პრესამ და ეკონომიკის ექსპერტთა საბჭომ.(იხ.[28], S. 299) კრიზისს ჰქონდა

ბევრად უფრო მძიმე და სერიოზული პოლიტიკური, ვიდრე ეკონომიკური შედეგები, რამაც ერჰარდის ეპოქის დასასურლი მოიტანა.(იხ. [28], S. 295)

§ 4.2 გლობალური მართვის (კონტროლის) ფაზა (1967-1982)

1960-იანი წლების შუა პერიოდში დაიწყო სოციალური საბაზრო ეკონომიკის მეორე ფაზა(ეტაპი), რა დროსაც დემოკრატიული სოციალიზმის ეკონომიკური და სოციალურ- პოლიტიკური იდეები(წარმოდგენები) აყალიბებდა ამ ეკონომიკური სისტემის სტრუქტურას(ფორმას/სახეს). ეს სტრუქტურა აგრეთვე საჯარო მოსაზრებაში დაუკავშირდა სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას/ცნებას.(იხ. [3])

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1967 წლის სტაბილურობის კანონს, რამაც (კურსის ცვლილებით) განაპირობა აქტიურ კონიუნქტურულ(ეკონომიკურ) პოლიტიკაზე გადასვლა. ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა კარლ შილერმა მას უწოდა ”საპროცესო პოლიტიკის ძირითადი (საკონსტიტუციო) კანონი”, რომელიც ავსებდა ანტიმონოპოლური/ანტიკარტელური კანონის ძირითად მარეგულირებელ კანონს. მან ეს დაინახა, როგორც "ფრაიბურგული იმპერატივისა და კეინზიანური გზავნილის სიმბიოზი".(Otto Schlecht, 1998, S. 41.)[30] პრაქტიკაში, გლობალური კონტროლის პოსტკეინზიანური კონცეფციით, კონიუნქტურული რყევები ხანგრძლივი დროით (ან სულაც სამუდამოდ) უნდა შეჩერებულიყო. კონცეფცია თავდაპირველად საკმაოდ წარმატებული იყო დასაქმების პოლიტიკის თვალსაზრისით. სრული დასაქმების აღდგენა და შენარჩუნება შეიძლებოდა 1970-იანი წლების შუა პერიოდამდე. მაგრამ, ფულადი (ღირებულების)

სტაბილურობის პრობლემა ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა (და უფრო გამორჩეული გახდა). 1970-იანი წლების ნავთობის კრიზისებმა გაამძაფრა ფასების წნეხი იმპორტირებული ინფლაციით. 1970-იანი წლებიდან ასევე შენელდა ეკონომიკური ზრდა მსოფლიოში. შედეგად, ზუსტი კონიუნქტურული რეგულირება გახდა უფრო რთული.(იხ.[1], S. 394)

1976 წლის კანონმა(აქტმა) სამეურნეო საკითხების გადაწყვეტილებში მონაწილეობის შესახებ(Das Mitbestimmungsgesetz) 1952 წლის საწარმოთა (სამრეწველო) საკონსტიტუციო აქტთან(Das Betriebsverfassungsgesetz) საპირისპიროდ, შემოიღო გაფართოებული კოდეტერმინაცია(გაფართოებული თანაგადაწყვეტილება/მშრომელთა თანამონაწილეობა კენჭისყრაში, ხმის მიცემაში, არჩევნებში, Die erweiterte Mitbestimmung), რაც ასევე ითვალისწინებდა შემდეგს: კომპანიებსა და კონცერნებში, რომელთაც 2000-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავთ, იქმნება სამეთვალყურეო საბჭო(Der Aufsichtsrat) პარიტეტული რაოდენობით, აქციონერთა და მეწარმეთა წარმომადგენლებთან ერთად. ამასთან, კენჭისყრის (ხმის მიცემის) დროს, თანაბარი ხმის(Die Stimmengleichheit) შემთხვევაში, ცხადია გადამწყვეტია (დამქირავებლის მხრიდან წარმოდგენილი) სამეთვალ-ყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

კანონი(აქტი) სამეურნეო საკითხების გადაწყვეტი-ლებაში მონაწილეობის შესახებ(Das Mitbestimmungsgesetz) უნდა მომსახურებოდა შრომის სამყაროს ჰუმანიზაციას იმით, რომ აქციონერების ინტერესების გვერდით, ასევე დასაქმებულთა (მუშაკთა/მშრომელთა) ინტერესები უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.(Rüdiger Soltwedel, 1988.)[31]

სამეურნეო საკითხების გადაწყვეტილებაში მონაწილეობა (Die Mitbestimmung), გერმანიაში თავიდანვე მიზნად ისახავდა ტრანსაქციის ხარჯების შემცირებას. ტრანსაქციის ხარჯები შიდასაწარმოო სფეროში მით უფრო დაბალია, რაც უფრო გამოხატულია სანდო, ნდობითაღსავსე თანამშრომლობის შესაძლებლობა. ხოლო მეორე მხრივ, ტრანსაქციის ხარჯები მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტადაა შესაძლებელი თანამშრომლობა, მხოლოდ ფორმალური წესებისა და იძულებითი ზომების დახმარებით. ხანგრძლივად სტაბილური და დაბალი კონფლიქტური შრომითი ურთიერთობები, საშუალებას აძლევს კომპანიებს, რომ მათ გრძელვადიან საფუძველზე(პერსპექტივაში) განახორციელონ ინვესტიციები თანამშრომლების განათლებასა და მათი კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლლებაზე. არამატერიალური ღირებულების შექმნის სწრაფი ზრდის(აღმავლობის) პირობებში, ეს სწორედ რომ სამეწარმეო წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა პოსტ-ინდუსტრიულ, შესაბამისად, ცოდნის საზოგადოებაში(Die postindustrielle Gesellschaft bzw. Wissensgesellschaft), ვინაიდან არამატერიალური ღირებულების შექმნა როგორც წესი დაფუძნებულია იმ სპეციფიკურ ცოდნაზე, რაც არც თუ ისე მარტივად ჩანაცვლებადია და მისი პროდუქტიული იმპლემენტაცია(განხორციელება) არც თუ ისე იოლად გასაკონტროლებელი(რეგულირებადი, სამართავი). ამავე დროს, კომპანიებს აქვთ უფრო დიდი სტიმული/მოტივაცია განახორციელონ ძვირადღირებული კაპიტალის ინვესტიციები, რაც სწორედ სტრუქტურული ცვლილებების დროს ამყარებს და აძლიერებს გერმანიის პოზიციას. სწორედ შრომის დანაწილების უწყვეტი განვითარებისა(პროგრესის) და არამატერიალური წარმოების საფუძველზე, რაც

პრინციპში ზრდის ტრანსაქციის ხარჯებს, შეიძლებოდა პრაქტიკაში ასევე კარგად განვითარებულიყო (და წარმატებული ყოფილიყო) კოდეტერმინაციის(სამეურეო საკითხების გადაწყვეტილებში მონაწილეობის (Mitbestimmung/codetermination/worker participation]) ინსტიტუცია.(იხ.[1], S. 386–388) იურგენ შრემპის თანახმად, კოდეტერმინაცია არის გერმანული მოდელის ნაწილი, რომელიც ხელს უშლის მოკლევადიანი მოგების მაქსიმიზაციას, მომავალში საჭირო ინვესტიციის საზიანოდ(იხ.[1], S. 490)

სოციალურ პოლიტიკაში ადგილი ჰქონდა კეთილდღეობის სახელმწიფოს შემდგომ გაფართოებას. 1972 წლის საპენსიო რეფორმამ მოახდინა სადაზღვეო დაცვის (Der Versicherungsschutz) მოსახლეობის უფრო მეტ ნაწილზე განვრცობა([გა]დაფარვა), როგორიცაა თვითდასაქმებულები(Die Selbständige), სტუდენტები, დიასახლისები, ფერმერები(Die Landwirte) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი. კრიტიკოსებმა მასში ზოგადად, დაზღვევის ბუნების გაუფასურება-გაუბრალოება დაინახეს.(იხ. [1], S. 498)

§ 4.3 წესრიგის (მარეგულირებელი) პოლიტიკისა და მიწოდებაზე ორიენტირების დომინაციის ფაზა (1983 – 1989)

1982/83 წლის შემობრუნების მომენტი იყო 1960 და 1970-ანი წლების მოთხოვნის პოლიტიკის(მოთხოვნაზე ორიენტირებული პოლიტიკის) დასრულება და მიწოდების პოლიტიკაზე(მიწოდებაზე ორიენტირებულ პოლიტიკაზე) გადასვლა, რასაც უნდა აღედგინა სრული დასაქმება. ამას მოჰყვა საერთაშორისო ტენდენცია (რეიგანომიკა Reagonomics, ტეტჩერიზმი Thatcherismus

და ფრანსუა მიტერანის "politique de rigueur"). ამასთან, Deutsche Bundesbank - მა და მოგვიანებით ევროპულმა ცენტრალურმა ბანკმა ვიდრე სხვა ცენტრალურმა ბანკებმა, უფრო გადამწყვეტად და ხანგრძლივად განახორციელეს მონეტარული ფულადი პოლიტიკის რესტრიქციული (შემზღუდავი) ინტერპრეტაცია, თუმცა ამგვარი ფულადი პოლიტიკა არსად აღმოჩნდა წარმატებული.(იხ. [1],S. 501 f.) პრაქტიკაში, ფედერალური მთავრობა მიჰყვებოდა მიქსის(ნაზავის) პოლიტიკას(policy mix), რომელიც უწინდებურად, ფისკალური პოლიტიკის საშუალებით, კვლავ შეიცავდა ეკონომიკური განვითარების (ეკონომიკურ განვითარებაზე) გარკვეულ კონტროლს/ რეგულაციას. განზრახული/დაპირებული სუბსიდიების შემცირება კვლავ რიტორიკულად დარჩა, ხოლო სოციალური ხარჯები, თავდაპირველი შემცირებების შემდეგ უფრო მეტად გაიზარდა. გადასახადების შემცირებამ შეამსუბუქა საგადასახადო ტვირთი, ერთად აღებული 63 მილიარდი DM-ით, მაგრამ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოახდინა ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდაზე. გლობალური ეკონომიკური(კონიუნქტურული) გაჯანსაღების დროს უმუშევრობამ გარკვეულწილად იკლო 1983 წლიდან, მაგრამ შემდეგ, 1990-იან წლებში, მან ახალ სარეკორდო დონეს მიაღწია. 1970-იანი წლებიდან მოყოლებული, ადვილად შესამჩნევი უმუშევრობის ზრდის ტენდენცია უწყვეტი დარჩა.(იხ. [1], S. 501-503)

§ 4.4. გერმანიის ერთიანობა (1990)

1990 წლის 18 მაისის ხელშეკრულებაში სავალუტო (მონეტარული), ეკონომიკური და სოციალური კავშირის შესახებ, სოციალური საბაზრო ეკონომიკა განისაზღვრა როგორც გაერთიანებული გერმანიის საერთო ეკონომიკური სისტემა(წესრიგი). სახელმწიფო ხელშეკრულებაში ეს განსაკუთრებით განისაზღვრა კერძო საკუთრებით, წარმოების კონკურენციით, თავისუფალი ფასწარმოქმნითა და პრინციპულად,- შრომის, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების გადაადგილების სრული თავისუფლებით (მუხლი 1 (3)).(Otto Schlecht, 1990, S. 182 ff.)[32]

ეკონომიკური სასწაულის ისტორიული მაგალითის საფუძველზე დაყრდნობით, გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი, ისევე როგორც გერმანელი პოლიტიკოსების უმეტესობა და დასავლეთ გერმანიის ეკონომისტები თვლიდნენ, რომ ხუთ ახალ ბუნდეს (ფედერალურ) მიწაზე შესაძლებელი იყო ერთგვარი ეკონომიკური სასწაულის გაჩაღება, მხოლოდ წესრიგის (მარეგულირებელი) პოლიტიკით სტიმულირებული (წახალისებული) და ინდუცირებული(წაქეზებული) საბაზრო ძალების გათავისუფლებით. მთავრობა არსებითად მიჰყვებოდა ლუდვიგ ერჰარდის 1953 წლის ბიულეტენს (Das Bulletin), რომელშიც იგი გეგმავდა გერმანიის გაერთიანების ეკონომიკურ იმპლემენტაციას (აღსრულებას). ერჰარდი თვლიდა, რომ გერმანიის გაერთიანება „გაათავისუფლებს ძალებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადამიანურ ურთიერთობებში“, „რომლის ძალაუფლება და ძლიერება, არაფერს ტოვებს გეგმიური ეკონომიკის ეკონომისტების სასკოლო სიბრძნეზე საოცნებოს “. იმ პერიოდში კონრად ადენაუერი უკვე

უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი. მისი აზრით, გ.დ.რ.-ის ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ,,ამ სფეროში, გაერთიანების შემდეგ, მუშაობა გაუთანაბრდება ახალ კოლონიზაციას. ეს შეიწოვს ფედერალური რესპუბლიკის ეკონომიკურ ძალას მომდევნო წლების განმავლობაში.“ აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკის ცუდი მდგომარეობის გარდა, უწინარესად მონეტარული, ეკონომიკური და სოციალური კავშირის შეცდომა, Ostmark– ის D-Mark-სთან მიმართებით ძალიან მაღალი გაცვლითი კურსის ჩამოყალიბება(დადგენა), ტვირთი იყო ეკონომიკური წარმატების მიღწევის გზაზე აღმოსავლეთ გერმანიაში. გადაჭარბებულმა (თვით)შეფასებამ გამორიცხა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა და 1990 წლის 31 დეკემბერს, სატრანსფერო რუბლის ანგარიშსწორების ამოწურვით, აღმოსავლეთ გერმანიის ექსპორტი მოულოდნელად ჩამოიშალა(კოლაფსი). მაღალი გაცვლითი კურსი ასევე არ შეესაბამებოდა იმ ისტორიულ მოდელს, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილმა 1948 წლის სავალუტო რეფორმამ გამოიწვია/ განაპირობა D-Markt-ის კურსის შემცირებასთან(შესაბამისად, შეუფასებლობასთან) მიმართებით, და რამაც გაზარდა ახალგაზრდა ფედერალური რესპუბლიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. საბოლოო ჯამში, 1950-იანი და 1960-იანი წლების ეკონომიკური სასწაული გაუმეორებელი აღმოჩნდა.(იხ. [1]S. 445–449)

§ 4.5 ცვლილება(ტრანსფორმაცია) 1990 წლიდან

90-იანი წლების დასაწყისში მიშელ ალბერტმა, გერმანიისა და ამერიკის ეკონომიკური სისტემების საყურადღებო, მრავლისმთქმელ შედარებისას, ხაზი გაუსვა გერმანული მოდელის ეკონომიკურ და სოციალურ უპირატესობას. ამასთან, რასაკვირველია ის ხვდებოდა, რომ თავისი ამერიკული კონკურენტის პოლიტიკური, მედიალური და კულტურული გავლენის ქვეშ მყოფ წმინდა კაპიტალიზმს(Der reinische Kapitalismus) მაინც უკან უნდა დაეხია.(იხ. [1], S. 503) 90-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, მნიშვნელოვნად დაჩქარდა 1980-იან წლებში გაუბედავად დაწყებული პრივატიზაციის, დერეგულირებისა და განსახელმწიფო-ებრიობის პროცესი. განსაკუთრებით ძლიერი გავლენა იქონია ფინანსური სექტორის ლიბერალიზაციამ.(იხ. [1], S. 503) 2000 წლის საგადასახადო რეფორმის საშუალებით, კორპორაციის შესახებ საგადასახადო კანონის შეცვლით, გერმანიის აქციონერული საზოგადოებები(Deutschland AG) უნდა განადგურებულიყო რადგან, ჰანს აიხელის აზრით, ეკონომიკური ურთიერთობების მჭიდროდ დაკავშირებული ლანდშაფტის გერმანული მოდელი გაიყინა და მეტად აღარ აკმაყოფილებს გლობალური ბაზრების მოთხოვნებს. კომპანიის გრძელვადიანი სუბსტანციისა(არსებობისა) და პერსპექტივის ოპტიმიზაციის ე.წ. Stakeholder-Value-ის მიდგომიდან მოხდა რეორიენტაცია, ანგლო-საქსურ ქვეყნებში ყოველთვის ტრადიციული ე.წ. Shareholder value-ს მიდგომის მიმართულებით, რაც გულისხმობს ორიენტიერებას მოკლევადიანი მოგების მოლოდინებზე. ამ სააღრიცხვო(ანგარიშგების) პრაქტიკის ცვლილებასთან (საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში) და მოგებაზე ორიენტირებულ მენეჯერთა სოლიდურ

ანაზღაურებასთან(დაჯილდოება; კომპენსაცია) ერთად, ეს შესაბამისად გავლენას ახდენდა დიდი გერმანული კომპანიების ბიზნესპოლიტიკაზე.(იხ. [1], S. 506),(Gerhard Himmelmann, 2007)[33] ასევე მოხდა ინსტიტუციური ცვლილება(ტრანსფორმაცია) ბანკირების(ფინანსისტების) გილდიაში. ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში, Deutsche Bank - ის გამგეობის სპიკერი(Der Vorstandssprecher აღმასრულებელი დირექტორი) აღიარეს ავტორიტეტად საბანკო სექტორში და მის ფარგლებს გარეთ, და მცდარი განვითარებების(არასასურველი გამოვლინებების) შემთხვევაში (ის) ერეოდა, როგორც გერმანიის აქციონერული(სააქციო) საზოგადოების (Deutschland AG)-ის ბოლო ინსტანცია. რეპუტაციაზე დაფუძნებულმა და მზრუნველმა ბიზნეს-პოლიტიკამ გზა მისცა(ადგილი დაუთმო) მაღალი სპეკულაციური ტრანსაქციების/ოპერაციების (სავაჭრო ბიზნესგარი-გებების) საცდურს, განსაკუთრებით დერივატებით ვაჭრობას.(იხ.[1], S. 263)

ამ პროცესების წყებათა გამო, გერმანიის ერთიანობის კვლადაკვალ, კარლ-ჰაინც პაკეს მიაჩნია, რომ "სოციალური საბაზრო ეკონომიკის რეგენერაციამ [...] მნიშვნელოვან მასშტაბს/ზომას მიაღწია." Karl-Heinz Paqué, 2012, S. 203)[34]

მეორე მხრივ, ვერნერ აბელსჰაუზერი პირიქით, იძლევა გაფრთხილებას თამაშის ანგლო – საქსური წესების ღრმა ათვისებისა და საწარმოო(სასქონლო) რეჟიმის შეცვლის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღმოცენებული სტრუქტურები შეიძლება სწრაფად დაიშალოს, ახალი წესები და ორგანიზაციის ფორმები მხოლოდ ნელა იქმნება. ამგვარი რადიკალური ოპერაციების წარმატება ასევე გაუგებარი რჩებოდა.

წმინდა კაპიტალიზმმა (Der rheinische Kapitalismus) ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ გერმანიის ეკონომიკის პროდუქტიულობა საერთაშორისო მასშტაბით, მოწინავე პოზიციაზეა. ასევე, ინოვაციის უნარი საზოგადოდ, არ არის სადავო თავად კრიტიკოსების მიერაც კი.(იხ.[1], S. 503–504) გარდა ამისა, 2007 წლიდან ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი აჩვენებს, რომ გლობალიზაციის პირობებშიც კი, პროდუქტიული წესრიგის (მარეგულირებელი) პოლიტიკა და სამთავრობო ჩარჩოები (Die produktive Ordnungspolitik und staatliche Rahmensetzung), ტრადიციული სოციალური საბაზრო ეკონომიკის გაგებით, გლობალიზაციის პირობებშიც კი არავითარ შემთხვევაში არ არის მოძველებული, პირიქით, დღეს უფრო მეტად საჭიროა ვიდრე ოდესმე.(იხ. [1], S. 528)

თავი 5. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ეკონომიკის ეთიკის პრიზმაში.

§ 5.1 სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკური საფუძვლები (დასაწყისი)

დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში(მაგ., გერმანია, ავსტრია და სხვ.) განვითარდა სოციალური საბაზრო ეკონომიკის ესა თუ ის ფორმა(შდრ. Noll, 2002, S.45ff), რისთვისაც მრავალი ძირითადი იდეა აღმოცენდა ე.წ ფრაიბურგის სკოლიდან, რომელსაც (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ) წარმოადგენდნენ ვალტერ ოიკენი და ფრანც ბიომი. ისინი კონკურენციას ხედავენ, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც სამართლიანი გაცვლის (ეკონომიკაში აქტიორები თავად თანმხდებიან ტრანსაქციაზე), მიზნისა და საშუალებათა არჩევანის, ისევე როგორც ცალკეული ინტერესეთა ჯგუფის (რომლებიც ბაზრიდან გაქრებიან, თუ ისინი ხანგრძლივი დროით არ ემსახურებიან საზოგადოებას) ძალაუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, ამ ინდივიდუალური პრინციპის გარდა, ასევე მნიშვნელოვანი ხდება სოლიდარობის პრინციპიც, რითაც სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ინდივიდებს მათი კეთილდღეობის მიღწევაში, თუ მათ თავად არ შეუძლიათ ამისთვის ზრუნვა.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის კონკურენციაზე დაფუძნებული ეკონომიკა, შეპირობებული ჩარჩო-წესრიგით, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს სოციალური უსაფრთხოება.

ამდენად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სტაბილური ვალუტა, ბაზარზე თავისუფალი წვდომა და მონოპოლების პრევენცია(თავიდან აცილება), ასევე, შექმნას სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების (დადების) თავისუფლებას ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას და მის დაკმაყოფილებას (ეკონომიკური ჩარჩო-წესრიგი). ამავდროულად, ისეთმა სამთავრობო ინტერვენციებმა (ჩარევებმა), როგორიცაა უმუშევრობის შემწეობა(ფულადი დახმრება), ბინათმშენებლობის მხარდაჭერა/ ხელშეწყობა(საცხოვრებელი სუბსიდიები) ან სხვა

სოციალური ტრანსფერები, შესაძლებელი უნდა გახადოს საზოგადოებრივი გათანაბრება(სოციალური ბალანსი/წონასწორობა) (შდრ. Martis/Stiefel, 1991, S. 174f.). ეს ძირითადი იდეა წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ლაიტმოტივს (სახელმძღვანელო პრინციპს) და აღმოცენდება იმ ცოდნიდან, რომ ბაზარს არ შეუძლია ავტომატურად უზრუნველყოს იმგვარი ცხოვრების წესი, რომელიც მისაღები იქნება ყველასთვის. მაშასადამე, სოციალური საბაზრო ეკონომიკა მისდევს ეთიკას, რომელიც a priori(თავიდანვე) არ იღებს არგუმენტს, სპონტანური წესრიგის გამართლების შესახებ.

ეკონომიკის(ბიზნესის) ეთიკის მრავალი თვალსაზრისით საკვანძო საკითხია: ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა ყოველთვის არ შეესაბამება ზემოთ აღწერილი სოციალური საბაზრო ეკონომიკის იდეებს. ის ხშირად მოითხოვს სოციალური ხარჯების შემცირებას, მრავალი სფეროდან სახელმწიფოს გასვლას და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის პასუხისმგებლობის გადაცემას ინდივიდზე, რომელმაც საკუთარი პოზიციები უნდა დაიცვას ბაზარზე. ეკოლოგიის, ხანდაზმულთა მიმართ მოპყრობის(ასაკთან დაკავშირებული), გენდერული საკითხები ან გარკვეული წარმოების მეთოდების გარეგანი ეფექტები(Die externe Effekten), ასევე წარმოადგენს ეთიკურ გამოწვევებს ეკონომიკური პოლიტიკისთვის. რატომ მოდის ეს ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ პუნქტებთან(საკითხებთან) წინააღმდეგობაში ? საქმე იმაშია, რომ ნეოკლასიკური ეკონომიკის გავლენა პოლიტიკაზე, კერძოდ მისი ნეოლიბერალური გამოხატულება(ფორმა/ხასიათი), რომელიც ემყარება ეკონომიკური რაციონალიზმის გარკვეულ პრინციპებს (ეს პრინციპებია: 1).სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის მაქსიმიზაცია ყოველთვის სწორია და კარგი; 2).ეს ეფექტიანობა საუკეთესოდ თავისუფალ ბაზარზე მიიღწევა; 3).ნეოკლასიკური თეორიის მკაცრი ვარაუდები, (რომლებიც ამგვარი ეფექტიანობის შესაძლებლობას იძლევა, ხელს არ უშლის მათ გამოყენებას პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკაში.),

სულაც არ იმყოფება თანხვედრაში სოციალური საბაზრო ეკონომიკის ბევრ ძირითად ასპექტთან. თუმცა, ბაზრის ფუნქციონალური ლოგიკისა და გარკვეული მორალური სტანდარტების ურთიერთკავშირში, კონტრ-არგუმენტებად შეიძლება დასახელდეს რიგი საკითხები, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს შემდეგი: საბაზრო სისტემა არ ფუნქციონირებს ფიზიკური პირების მიერ შეთანხმებული ხელშეკრულებების დაცვისა და მათი შესრულების, ანტიმონოპოლური(ანტიკარტელური) ორგანოებისა, და ღარიბთა და ავადმყოფთა საარსებო წყაროს(საშუალებათა) უზრუნველყოფის გარეშე. ეკონომიკური ეთიკის თვალსაზრისით, ეს არგუმენტები ეჭვს არ იწვევს.

საზოგადოებრივი და ეკონომიკური წესრიგი(სისტემა) არ შეიძლება, რომ მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის კუთხით შეფასდეს, <<არამედ, ის აგრეთვე უნდა პასუხობდეს მორალის მოთხოვნებს>>.(M. Branahl, 1991, S. 169)[1] სოციალური საბაზრო ეკონომიკა ხშირად გამხდარა მკაცრი კრიტიკის საგანი. მას ადანაშაულებენ ეგოიზმსა და ინდივიდუალიზაციაში, მატერიალიზმში, მოგებასა თუ ექსპლუატაციაში. ამდენად, მთლიანობაში, მის სასაყვედუროდ შეიძლება ითქვას, რომ აკლია ეთიკური განსაზღვრულობა. აქედან აღმოცენდება <<ეკონომიკის ეთიკის ძირითადი პრობლემა>>(K. Homann, 1994, S. 16)[2], რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედებებში (ქმედებათა აღსრულებებში) კონკურენცია და მორალი ჩანს ურთიერთგამომრიცხავი, რის შედეგადაც, მორალურად მოქმედ აქტიორს გრძელვადიან პერსპექტივაში მოუწევს ბაზრის დატოვება.

ჯერ კიდევ ეკონომისტმა და მორალის ფილოსოფოსმა ადამ სმიტმა აჩვენა, თუ როგორ უნდა გადაიჭრას დაძაბულობა კონკურენციასა და მორალს შორის: იმ დროს როდესაც ეკონომიკური აქტივობები მიმდინარეობს/ წარიმართება კონკურენციული პირობების ქვეშ, ჩარჩო-წესრიგი, რომლის ფარგლებშიც ხდება ქმედებები, აიგება

ეთიკურ თვალსაზრისებზე. ცნობილი გერმანელი პროფესორი ჰომანი მას განმარტავს(და მეტ სიცხადეს სძენს) სპორტის მაგალითზე: როგორც ფეხბურთის თამაშის დროს, ეკონომიკაშიც არსებობს განსაზღვრული წესები, რომელთა შესახებ მოთამაშეთა შორის არის კონსესუსი და რაც მსაჯის მიერ კონტროლდება. ამ წესების საფუძველზე წარიმართება შემდგომ სპორტული, შესაბამისად საბაზრო, ეკონომიკურად ეფექტური (და სამართლიანი) კონკურენცია (იხ. [2]).

ამ მხრივ (გარდაუვალ) აუცილებლობას არ წარმოადგენს წინააღმდეგობა ეკონომიკური სუბწესრიგის/სუბსისტემის ავტონომიასა და საზოგადოების ეთიკურ სტანდარტებს შორის. ეთიკა და ეფექტიანობა არ არის ურთიერთგამო-მრიცხავი წინააღმდეგობა (დაპირისპირებულობა, კონტრასტი; ანტაგონიზმი), არამედ, - <<სოციალური საბაზრო ეკონომიკის>> მედლის ორი მხარე. ამასთან, პოლიტიკური ინსტანციების (ხელისუფლების) ამოცანა არის თამაშის წესების იმგვარად მოწყობა, რომ ის აკმაყოფილებდეს ეთიკურ მოთხოვნებს(პრეტენზიებს, სტანდარტებს): მაშასადამე, წმინდა საბაზრო ეკონომიკა <<შთაგონებული უნდა იყოს სოციალური ეთიკით (ე.ი. ის საჭიროებს სოციალურ ეთიკას)>> (Schlecht 1993, 13).

სწორედ მსგავსი მიდგომა ამართლებს იმას, რომ <<წმინდა>> საბაზრო ეკონომიკის ნაცვლად, გერმანიის საზოგადოებრივი და ეკონომიკური წესრიგის(სისტემის) ფორმას წარმოადგენს <<სოციალური საბაზრო ეკონომიკა>>. საბაზრო ეკონომიკის ცნების <<სოციალური>> მიმართულებით გაფართოება მოიცავს სამ დიმენსიას:

პირველი არის კერძო სამეურნეო გეგემების კოორდინაცია საბაზრო ეკონომიკურ წესრიგში (სისტემაში), შესამჩნევი ძალაუფლებისა და დისკრიმინაციის პირობების არარსებობით. გაცვლა წარმოებს მხოლოდ ორივე გაცვლის პარტნიორის თანხმობით. ამ მხრივ გაცვლას <<უხილავი ხელით>> გადააქვს(ახდენს ტრანსმისიას) ინდივიდუალურ

სურვილები საერთო კეთილდღეობაში. ამიტომ, მიულერ-არმაკი სოციალურ საბაზრო ეკონომიკას აღნიშნავდა როგორც <<მშვიდობის წესრიგს(სისტემას)>>(A. Müller-Armack, 1974, 239 ff.)[3].

მეორე, აღწერილი სახელმწიფო წესრიგის პოლიტიკა უზრუნველყოფს ჩარჩო-პირობების არსებობას ინდივიდუალური მოქმედებებისთვის და გარანტირებს კონსტიტუტიურ(ძირითად/ფუძემდებელ) და მარეგულირებელ პრინციპებს, როგორიც არის ეფექტური კუნკურენციისა თუ ფულის ღირებულებითი სტაბილურობის გარანტია(უზრუნველყოფა/დაცვა). შემდეგ, სახელმწიფო ჩარჩო-წესრიგის ფარგლებში ვლინდება (და პოულობს გამოყენებას) კონკურენციის თავისუფლებისა და კეთილდღეობის მზარდი გავლენები.

და ბოლოს, მესამე არსებითი და ფუძემდებლური, თუმცა სუბსიდიარული(დამხმარე) ელემენტი ემსახურება სპეციალურ სოციალურ უზრუნველყოფასა და დახმარებას გაჭირვებულთათვის, რათა დახმარების მსაჭიროებელ ადამიანთა ღირსეული ცხოვრება იქნას გარანტირებული.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკური მოთხოვნების თამასა ჯერ კიდევ ლუდვიგ ერჰარდის მიერ ძალზედ მაღლა იქნა აწეული. ერჰარდის მიხედვით, საბაზრო ეკონომიკას <<მხოლოდ იქამდე და მხოლოდ მაშინ ექნება ეკონომიკური და ეთიკური გამართლება, როდესაც ის ეკონომიკის ნებისმიერ სხვა ფორმაზე მეტად და უკეთ უზრუნველყოფს მთელი ხალხის ოპტიმალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, როდესაც ის მოქალაქის ნომინალურ შემოსავალს რეალურ მსყიდველობით ძალას შესძენს>>(Hohmann, K., 1988g, S.173)[4], ანუ, ლუდვიგ ერჰარდის სხვა გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, როდესაც ის ქმნის <<კეთილდღეობას ყველასათვის>>.

§ 5.2 სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკური საფუძვლები (გაგრძელება)

სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკური წესრიგის ფორმა, რაც ეფუძნება სოციალური უზრუნველყოფისა და ეკონომიკური თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპებს. მისი ინტერესი შესაძლოა სამგვარი თვალსაზრისით კვალიფიცირდეს. პირველი, - სოციალური საბაზრო ეკონომიკის გაცხადებული მიზანია ბაზრისა და კონკურენციის ეკონომიკური პოზიტივის სოციალური თანასწორობის მოთხოვნებთან დაკავშირება. ამ კონცეფტის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ის, <<თუ როგორ უნდა მოხდეს სოციალური უზრუნველყოფისა და ეკონომიკური თავისუფლების დივერგენტული(განსხვავებული) მიზნების მორიგების>>(Mueler-Armack, Alfred, 1976, S.236)[5] საკითხთან დაკავშირებული გადაჭრის გზების ჩვენება, და რომელიც სოციალური სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკას შორის დამოკიდებულების კიდევ უფრო ნათლად წარმოჩენის კუთხით, დღემდე რჩება არსებულ დისკუსიათა საბაზისო საკითხად. მეორე, - <<სოციალურის>> ატრიბუტი მიანიშნებს სოციალური საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებრივ მოთხოვნებზე. ამ პროგრამის დამფუძნებელი მამების სურვილი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ ეფექტური ეკონომიკური და სოციალური წესრიგის შექმნა. ისინი მიზნად ისახავდენენ საზოგადოების (societas) ყოვლისმომცველ ფორმირებას. სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციაში მისწრაფება ხდება იმგვარ საზოგადოებრივ წესრიგზე, რომელშიც კლასობრივი ბარიერების მიღმა ყველა თანაბარ შანსებს იღებს. ამ აზრით ლუდვიგ ერჰარდის <<კეთილდღეობა ყველასთვის>>(Erhard, Ludwig 1957, 2000.)[6] გაგებულ უნდა იქნას არა მხოლოდ როგორც წმინდა მატერიალური მოხმარება (consumerism), არამედ, მის უკან დგას სადისტრიბუციო-პოლიტიკური პროექტი, რაც თითოეულს აძლევს შესაძლებლობას,მონაწილე გახდეს საერთო ეკონომოკურ და სოციალურ წარმატებათა პროცესში. ალფრედ მიულერ-არმაკი თავის <<ირენიული

ფორმულის>> (ბერძ.eirene: მშვიდობა) იდეაში პროგრამულად ასევე მოითხოვს ეკონომიკური ეფექტიანობისა და საზოგადოებრივი სურვილის მორიგებას, რაც ამავე დროს საზოგადოების შიგნით არსებულ განსხვავებულ წარმოდგენათა დაზავებას უნდა დაეფუძნოს. მესამე, - სოციალური საბაზრო ეკონომიკის სოციალური ინტერესი ასევე შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ავთენტურად ეთიკური, შესაბამისად ნორმატიული ინტერესი. ბაზარი და კონკურენცია არის საზოგადოებრივი ფორმირების საშუალება და არა მიზანი. საზოგადოებრივი მიზანი არის ადამიანის ღირსების შესაფერი წესრიგი, რომელიც ხელს უწყობს თითოეულს წარმატებული ცხოვრების მიღწევაში. კლასიკური ფორმით ეს ინტერესი გამოხატულებას პოულობს ფრანც ბიომისა და ვალტერ ოიკენის მიერ დაფუძნებული კრებული <<Ordo>>-ს წინასიტყვაობაში: << ჩვენი მოთხოვნა იფარგლება ეკონომიკური და სოციალური წესრიგის შექმნით, რომელშიც ეკონომიკური წარმატება და ღირსეული ყოფითი პირობები თანაბრად არის უზრუნველყოფილი. რადგან ამ მიზნის მიღწევისათვის კონკურენცია მნიშვნელოვანია, რომლის გარეშეც იგი მიუღწეველი დარჩებოდა, ამიტომ ვსაჭიროებთ მას. ის არის საშუალება, და არა საბოლოო მიზანი>>(Ordo 1, 1948, XI)[7].

ეთიკურ საფუძველზე დამყარებული სოციალური საბაზრო ეკონომიკის სწორედ ამგვარი გააზრებაა მისაღები ფორმა, რომლის ერთ მხარეს მას ძალუძს გააცხადოს ამ ეკონომიკური და სოციალური წესრიგის მაღალი საზოგადოებრივი და ყოფითი მოთხოვნები, ხოლო მეორე მხარეს, დღევანდელ ინტერპრეტატორთა ამოცანას წარმოადგენს კვლავდაკვლავ განსაზღვრონ ამ კონცეფციის ნორმატიული შინაარსი. ამისათვის უპირველესად აუცილებელია, რომ ქრისტეანული ტრადიციის პოზიციიდან გავიხსენოთ სოციალური საბაზრო ეკონომიკის მამების სპეციფიკურად ეთიკური მისწრაფებანი.

მისი დროის კრიზისები - ვაიმარის რესპუბლიკის რღვევისა და ნაციონალ-სოციალიზმის პერიოდში,

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოაზროვნეთათვის უპირველეს ყოვლისა ასევე <<საზოგადოების სულიერ-მორალურ კრიზისში>>(Röpke, Wilhelm 1944, 1979. S.193)[8] იყო საძიებელი. მათთვის დასავლეთ ევროპის კულტურის რელიგიური ფესვებისაკენ შემობრუნების გარეშე წარმოუდგენელი იყო <<civitas humana>>-ს მშენებლობა: <<საბაზრო ეკონომიკა ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. ის განხილული უნდა იქნას ყოვლისმომცველ ურთიერთკავშირის კონტექსტში>> (იხ.[8], გვ.146). ამ კონტექსტში ალფრედ-მიულერ არმაკი საუბრობს მეტაეკონომიკურ მოცემულობაზე, როგორც წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის წინაპირობაზე.

მრავალრიცხოვანი ციტატების გვერდით, რომლებიც სოციალური საბაზრო ეკონომიკის წარმომადგენელთა ცალკეულ შრომებში მოიძებნება, რელიგიური და ეთიკური საფუძვლების მნიშვნელობა ძლიერ ცხადი ხდება დოკუმენტში,რომელიც ე. წ. ფრაიბურგელთა წრის (Der Freiburger Kreis) გარემოში აღმოცენდა და მიმართული იყო ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის წინააღმდეგ. 1942 წლის ზაფხულში ბერლინელი მღვდელი დიტრიხ ბონჰოეფერი გამოვიდა მოწოდებით, რომ ე.წ .აღმსარებელი ეკლესიის (Die Bekennende Kirche [BK]) დროებით მმართველობას თხოვნით მიემართა ფრაიბურგელთა წრისთვის, რათა მათ ომის შემდგომი გერმანიის ახალი წესრიგისთვის შეექმნათ მემორანდუმი. ამ მემორანდუმის მთავარი ნაწილი, რომელიც უმთავრესად ფრაიბურგელი ისტორიკოსის გერჰარდ რიტერის მიერ დაიწერა, შეიცავს რამდენიმე დანართს, მათშორის ეკონომიკისა და სოციალური წესრიგის შესახებ,რაც ვალტერ ოიკენისა და მისი ორივე კოლეგის, ეკონომისტების ქრისტიან ფონ დიტცესა და ადოლფ ლამპეს მიერ იქნა შემუშავებული.

ამ სისტემაში სამი ავტორი გამოყოფს მომავალი ეკონომიკური სისტემის სამ ძირითად მიმართულებას: (1) ღვთის სიტყვა,(2) ეკონომიკის ობიექტური საჭიროება და (3) ფაქტიური და მომავალი ეკონომიკური სიტუაცია. შინაარსობრივად ამ წერილში მრავალი რამ არის სოციალური საბაზრო ეკონომიკისთვის ნიშანდობლივი

(განსაკუთრებით კონკურენციის უპირატესობა მკვეთრად განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში). ეკონომიკის სხვა სისტემებთან შედარებით, სოციალური საბაზრო ეკონომიკის სისტემა ეფუძნება ქრისტეანულ მორალს, რაც მისი ჰუმანური ბუნების უზრუნველ-საყოფად ქმნის ნათლად გამოკვეთილ ეთიკურ ბაზისს, ეს კი სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონტექსტში უზრუნველყოფს თავისუფალ სივრცეს ქრისტეანული თანაცხოვრებისთვის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქრისტეანული იდეალებისაგან დამოუკიდებლად სოციალური საბაზრო ეკონომიკა ასევე ემყარება მეტაფიზიკურად და ნორმატიულად განსაზღვრად საწყისს, რაც მის უკან მყოფ ფილოსოფიურ კონცეპტზე მიანიშნებს.

ფრაიბურგის სკოლის მოსაზრებები, რომლებიც ვალტერ ოიკენისა და ფრანც ბიომის მიერ 1930-იან წლებში იქნა წარმოდგენილი, დღემდე ითვლება ცენტრალურ თეორიულ საფუძვლად სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისთვის(Klump, Reiner, 1997, S.129-160).[9] ფრაიბურგის სკოლის კონცეფცია ეკონომიკური თეორიის ისტორიაში ორდოლიბერა-ლიზმის (Der Ordoliberalismus) აღმნიშვნელია. სწორედ ასევე, ლიბერალიზმის სხვა სახეობათაგან, განსაკუთრებით კი ანგლოსაქსურისაგან განსხვავებით, ორდოლიბერალები თავისუფლების ნაცვლად უპირატესობას წესრიგს ანიჭებენ. განსაკუთრებით ვალტერ ოიკენს მიაჩნდა, რომ მისი თეორია შესაბამისობაში მოდიოდა ბუნებისა და ადამიანის წესრიგის ფორმებთან(Goldschmidt, Nils, 2002.).[10] მსგავსი ნაციონალურ-ეკონომოკური მეცნიერების პროგრამა, რომელსაც სურს იყოს უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ საქონელმოძრაობის მექანიზმი, ოიკენისათვის ის ეხება ჭეშმარიტებას, რომლის შინაგან წვდომას იგი ჭეშმარიტების ფენომენოლოგიური დაკვირვების გზით ასაბუთებს. შესაბამისად, სასურველი საზოგადოებრივი წესრიგი დავალებულია <ჭეშმარიტების მეუფებისგან>; თავისუფლების განვითარება კი შესაძლებელია მხოლოდ მსგავსი წესრიგის ჩარჩოებში.

სამართლებრივი წესრიგის საჭიროება, როგორც წინაპირობა ინდივიდუალური თავისუფლებისათვის საზოგადოებასა და ეკონომიკაში, გაცხადებულია ორდოლიბერალებისა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის მხარდამჭერ სხვა მოაზროვნეთა მიერ ჩარჩო-წესრიგის იდეაში (<თამაშის წესები> საზოგადო-ებისათვის). მიზანია, პრინციპებით ნაწარმოები ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც იდეალური კონკურენციის წარმოდგენებთან არის თანხვედრაში. ამ მიზნისათვის ოიკენი თავის ეკონომიკური პოლიტიკის შრომებში აყალიბებს ე.წ. კონსტიტუტიურ და მარეგულირებელ პრინციპებს, რომელთა ინსტიტუციო-ნალური და სამართლებრივი უზრუნველყოფის პირობებში გარანტირებულია ქმედითი და პატიოსანი კონკურენცია(Eucken, Walter, 1952, 2004.).[11] ოიკენისთვის, კონსტიტუტიური ნიშნავს სრული კონკურენციის ქმედით ფასთა სისტემას, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიმატს, ეკონომიკური პოლიტიკის მდგრადობას,ღია ბაზრებს,ხელშეკრულების თავისუფლებას, პასუხისმეგებლობასა და კერძო საკუთრებას. ოიკენისვე მიხედვით, კონკურენციული წესრიგის რეგულირებისა და ფუნქციონირებისათვის არსებობს შემოსავლის პოლიტიკა (პროგრესული საგადასახადო სისტემა), ეკონომიკური ანგარიშიანობა (გარე ეფექტების ჩართვა), ზომები ანომალიური მიწოდების ქცევის მიმართ (განსაკუთრებით შრომის ბაზარზე) და უწინარესად მონოპოლიათა ეფექტური კონტროლის აუცილებელი პრინციპები(Bluemle, Gerold/Goldschmidt, Nils, 2003, S. 1539-1543.).[12]

სოციალური საბაზრო ეკონომოკის შესახებ მიმდინარე დღევანდელი სამეცნიერო დებატები მნიშვნელოვანია შემდეგი სამი თვალსაზრისით:

პირველი: სოციალური საბაზრო ეკონომიკის დღევანდელი თეორეტიკოსების აზრით თანამედროვე პლურალისტურ და ფართოდ სეკულარიზირებულ საზოგადოებაში, მეტად აღარ შეიძლება ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის (რელიგიურ-)მეტაფიზიკური დასაბუთება. ეკონომიკური და სოციალური

არანჟემენტის დასაბუთება არც (რელიგიურ-)მეტაფიზიკურად შეიძლება, არც ეკონომიკურ ეფექტიანობასა და საერთო საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მხოლოდ მისი პოზიტიური გავლენის მიხედვით განსჯაა შესაძლებელი, არამედ, ის თავის ლეგიტიმაციას იძენს უწინარესად იმით, რომ სათანადო საზოგადოებრივი წესრიგის ინსტიტუციონალური ფორმირება, ე.ი. ჩარჩო-წესრიგი, შესაბამისად, - საზოგადოების წესები შეესაბამება ყველა ინდივიდის და არა მხოლოდ ცალკეულისა თუ განსაზღვრული ჯგუფის ინტერესს. მაშასადამე,აქ უმნიშვნელოვანესია თანხმობის უნარის კრიტერიუმი: მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის წესები თითოეულისთვის მისაღებია და თანხვედრაშია მათ ინტერესებთან და მათ ამ უკანასკნელთა მხრიდან პრინციპული თანხმობა გააჩნიათ, არიან ლეგიტიმური თანამედროვე წესრიგის ეკონომიკის პერსპექტივით და აქვთ კარგი შანსი დემოკრატიის პირობებში ნამდვილად იქნან რეალიზებულნი.

მეორე: ეკონომიკისა და მისი საკუთარი ლოგიკის სისტემური გაგების ფონზე, ანონიმურ და არა პერსონალურ ურთიერთობებზე დამყარებულ საზოგადოებას ძალუძს ეკონომიკური და სოციალური წესრიგის ნორმატიული მოლოდინები და მათი რეალიზება უზრუნველყოს არა ცალკეულ ინდივიდთა სწორი ქცევებით, არამედ მხოლოდ შესაბამის ნორმატიულ ფორმათა სამართლებრივი განმტკიცებით. ფრაიბურგის სკოლის იდეათა ანალოგიურად, რომ ქმედითი კონკურენციული წესრიგი მხოლოდ შესაბამისი <თამაშის წესებით> არის გარანტირებული, ასევე ღირებულია სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკური საფუძვლებისათვის, რომლებსაც მართებთ ჩარჩო-წესრიგამდე მისასვლელის პოვნა: <<საბაზრო ეკონომიკაში მორალის სისტემური ადგილი არის ჩარჩო-წესრიგი>>.(Homann, Karl/Blome-Drees, Franz, 1992, S.35)[13] მაშინ საზოგადოების <<მორალი>> ჩნდება მეტად არა ცალკეულის სათნოებაში, არამედ სამართლებრივად გამყარებულ ნორმატიულ სტრუქტურებში, რომლებიც

სამართლიანობის აღსრულებას უზრუნველყოფენ. სამართლიანობის მოთხოვნები, რომლებიც ცივილიზებული საზოგადოებისაკენ არის მიმართული, უნდა იყოს პოლიტიკურად სასურველი და ასახული სამართლებრივ წესებში. მხოლოდ ამის შემდეგ იარსებებს იმის შანსი, რომ ყოველი ცალკეულის ნორმატიულად დასაბუთებული ინტერესი საკმარისად იქნას პრაქტიკაში გათვალისწინებული და რეალიზებული.

მესამე: თუმცა თანხმობის უნარის კრიტერიუმი ხსნისს ახალ ლეგიტიმურ ბაზისს სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციისთვის და ასევე შესაძლებელია, რომ საბაზრო ეკონომიკის ჩარჩო-წესრიგის ეთიკის იდეით მიღებულ იქნას ფუნქციონალურად დასაბუთებული განსაზღვრული ნორმატიული უფლებამოსილება; მაგრამ გაურკვეველი რჩება ის, თუ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოთხოვნის რომელ ფორმაში უნდა ხდებოდეს შინაარსობრივი შევსება. ამისთვის შეიძლება ინკლუზიის კონცეფტი იქნას გამოყენებული.(Bude, Heinz, 2008.)[14]

საბაზრო-ეკონომიკური სისტემის საკუთარი შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარეობს ის, რომ ბაზრის სისტემა ინდივიდუალურ ინტერესებს მხოლოდ იმდენად ითვალისწინებს, რამდენადაც ისინი სისტემის ლოგიკისთვისაა (მოგების მიღება) მისაღები. გარდა ამისა, გამოცდილება აჩვენებს, რომ საზოგადოების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზრის სისტემიდან გამოირიცხება. თანხმობის პრინციპის გამოყენებით კი მისაღებია, რომ საზოგადოების წევრები ინფორმირებულნი იყვნენ იმის თაობაზე, რომ მათ ყველა წევრს საკუთარი შესაბამისი უნარების ფარგლებში ექნებათ პრინციპულად თანაბარი უფლება და თანასწორი შანსი შესაძლებლობების რეალიზებისთვის. მაშასადამე, აღნიშნული საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იყოს ამავე საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. ეგზისტენციალური სიდუხჭირისაგან გათავისუფლების, განათლების მიღებისა და თვითგამორკვევის შესაძლებლობათა გარდა, ეს ასევე ნიშნავს ადამიანთათვის

შესაძლებლობების მიცემას, მათი ინდივიდუალური უნარების განვითარებისთვის.(Fuchs-Goldschmidt, Inga/Goldschmidt, Nils, 2010, S.62-76)[15]

ალექსანდერ რიუსტოვი ამ მოსაზრებათა თაობაზე მსჯელობს >Vitalpolitik<-ის ტერმინით, რაც ეხება საზოგადოებრივი სტრუქტურების ფორმირებით ადამიანთათვის ღირსეული ცხოვრების მიცემის შესაძლებლობებს. ის წერს: >>ვიტალურია ის, რაც <vita humana>-ს, რაც ადამიანის სიცოცხლეს, რაც ადამიანის ღირსეულ ცხოვრებას უწყობს ხელს. ჩვენი ნეოლიბერალური შეხედულება არის ის, რომ ეს სასიცოცხლო პოლიტიკა,ეს პოლიტიკა,რომელიც ბაზრის ასპექტს ეხება [იგულისხმება ეკონომიკის წესრიგი] ნამდვილად უდიდესი მნიშვნელობის მქონეა, მაშინ როდესაც ბაზარი მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა.<<(Alexander Rüstow, 1961, S.68.)[16]

არცთუ შორეულ წარსულში წარმოებულ დისკუსიებში ამარტია სენის(Amartya Sen, 2000)[17] შანსების რეალიზების კონცეფტმა განსაკუთრებით არსებითი როლი ითამაშა საზოგადოებრივი მონაწილეობისა და ჩართულობის პირობების საკითხის კვლავ ყურადღების ცენტრში, მათ შორის ეკონომიკის ფარგლებში მოქცევის თაობაზე.

რაც შეეხება დღევანდელ მოცემულობას, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკური საფუძვლების შესახებ მსჯელობისას ვაწყდებით ორგვარ პრობლემას. პირველი ეხება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მოდერნში და განსაკუთრებით საბაზრო პროცესების სისტემური საკუთარი შიდა ლოგიკის ფონზე, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ნორმატიული მოთხოვნა პირველრიგში მუდმივ პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს და სამართლებრივი ზომების გატარებით საჭიროებს შესაბამისი ჩარჩო-წესრიგის მზრუნველობასა და შემდგომ განვითარებას. რისთვისაც აუცილებელია, რომ ისტორიულ და კულტურულ ხდომილებათა ფონზე გულდასმით ხდებოდეს რეალური პოლიტიკური პროცესების გაანალიზება. მეორე კი ეხება სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში თითოელი მოქალაქის

საკუთარი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებულ პრობლემას. ამასთან დაკავშირებით, გასულ წლებში, მეცნიერულ დისკუსიებსა და ეკონომიკურ პრაქტიკაში გაჩნდა სხვადასხვა ახალი ინიციატივები და იდეები, რაც დღეს საკუთარ ადგილს იკავებს სათნოების ეთიკაში და განიხილება სოციალური საბაზრო ეკონომიკის შემავსებელ კონცეფტად.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა იყენებს სოციალური გადანაწილების ეფექტურ ბერკეტს იმ იარების მოსაშუშებლად, რომელსაც ბაზარი და კონკურენცია აჩენს. ე.ი. სოციალურ პოლიტიკას გარკვეული შესწორებები შეაქვს ბაზრის ფუნქციონირებაში. ამგვარი მიდგომა გვთავაზობს შემდეგს: სოციალური საბაზრო ეკონომიკა ეთიკურ საფუძვლებზე დაყრდნობით უნდა გაუმჯობესდეს და გახდეს სრულყოფილი. ეთიკა ითხოვს არა ნაკლებ, არამედ მეტ და უკეთეს ბაზარს, რომლის მიღწევისთვის ოიკენისვე სიტყვები რომ მოვიშველიოთ <<სახელმწიფოს ეკონომიკური მოღვაწეობა მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური წესრიგის სახის ფორმირებაზე და არა ეკონომიკური პროცესების მართვაზე>>(იხ.[11], გვ.336).

§ 5.3 სოციალურიდან ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკისკენ

მიზანშეწონილი იქნება, თუ ეკონომიკის ეთიკის კონტექსტში განვიხილავთ ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის საგანს, რადგან სოციალური საბაზრო ეკონომიკის და შემდეგ, ასევე ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის უფრო ახალი კონცეფცია, ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს ისეთ კონცეპტებს(ცნებებს), რომლებიც ეხებოდა და ეხება საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების მიზანმიმართულ კორექტირებას და რაც შესაძლოა ეკონომიკურ-ეთიკური ინსპირაციით (შთაგონებით) აღინიშნებოდეს/ხასიათდებოდეს (და

გამოირჩეოდეს). ამასთან, რთულია ეკონომიკის ეთიკის კონტექსტში, ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის საგნის ირგვლივ მსჯელობა, რადგან როგორც სოციალური საბაზრო ეკონომიკის, ისე შემდგომ განვრცობილი ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის შემთხვევაში, საქმე გვაქვს კონკრეტულ პოლიტიკურ კონცეფციებთან, რომლებიც გენერირებულია(წარმოშობილია) უფრო მეტად სოციალურ-პოლიტიკური დებატების, ვიდრე თეორიული(სამეცნიერო) დებატების შედეგად.

ორივე შემთხვევაში, შეიძლება მოტანილ იქნას რეპრეზენტატიული (წარმომადგენლობითი) ტექსტები, რომლებიც ამას ამტკიცებს: კონრად ადენაუერის მთავრობის ეკონომიკის მინისტრისა და მოგვიანებით (მცირე ხნით) ასევე ბუნდესკანცლერის ლუდვიგ ერჰარდის მიერ წამოყენებული იქნა სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია (Erhard/Müller-Armack 1972) [18], ხოლო პირველი პროგრამული სამეცნიერო შრომები ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის შესახებ ეკუთვნის ლუტც ვიკეს (იმ დროს, არამარტო გარემოსდაცვითი ბუნდესამთის[ფედერალური სააგენტოს] ეკონომიკური განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელს[სამეცნიერო დირექტორი], არამედ აქტიურ CDU პოლიტიკოსს, ისევე როგორც ლოტარ დე მეზიერს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მისისტრთა საბჭოს ბოლო თავჯდომარე) და მის ძმას, ტომას დე მეზიერს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი) (Wicke/de Maiziere/de Maiziere, 1990).[19] 1992 წელს, გაეროს გარემოსა და განვითარების კონფერენციის კონტექსტში გამოცემული იქნა წიგნი ,,კურსის ცვლილება. გლობალური ბიზნესის პერსპექტივები განვითარებისთვის და გარემოსთვის.“(Schmidheiny 1992)[20] ბოლო დროს, ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას დაწვრილებით ეხება რადემახერი, რომლის თანახმად, არსებული მოცემულობის გათვალისწინებით უნდა იცვლებოდეს პოლიტიკური ჩარჩო-პირობებიც.(Rademacher 2002)[21] რამდენადაც შესაძლებელია ერთიან კონცეფციაზე საუბარი, ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის იდეა ემყარება იმ მტკიცე რწმენას, რომ იგი

მარეგულირებელი/მართვის (პოლიტიკის) საშუალებით შეძლებს თანამედროვე ეკონომიკური საზოგადოებების ბნელ მხარეთა შეკავებას და დაძლევას. ამისათვის, პირველ რიგში გამოყენებული უნდა იქნას ბაზარზე დაფუძნებული ინსტრუმენტები (ანუ, მასთან შესაბამისობაში მყოფი ინსტრუმენტები), როგორიცაა,- გადასახადები, (საბაჟო) მოსაკრებლები, ფინანსური ინიციატივები და სავაჭრო ლიცენზიები. სისრული-სათვის, აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ 1994 წლიდან არსებობს ეკოლოგიურ-სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორუმი (თავდაპირველად დაარსდა, როგორც ეკოლოგიური საგადასახადო რეფორმის ხელშემწყობი/ მხარდამჭერი ასოციაცია FOES, www.foes.de), რომელიც ასევე შეიძლება უფრო მეტად ხასიათდებოდეს (როგორც თეორიულად, ისე პოლიტიკურად ჰეტეროგენული) პრაქტიკული ჩარევით.

XX საუკუნე აღინიშნა მძაფრი/ცხარე პოლიტიკური და თეორიული დისკუსიებით/დებატებით კაპიტალისტური ეკონომიკის ლეგიტიმურობისა და მომავლის შესახებ. კარლ მარქსის პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკით(Marx, 1967) ინსპირირებული, მთელ მსოფლიოში, ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში არსებობდა სოციალისტური და კომუნისტური მშრომელთა(მუშათა და გლეხთა) მოძრაობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული კაპიტალისტური საზოგადოების დაძლევა. ამასთანავე, კარლ მარქსს არავითარ შემთხვევაში არ გამოუგონია ,,კაპიტალიზმის“ ცნება. თუმცა მისმა პოპულარიზაციამ სოციალისტურ-კომუნისტურ კავშირებში(კონტექსტებში) 1945 წლის შემდეგ ევროპასა და განსაკუთრებით (ყველაზე ექსტრემალურად) გერმანიის დასავლურ ზონებში (ე.ი. 1949 წლიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში) განაპირობა ის, რომ აღნიშნული ცნება გახდა ტაბუდადებული.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა(დაწვრილებით იხ.

Goldschmidt/Wohlgemuth 2004; 2008) იყო დასავლეთ ევროპის ძალების უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური პასუხი 1929 წლის დიდი დეპრესიის შედეგად გამოწვეული სოციალურ ცვლილებებზე, რამაც გამოიწვია მასობრივი გაღატაკების პროცესები ასევე გერმანიაში, და რამაც, საბოლოო ანგარიშით ბიძგი მისცა ნაციონალისტური დიქტატურის გამარჯვებისთვის მომზადებას. გარდა ამისა, ეს იყო რეაქცია ინდუსტრიისა და ეკონომიკის პოლიტიკურ გავლენაზე, რამაც, მათი მხარდაჭერით შესაძლებელი გახადა ჰიტლერის რეჟიმი, და რაც გამოიხატა ლოზუნგით "კაპიტალიზმი მიგვიძღვის ფაშიზმისკენ". ლუდვიგ ერჰარდს, ისევე როგორც ალფრედ მიულერ-არმაკს, ფრანც ბიომს, ვალტერ ოიკენს, ვილჰემ რიოპკეს და სხვებს სურდათ, რომ ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კატასტროფიდან მიეღოთ სწორი გაკვეთილები და დამოუკიდებელი საბაზრო-ეკონომიკური მექანიზმების რისკის შემცირება მოეხდინათ სოციალურად ორიენტირებული ჩარჩოწესრიგის(ე.ი. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის) საფუძველზე.

ანალოგიურად, პოლიტიკურად ინსპირირებული ჩარევა ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის, ასახავს საბაზრო-ეკონომიკურ და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ფუნდამენტურ საკითხს. ამდენად, 1980-იანი წლების დასაწყისსა და შუაში, ეკოლოგიის სახელით სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკების (და იმ დროს ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა ტიპის ეკონომიკის) ინდუსტრიული აბერაციების (გადახრების/ ცთომილებების) შესახებ კრიტიკა.(Strasser/Traube 1981)[22] ამასთანავე, რეტროსპექციული კუთხით აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკის ეკოლოგიური განახლებისაკენ მოწოდებამ

შედეგად არა მხოლოდ მწვანეთა პარტიების დაარსება გამოიწვია, არამედ პირდაპირ არსებულ პოლიტიკურ ბანაკებში შეაღწია. აქტიური ავსტირელი პოლიტიკოსი, ვიცე-კანცლერი იოზეფ რიგლერი(Riegler 1997)[23] ,,ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ ცნების ერთ-ერთ ნათლიად შეიძლება იქნას მიჩნეული.

ჰეტეროგენული კომბინაცია(გაერთიანება), რასაც ზემოთ აღნიშნული მოდელი განასახიერებს, პოლიტიკური თვალსაზრისით შეიძლება არა მხოლოდ მოსაწონი (და მიმზიდველი), არამედ ხელსაყრელიც (და სასარგებლოც) კი იყოს (მაგალითად, სახელმწიფო დონეზე, ეკო-გადასახადებისა და გარემოსდაცვითი გადასახადების განხორციელების კუთხით).

თუმცა, თანამედროვე ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის კრიტიკულ რეფლექსიაში (ასახვაში), მეცნიერ-ეკონომისტებისთვის არსებობს შემდეგი მოსაზრება: მნიშვნელოვანია კრიტიკულად გაანალიზება იმისა, თუ რას შეიძლება შეიცავდეს სისტემური მექანიზმები, რომლებიც, შესაძლოა უგულვებელყოფდეს (და როგორც ჩანს უგულებელყოფს) სოციალურ ან / და ეკოლოგიურ მიზნებს ეკონომიკის აღსრულებაში და რომლებიც მინიმუმ უფრო გულდასმით უნდა იქნას განხილული. მთავარი საკითხია, რეალურად რამდენად არის ეკოლოგიური განახლების ფორმებისა და სოციალური ჩანერგვის ფორმულების (ცხოვრებაში) ტრანსპორტირების(გადატანის/გადმოტანის) შესაძლებლობა, თუ ეს მხოლოდ სასურველის სინამდვილედ მიღებაა და სხვა არაფერი.

ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა მოხდეს განსხვავება საბაზრო ფიქციასა(ფანტასტიკასა) და საბაზრო რეალობას შორის და აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკის ისტორიულ-

გენეტიკური ფენომენის კვლევა-ძიების წარმოება (ანალიზი) იმისათვის, რომ მიღწეული იქნას ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის ეკონომიკურ-ეთიკური საკმაოდ დამაკმაყოფილებელი რეფლექსია(ანარეკლი).

§ 5.4 ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ანუ <<ჰუმანური ეკონომიკა>>

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ყოველი მოძრაობების, მიმართულებებისა თუ მოსალოდნელი კრიზისების ფონზე, მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური კონსტელაცია, ეკონომომიკური პოლიტიკის ჭრილში განიხილება პოსტ-კაპიტალისტურ, პოსტ-სოციალისტურ ეკონომიკად, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ანუ <<ჰუმანური ეკონომიკა>> წარმოადგენს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხედვას(Ökosoziale Marktwirtschaft – Wikipedia, Http://de.)[24], სადაც საბაზრო ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები ქმნის <<სტარტეგიულ სამკუთხედს>>, რომელშიც საბაზრო ეკონომიკური ასპექტი გულისხმობს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის უზრუნველ-ყოფას; ინოვაციებისთვის და მეწარმეობისთვის სტიმულების შექმნას; ინვესტიციების გაფართოებას; ნორმატიული და ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებას, კეთილსინდისიერი კონკურენციის განსახორციელებლად გლობალურ მასშტაბში; საგადასახადო სისტემის მოდიფიცირებას <<ღირებულების მწარმოებელი ეკონომიკის>> სასარგებლოდ. სოციალური ასპექტი ნიშნავს სამართლიანი ურთიერთობის განხორციელებას

სახელმწიფო სოციალურ პოლიტიკასა და ინსტიტუციონალურ საზოგადოებრივ მომსახურებას შორის; კერძო ინსტიტუტების უფრო მეტად განვითარებასა და მხარდაჭერას, რათა მათ უკეთ შეეძლოთ ახალი სოციალური პრობლემებისთვის თავის გართმევა, სოციალურ სოლიდარობას გლობალურ დონეზე. ხოლო ეკოლოგიური ასპექტი გულისხმობს გარემოს დაცვასა და მის მდგრად განვითარებას, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების განადგურების ტენდენციის უწყვეტი შემცირების გზით; ეკოლოგიურ სიმართლეს ფასებთან და ხარჯებთან მიმართებაში; რეალურ ეკოლოგიურ გადასახადებსა და ეკოლოგიაზე ორიენტირებულ კანონებს; მკაცრ და ზუსტ დეკლარაციას საკვებ პროდუქტებზე(პროდუქტის წარმოშობის, წარმოების, ვარგისიანობის, გენური ინჟინერიის, ჰორმონების გამოყენებისა და სხვ. საკითხებს).(http://www.slideshare.net-21-7-2010)[25]

ამ სამკუთხედის სამივე მხარეს შორის წონასწორობის დაცვა და მისი შენარჩუნება წარმოადგენს პრიორიტეტულ ამოცანას. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ნიშნავს არა იდეალურ ჰარმონიას, არამედ მუდმივ ჭიდილს სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური ძალების განსხვავებულ ინტერესთა შორის რაციონალური ბალანსისათვის. შესაბამისად, იგი მოითხოვს მკვეთრი პოლიტიკის გატარებას ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე. საჭიროა ძლიერი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობა, სამართლიანი თამაშის წესების შექმნა და უზრუნველყოფა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის პირობებში, სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტების შექმნა და ტრანსპარენტულობის განხორციელება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თანამედროვეობის უმთავრესი საკითხია თუ საბაზრო ეკონომიკის რომელი ტიპი არის უფრო ეფექტური ეკონომიკური წარმატების, სოციალური სამართლიანობისა და ეკოლოგიური მდგრადობის კუთხით?(ORDO: 2000, S. 169-202)[26] დღეს უმეტეს ქვეყნებში მიმდინარეობს მსჯელობა ნეო-ლიბერალური და ნეო-

კონსერვატული საბაზრო ეკონომიკების ირგვლივ. ამ ორ ალტერნატივას შორის იმყოფება სოციალური და ეკოლოგიური საბაზრო ეკონომიკა, ღია და ფლექსიბლური სისტემა, რომელშიც თითოეული ქვეყნის სპეციფიურ გარემოებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია კორექტივების შეტანა. სწორედ ამიტომ, ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკურ სისტემათა სკალაზე არის არა ფიქსირებული წერტილი, არამედ - ამპლიტუდა, რომელსაც ძალუძს განსაკუთრებული საჭიროებებისა და გარემოებების მიხედვით მოძრაობა (მაგ., როცა უმუშევრობის დონე იზრდება, სახელმწიფო ან მისი დასაქმების სააგენტო უნდა გააქტიურდეს).(D. W. Benecke. www.kas.de/wf/doc/Kas1857-1522-1-30_pdf)[27] თავისუფალ ბაზრებს თავად არ შეუძლიათ, ან არ არიან დაინტერესებულნი გარემოს დაცვით, ამიტომ ხელისუფლების მოქმედება წარმოადგენს აუცილებლობას. უმაღლესი სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტების შექმნა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მიიჩნევა როგორც სასიცოცხლოდ მნიშნელოვანი ნაბიჯი მსოფლიო მშვიდობისათვის მომავალში.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა აღნიშნავს უკეთესი სამყაროს კაპიტალისტურ ხედვას, სადაც ადამიანები თანხმობაში არიან ბუნებასთან და ეკონომიკასთან, რომელშიც არსებობს პოსტციკლური მსოფლიო ეკონომიკა, რომელიც მტკიცედ ფართოვდება და მეტად აღარ სცნობს საფონდო ბაზრების ჩამოშლასა თუ საბირჟო კრახს. იგი მიისწრაფვის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ-სოციალური ჰარმონიის პირობებში კაცობრიობის მშვიდობიანი და უსაფრთხო თანაცხოვრებისაკენ.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია მიმართულია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დაბალანსებისაკენ, ესწრაფვის სოციალურ სამართლიანობას, ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივ გამოყენებასა და დაცვას. ის წარმოადგენს ჰოლისტიკურ მოდელს, დაფუძნებულს ძლიერ და ინოვაციურ საბაზრო ეკონომიკაზე. მისთვის უალტერნატივოდ

პრიორიტეტულია ეკონომიკურ ქმედებათა სასიცოცხლოდ აუცილებელი კრიტერიუმები: სოციალური სამართლიანობა და მეტი პასუხისმგებლობა ბუნებრივი საყოფაცხოვრებო გარემოსათვის(იოზეფ რიგლერი).(http://www.seri.at)[28]

ეკო-კაპიტალიზმის ქვაკუთხედია რესურსების პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლება, რომლის ეფექტიან გამოყენებას გააჩნია სამი მთავარი უპირატესობა: იგი ღირებულების შექმნისას ანელებს რესურსების გამოლევას; ამცირებს დაბინძურების მასშტაბებს; და უზრუნველყოფს რაციონალური შრომის საფუძვლების გლობალურ გავრცელებას.

ჩვენი ეკონომიკური და სოციალური სისტემა თავისი ამჟამინდელი ფორმით დამოკიდებულია რაოდენობრივ ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება და რესურსების დეფიციტის გადიდება სვამს კითხვას იმის თაობაზე, თუ როგორ უზრუნველყოთ კეთილდღეობა ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე ხანგრძლივი დროით. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის პროგრამა აქცენტს აკეთებს არა უბრალოდ რაოდენობრივ, არამედ უფრო მეტად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რაც ნიშნავს როგორც ხარისხობრივ ზრდას, ისე ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. მისი მოწოდება ,,ცხოვრების უკეთესი ხარისხი ყველასათვის - დღეს და ხვალ“ აღნიშნავს: ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, რომელიც მოიცავს უსაფრთხოებას, ჯანდაცვას, საზოგადოებრივ სოლიდარობას, განათლებას, ეკონომიკას, დასაქმებასა და ბუნებრივ გარემოს ერთი მხრივ, და ადამიანის სუბიექტურ კეთილდღეობას, - მეორე მხრივ.

ბუნებრივი რესურსების გამოყენება და მთელი ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების საფუძველს, მაგრამ მათმა ექსპლუატაციამ შეიძინა იმგვარი მასშტაბები, რომ შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარება თანამედროვე პირობებში საფრთხის ქვეშაა. გამოცდილების თანახმად, ეკონომიკური ზრდა იწვევს რესურსების მოხმარების ზრდას. მიუხედავად შესამჩნევი პროგრესისა, მიღწეული

რესურსების გამოყენების ეფექტიანობის სახით (ე.ი. რესურსების გამოყენების ეფექტიანობა პროდუქციის ერთეულზე) წარსულში, როგორც ჩანს ძნელად სარწმუნოს ხდის იმ მოსაზრებას, რომ რესურსების გამოყენების აბსოლუტური შემცირება შესაძლებელია მიღწეულ იქნას რაოდენობრივი ზრდის პარალელურად. ამიტომ, ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის ამოსავალი წერტილი არის იმგვარი ეკონომიკური ზრდის გააზრება, რომელიც ნაცვლად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის რაოდენობრივი მაჩვენებლებისა, მიმართულია ხარისხობრივი გაუმჯობესებისკენ. ხარისხობრივმა ზრდამ უნდა შეცვალოს რესურსების ინტენსიურ გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა, რომელსაც ჩვენ უკანასკნელ ათწლეულებში განვიცდით. ეს კი მოითხოვს მდგრადი განვითარების ყველა ასპექტის - ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და კულტურული საფუძვლების პრეზერვაციას(დაცვას). ამგვარად, ბუნებრივი რესურსების ფრთხილი, რაცინალური მოხმარება წარმოადგენს აუცილებელ პირობას საზოგადოებათა კეთილდღეობისა და აყვავებისთვის.

მომავალს გააჩნია თავისი შუქ-ჩრდილები, რაც გამოიხატება კლიმატის მკვეთრ ცვლილებაში, რესურსების უყაირათოდ ფლანგვაში, ბიომრავალფეროვნების შემცირებაში, დესერთიფიკაციასა (გაუდაბნოება) და ა.შ., რომელიც უშუალოდ გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ეკოლოგიური კოლაფსი, ჩვენ პრინციპულად უნდა შევცვალოთ ჩვენი მიდგომა ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან მიმართებაში. უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს რესურსებისა და ენერგიის გამოყენების მკვეთრი შემცირება ერთ სულ მოსახლეზე მაღალი მოხმარების ქვეყნებში. ეს არის ერთადერთი გზა მათი მოხმარების სამართლიანი, გლობალური განაწილების მისაღწევად. ამავე დროს, სოციალური პრობლემები, როგორიცაა სიღარიბე, ხდება კიდევ უფრო მკვეთრი და ქონებრივი დიფერენციაცია მდიდრებსა და ღარიბებს შორის იზრდება მთელ

მსოფლიოში. ერთადერთი გონივრული გამოსავალი ამ მძიმე მდგომარეობიდან არის ეკო-სოციალური ცვლილებების ეფექტი, რისი მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა მსოფლიოს მოსახლეობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური საჭიროებებისა და მოთხოვნების მორიგების გზით. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა განსაზღვრავს აუცილებელ ჩარჩო-მოთხოვნებს, რომლის გათვალისწინებითაც ეკონომიკას შეუძლია მყარად ფუნქციონირება.

ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული, განსახორციელებელი ღონისძიებების გარდა, ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ასევე ფოკუსირდება ფისკალური პოლიტიკის ირგვლივ. ეკო-კაპიტალიზმი გვთავაზობს ახალ საგადასახადო და სუბსიდიის რადიკალურ სისტემას. ეკო-სოციალური რეფორმები აუცილებელია ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობის განსამტკიცებლად. მათი რეალიზება ხელს შეუწყობს დასაქმების, რესურსებისა და ენერგიის ეფექტიანი გამოყენების პრობლემების გადაწყვეტას, რის წინაპირობასაც საგადასახადო სისტემის გამარტივება წარმოადგენს. ფისკალური რეფორმის ძირითადი იდეა მდგომარეობს საგადასახადო ტვირთის ნეიტრალური შემოსავლებიდან და სოციალურად მისაღები, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომიდან, ეკოლოგიურად მავნე საქმიანობაზე გადანაცვლებაში. აუცილებელია კონტრპოდუქტიული სუბსიდიებისა და საგადასახადო შეღავათების შემცირება ენერგიისა და რესურსების მოხმარებისთვის, ისევე როგორც გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადების გაზრდა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შრომითი გადასახადების (საშემოსავლო გადასახადისა და სოციალური უზრუნველყოფის ანარიცხების) დაწევა დაბალ და საშუალო შემოსავლიან მოქალაქეთათვის. ამგვარი შემცირებებით შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ დასაქმების პრობლემის მნიშნელოვნად გამოსწორება და ეკონომიკური უპირატესობის მიღწევა, არამედ - უპირატესობის მოპოვებაც ბაზარზე. ამდენად, ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი შეიძლება გააზრებული იქნას კაპიტალისა და შრომის სინთეზის

გაგრძელებად, სადაც გარემოს დაცვის საკითხი ხდება ბაზრის ინსტრუმენტის ნაწილი.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული. მას კორექტივები შეაქვს იქ, სადაც ბაზრის ძალებს არ ძალუძთ მყარი შედეგების ჩვენება. იგი მიმართულია ეკონომიკას, სოციალურ საკითხებსა და ეკოლოგიას შორის არსებულ სამართლიან წონასწორობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ის აყალიბებს ალტერნატიულ საბაზრო ფუნდამენტალიზმს.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ერთიან მოდელს, რომელშიც წარმოების მართვა ეფუძნება როგორც სოციალურ სამართლიანობას, ისე ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას. მას სწამს საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების, სადაც ბაზრის ძალები მიჩნეულია განვითარების ძირითად და მამოძრავებელ ძალებად. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა აღიარებს საარსებო გარემოსა და სოციალური მდგომარეობის ხარისხს, როგორც თითოეული ჩვენთაგანის კეთილდღეობის ფუნდამენტალურ დიმენსიებს. იგი ფოკუსირდება ეკოლოგიურად თავსებად წარმოების პროცესებზე და მიაჩნია, რომ გარემოს დაცვა და სოციალური სამართლიანობა წარმოადგენს აუცილებელ კრიტერიუ-მებს ეკონომიკური საქმიანობისათვის. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ნიშნავს ფიქრსა და მოქმედებას ეროვნული საზღვრების მიღმა, გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების სფეროებში. მას თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო მოსახლეობის მდგრად და შეუქცევად განვითარებაში. მაღალი სოციალური და საგანმანათ-ლებლო სტანდარტები გავლენას ახდენს დემოგრაფიულ განვითარებაზე. მისი პრიორიტეტია პარტნიორების მოძიება განვითარებად ქვეყნებში და განვითარებად ბაზრებზე. ინვესტიციები მათ სოციალურ სტრუქტურებში საძირკველს უყრის მათსავე გარემოსა და ეკონომიკის მშვიდობიან თანაარსებობას მომავალში.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა მსოფლიო მასშტაბით საჭიროებს შეჯერებულ გლობალურ წესებს. მისი იმპლემენტაცია რეგიონალურ დონეზე შეზღუდულია კონკურენციით გამოწვეული შესაძლო

დამახინჯებებისაგან. მისი რეალიზაციისთვის აუცილებელია ფართო საერთაშორისო კონსენსუსის მიღწევა. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის მდგრადი განვითარება ასევე ითხოვს, რომ ეროვნულ, ეკოლოგიურ, სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ ასპექტებს დაეთმოს იმგვარივე ყურადღება, როგორიც ეკონომიკურ ასპექტს. იგი ეფუძნება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, კერძო სექტორის ინიციატივებს. სოციალური და ეკოლოგიური საბაზრო ეკონომიკის მიზანს წარმოადგენს ეკო-სისტემის შენარჩუნება, სოციალური სამართლიანობა, პატიოსანი კონკურენცია, ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკური წესრიგის ღია კონცეფცია, რომელიც ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ განვითარებას. იგი იძლევა კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის დიალოგის შესაძლებლობას, ყველა მხარის ინტერესთა შეჯერების მისაღწევად. ის ქმნის სოციალურ-ეკონომიკურ წესრიგს, რომელიც აისახება საზოგადოების ფასეულობებსა და კულტურულ თავისებურებებში. მოცემულ სისტემაში სახელმწიფოს გააჩნია მაკორექტირებელი და მარეგულირებელი ფუნქციები. შეიძლება ითქვას, რომ ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ნაყოფიერი ალტერნატივა ცენტრალიზებული დაგეგმარების ეკონომიკასა და ლიბერალურ ეკონომიკას შორის.(http://www.nbinepal.org.np/adetail.php?id=25)[29]

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა სამეწარმეო თავისუფლების წყალობით ქმნის ეკონომიკურ სიმდიდრეს და ამ სიმდიდრის გადანაწილებაში იძლევა მონაწილეობისა და სოცილური სამართლიანობის მიღწევის შესაძლებლობას. მას გააჩნია ეფექტური ინსტრუმენტები გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად. ეკო-სოციალური საბაზრო ინსტრუმენტები გამოყენებული უნდა იქნას იმგვარად, რომ შეესაბამე-ბოდეს მოცემული ქვეყნის პირობებს, საერთაშორისო განვითარების მოთხოვნების გათვალისწინებით. თუმცა, ოპტიმალური შედეგების მიზანს ეკო-სოციალური

საბაზრო ეკონომიკა ვერასოდეს სრულყოფს, მიუხედავდ ამისა, ის საკმარისად მოქნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს შეუქცევადი პროგრესი და ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა, რომლებიც გარდაუვლად წარმოიქმნება დროდადრო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბაზრო ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების სინთეზი აყალიბებს ალტერნატიულ საბაზრო ფუნდამენტალიზმს და რომლის საფუძველია ინოვაციური საბაზრო ეკონომიკა სოციალური სამართლიანობითა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობით. სადაც სოციალური წონასწორობა წარმოადგენს სოცილური კონსენსუსის, ხოლო ეკოლოგიური მდგრადობა - ცივილიზაციის გადარჩენის წინაპირობას.

ჰუმანური ეკონომიკა არ არის ოცნება. იგი უკვე ყველგანაა. ის არსებობს თეორიულად და პრაქტიკულად, თუმცა მის ჩრდილში მოქცევას განაპირობებს ის ეკონომიკური მოდელები და მიდგომები, რომლებიც დომინირებენ მედიასა და უნივერსიტეტებში. ჰუმანური ეკონომიკის, როგორც მორალური და პოლიტიკური პროექტის მიზანს წარმოადგენს ახალი ინსტიტუციონა-ლური სინთეზის შექმნა და დანერგვა პრაქტიკაში, რათა ყოველთვის არსებობდეს ღია წარმოდგენები უკეთესი მომავლის მსოფლიოს მიმართ.

ბოლოთქმა

შრომის ბაზრის რეფორმირების მიღმა, რაც ითვალისწინებს შრომის პირობების გაუმჯობესებას, მათ შორის, სამუშაო საათების შემცირებას და დაცვითი მექანიზმების ამოქმედებას ქალებისთვის და ახალგაზრდობისთვის, ასევე შემოსავლის უზრუნველ-ყოფას მშრომელთათვის ცალკეულ კრიზისულ სიტუაციებში (სოციალური დაზღვევა) (Christian Kissling, 1993, S.274), დღეს გერმანია საჭიროებს სოციალური და ეკონომიკური სისტემის ყოვლისმომცველი და მდგრადი წესრიგის პოლიტიკის (მარეგულირებელ) რევიტალი-ზებას. საბოლოო ჯამში, საუბარია სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელის 21-ე საუკუნის შესაფერისად გარდაქმნაზე. ამ განახლებამ უნდა გაითვალისწინოს შეცვლილი გარემო-პირობები, მომსახურებისა და ტელე-საკომუნიკაციო საზოგადოების განვითარება, ისევე როგორც გლობალიზაცია. მნიშვნელოვანია გლობალიზაციისა და ტექნიკური სტრუქტურული ცვლილებების შანსების ათვისება. სოციალური საბაზრო ეკონომიკა კვლავ უნდა იქნას გაგებული, როგორც ღია და ლიბერალური შესაძლებლობების მქონე სისტემა. ამ მხრივ, საჭიროა ახალი ბალანსი, ერთი მხრივ, თავისუფლებასა და პიროვნულ პასუხისმგებლობას შორის, ხოლო მეორე მხრივ სოლიდარობასა და კოლექტიურ პრინციპს შორის.

სახელმწიფოს უმთავრესი და უპირატესი პასუხისმგებლობა ეკისრება ნორმატიულ-სამართლე-ბრივი ბაზის(მარეგულირებელი ჩარჩო-პირობების) შემუშავებაში, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კონკურენციას, კერძო სექტორის ჩართულობასა და ეკონომიკურ დინამიზმს. ეს მოიცავს მთავრობის მოვალეობების შემცირებას სუბსიდიების/სუბვენციების შემცირებასთან და სახელმწიფო ვალის შეზღუდვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ბიუროკრატია, ჭარბი რეგულირება და ნებართვის მიღების ხანგრძლივი პროცედურები, დაძლეული უნდა იქნას დერეგულირების შეტევით.

პრიორიტეტულ მიზნად უნდა დარჩეს საერთო

საგადასახადო ტვირთის შემცირება. ამასთან, დაუყოვნებლივ გასატარებელია გადასახადების გადამხდელთა ტვირთის შემსუბუქების საგადასახადო პოლიტიკა(რაც უნდა ითვალისწინებდეს დეგრესიის საგადასახადო მეთოდის[გადასახადით პროპორციული დაბეგვრა - უფრო მცირე შემოსავალზე დაბეგვრის პროცენტის შემცირებით] კომპლექსურ პრაქტიკირებას.). გადასახადების რადიკალური შემცირება საგადასახადო ბაზის(Die Bemessungsgrundlage) გაბედული გაფართოებით უზრუნველყოფს საკმარისი შესაძლებლობების მიღებას, აშკარა, მკვეთრი [საგადასახადო ტვირთის] შემსუბუქების(Die Nettoentlastung) მისაღწევად, რითაც შესაძლებელი გახდება ეკონომიკური ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, კაპიტალის შენარჩუნება და დამატებითი მოზიდვა ქვეყანაში, აგრეთვე (შრომითი)მოტივაცია-ვალდებულებისა(Die Leistungsbereitschaft) და საგადასახადო მორალის გაძლიერება.

გერმანიას მომავალში მოუწვეს ინტენსიურ საერთაშორისო კონკურენციაში ჩაბმა. ტექნოლოგიური ცვლილებები და პროგრესირებადი დიგიტალიზაცია (ციფრული ტექნოლოგიები) დღეს უკვე აწყდება სერიოზულ პრობლემებს და დგება მთავარი გამოწვევების წინაშე. ამ ქვეყანამ, განახლებადი ენერგიების მიმართულებით, პრაქტიკულად უნდა განახორციელოს ენერგო რევოლცია ენერგო სისტემების ტრანსფორმაციის მიმართულებით, რაც არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც ჰერკულესული ამოცანაა. ენერგეტიკის სისტემის ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესის შესაბამისობაში მოყვანით საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან, ხელი ეწყობა ეკონომიკის ინოვაციურობასა და კონკურენტ-უნარიანობას, რაც უზრუნველყოფს კიდეც კეთილდეღეობასა(სიმდიდრესა) და სამუშაო ადგილებს ქვეყანაში.

დემოგრაფიული ცვლილებები იძენს შეუქცევადი ხასიათის ფორმას და ქვეყნის წინაშე აყენებს სამომავლო ამოცანებს: 2035 წელს, მოსახლეობის დაახლოებით 25%

იქნება 67 წელზე უფროსი, დღეს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 20 პროცენტია. ეს არის ფუნდამენტური გამოწვევა შრომის ბაზრის, ჯანმრთელობის დაცვისა და საპენსიო სისტემის, კომპანიებისა და საჯარო სექტორისთვის. გერმანიის წარმატების ერთ – ერთი მთავარი ფაქტორი - ინოვაციური სიძლიერე - საფრთხის წინაშეა, როდესაც სულ უფრო ნაკლები ადამიანი მუშაობს და ამავე დროს, სულ უფრო მეტ ასაკოვან ადამიანზე ჩნდება საზრუნავი. არსებობს დაღმავალი სპირალის საფრთხე, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს გერმანიის ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა. თუმცა არსებობს წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობაც: ფლექსიბლური(მოქნილი) შრომითი ბაზრის, განათლებისა და გადამზადების საშუალებების შექმნითა და ბავშვებზე უფრო და უფრო მეტი ზრუნვით. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ყველასათვის გაიხსნას დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციურ კადრზე ,,შიმშილის“ პრობლემის მოგვარებას.

როგორ შეიძლება დაბერებადი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მოსახლეობის კლებადი მშრომელი(აქტიური) ნაწილის დაცვის პარალელურად? რა უნდა გაკეთდეს, ღია ბაზრებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველ-საყოფად იმ დროს, როდესაც პროტექციონიზმი დაბრუნდა მოდაში? აგრეთვე რა ჩარჩო-პირობებია საჭირო, ბაზრებთან თავისუფალი წვდომისა და ამით კონკურენციის გარანტირებისთვის ციფრულ სივრცეში? ამ კითხვებზე სათანადო პასუხების გაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურენტულ და სამართლიან გერმანიაში წაყრუების ნაცვლად, გათვალისწინებული იქნება თანამედროვეობის აქტუალური გამოწვევები.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა გვაძლევს პასუხს ჩვენი დროის კითხვებზე. სავაჭრო ბარიერების გარეშე, ღია საზღვრები ქმნის კეთილდღეობას ყველასთვის, როგორც გერმანიაში, ისე დანარჩენ მსოფლიოში. თანამედროვე

კონკურენციული კანონმდებლობა(Das Wettbewerbsrecht იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რითაც წარმოებს კონკურენციული ბრძოლის რეგულირება) გვთავაზობს დიგიტალიზაციის გამოწვევების პასუხებს. სოციალური პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია პირად პასუხისმგებლობაზე და არა სახელმწიფო რჩევებზე (პატერნალიზმზე), თაობათა შორის ქმნის სამართლიანობას სოციალური უზრუნველყოფის სფეროში(სოციალურ დაცვაში). ამასთან, მიღწევადია მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება წარმატებული საბაზრო ეკონომიკური რეფორმების გამოცდილებით. ამ გზით, შესაძლებელია ახალი შანსების გაჩენა გერმანიისთვის, ევროპისა და მსოფლიოსთვის, თუ ადგილი ექნა სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისადმი ერთგულებას.

საჭირო რეფორმების გაბედულად განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკა პერსპექტივაში იყოს ყოვლისმომცველი და მდგრადი. შედეგად, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას უჩნდება შანსი, რომ 21-ე საუკუნეშიც დარჩეს როგორც დომინანტური სოციალური და ეკონომიკური მოდელი - ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

ლიტერატურა:

ლიტერატურა(შესავალი):

1). Peters, Hans-Rudolf: Wirtschaftspolitik. Oldenbourg Wissenschaftsverlag, 2000.

2). Mierzejewski, Alfred C.: 1957: Ludwig Erhard's Annus Terribilis. Essays in Economic and Business History. 2004, Band 22.; Martin Greiffenhagen, Sylvia Greiffenhagen (Hrsg.): Handwörterbuch zur politischen Kultur der Bundesrepublik Deutschland. 2. Auflage. Westdeutscher Verlag, 2002. Gerhard Willke: Kapitalismus. Campus Verlag.

3). Spangenberger, Michael (Hrsg.): Rheinischer Kapitalismus und seine Quellen in der Katholischen Soziallehre. Aschendorff, Münster 2011.

4). Shionoya, Yuichi: The German historical school: the historical and ethical approach to economics. Routledge, 2001.

5). Abelshauser, Werner: The dynamics of German industry: Germany's path toward the new economy and the American challenge. Band 6 von Making sense of history. Berghahn Books, 2005.

6). Willke, Gerhard: Kapitalismus. Campus Verlag, Frankfurt/Main, 2006.

7). Giersch, Herbert: Die offene Gesellschaft und ihre Wirtschaft. Murmann Verlag, Hamburg 2006.

8). Schmidt, Manfred G.: Das politische System Deutschlands: Institutionen, Willensbildung und Politikfelder (= Beck'sche Reihe. Band 1721). C.H. Beck, München 2007. შდრ. ასევე Thomas Meyer: Theorie der Sozialen Demokratie. 2006.

9). Thalemann, Gero: Die Soziale Marktwirtschaft der Bundesrepublik Deutschland – ein realisiertes Konzept? Analyse von Genesis, theoretischem Gehalt und praktischer Verwirklichung. disserta Verlag, Hamburg 2011.

ლიტერატურა:

თავი 1.

1). Nonhoff, Martin: Politischer Diskurs und Hegemonie: Das Projekt „Soziale Marktwirtschaft“ [16 Absätze]. Forum Qualitative Sozialforschung, 2006, 8(2), Art. 22, http://nbn-resolving.de/urn:nbn:de:0114-fqs0702225.

2).Jähnichen,Traugott/Blum, Hella: Eng verbunden: Sozialer Protestantismus und Soziale Marktwirtschaft. In: evangelisch.de, 25. Januar 2011. online (Mementovom 17. Februar 2013 im Webarchiv archive.is)

3). Laitenberger, Volkhard: Ludwig Erhard – Persönlichkeit und Geschichte. Muster-Schmidt-Verlag, 1986, S. 16 ff. ; Werner Kruck: Franz Oppenheimer – Vordenker der Sozialen Marktwirtschaft und Selbsthilfegesellschaft. Arno Spitz Verlag, Berlin 1997, S. 183.; Vgl. auch Gabler Verlag (Hrsg.): Gabler Wirtschaftslexikon. Stichwort: „Soziale Marktwirtschaft“ (online); Kritisch Volker Hentschel: Ludwig Erhard. Olzog, 1996, S. 17.; Vgl. auch die Gegenüberstellung bei Werner Abelshauser: Freiheitlicher Sozialismus oder soziale Marktwirtschaft: Die Gutachtertagung über Grundfragen der Wirtschaftsplanung und Wirtschaftslenkung am 21. und 22. Juni 1946. [Vierteljahrshefte für Zeitgeschichte. 24. Jg., H. 4 (Oktober 1976), S. 415–449 (PDF)].

4). Müller-Armack, Alfred: Wirtschaftsordnung und Wirtschaftspolitik. Bern, 1976.

5). Homann, Karl/Blome-Drees, Franz: Wirtschafts- und Unternehmensethik, Tübingen, 1992.

6). Böhm, Franz: Demokratie und ökonomische Macht. In: Böhm, F. (Hrsg.): Kartelle und Monopole im moderne Recht, Karlsruhe, 1961.

7). Tuchtfeldt, Egon: Soziale Marktwirtschaft und Globalsteuerung. In: Stützel, W.u.a. (Hrsg.): Grundtexte zur Sozialen Marktwirtschaft, Stuttgart-New York, 1994.

8). Hoppmann, Erich: Blindheit ist noch der geringste Vorwurf. In: Frakfurter Allgemeine Zeitung vom 6. November 1993

9). Erhard, Ludwig: Zehn Thesen zur Verteidigung der Kartellverbotsgesetzgebung. In: Hohmann, K (Hrsg.): Ludwig Erhard. Gedanken aus fünf Jahrzenten, Düsseldorf u.a., 1988b.

10). Erhard, Ludwig: Wirtschaft und Bildung. In: Hohmann, K. (Hrsg.): Ludwig Erhard. Gedanken aus fünf Jahrzenten, Düsseldorf u.a., 1988a.

11). Erhard, Ludwig: Selbstverantwortliche Vorsorge für die sozialen Lebensrisiken. In: Hohmann, K. (Hrsg.): Ludwig Erhard. Gedanken aus fünf Jahrzenten, Düsseldorf u.a., 1988e.

12). Eucken, Walter: Die soziale Frage. In: Salin, E. (Hrsg.): Synopsis, Heidelberg, 1948.

13). Homann, Karl: Verfall der Moral ? In: Wirtschaftswoche 38 vom 12 September 1996.

14). Erhard, Ludwig: Bestimmungsgründe des deutschen Lebensstandards. In: Hohmann, K. (Hrsg.): Ludwig Erhard. Gedanken aus fünf Jahrzenten, Düsseldorf u.a., 1988c.

15). Erhard, Ludwig: Ludwig Erhard antwortet Otto A. Friedrich. In: Hohmann, K. (Hrsg.): Ludwig Erhard. Gedanken aus fünf Jahrzenten, Düsseldorf u.a., 1988d.

ლიტერატურა:
თავი 2.

1) Schlecht, Otto: Bewährungsprobe für die Soziale Marktwirtschaft in Europa. In: Ludwig-Erhard-Stiftung (Hrsg.): Orientierung zur Wirtschafts- und Gesellschaftspolitik, Ausg. 59 (1/1994), Marburg, März 1994.

2) Müller-Armack, Alfred.: Genealogie der Sozialen Marktwirtschaft, Bern-Stuttgart, 1974.

3) Schlecht, Otto: Grundlagen und Perspektiven der Sozialen Marktwirtschaft, Vol. 27 In: Untersuchungen zur Ordnungstheorie und Ordnungspolitik. Mohr Siebeck Verlag, Tübingen 1990.

4) Eucken, Walter: Grundsätze der Wirtschaftspolitik. Bonn, Tübingen 1952.

5) Eucken , Walter: Grundsätze der Wirtschaftspolitik. 4 Auflage, Tübingen 1952/1968.

6) Badura, Peter: Wirtschaftsverfassung und Wirtschaftsverwaltung, Frankfurt/Main. 1972.

7) Lampert, Heinz: Die Wirtschafts- und Sozialordnung der Bundesrepublik Deutschland, München, 11 Auflage, 1992.

8) Europäische Kommission: Europäische Sozialpolitik. Ein Zukunftsweisender Weg für die Union, Weißbuch, Luxemburg. 1994a.

9) Deutscher Bundestag, Berlin, 1992/93.

10) Müller-Armack, Alfred: Wirtschaftsordnung und Wirtschaftspolitik. Bern 1976.

11) Ludwig, Erhard (1948-1988), Der Weg in der Zukunft, Rede vom 21 April 1948. In: Karl Hohmann(Hg.), Ludwig Erhard: Gedanken aus fünf Jahrzenten, Reden und Schriften, Düsseldorf, Wien und New York 1988, S. 95-115
Erhard 1988h, 110.

12) Röpke, Wilhelm: Jenseits von Angebot und Nachfrage, Bern-Stuttgart, 1979.

ლიტერატურა:
თავი 3.

1). Gerken, Lüder (Hrsg.): Walter Eucken und sein Werk: Rückblick auf den Vordenker der sozialen Marktwirtschaft. Mohr Siebeck, Tübingen 2000.; Nils Goldschmidt: Soziale Marktwirtschaft: Was Erhard wirklich wollte. In: fr-online.de (Hrsg.): Was Erhard wirklich wollte.

2). Schlecht, Otto: Grundlagen und Perspektiven der Sozialen Marktwirtschaft, Vol. 27 In: Untersuchungen zur Ordnungstheorie und Ordnungspolitik. Mohr Siebeck Verlag, Tübingen 1990.

3). Eucken, Walter: Die Grundlagen der Nationalökonomie. 9 unveränderte Auflage, Springer-Verlag , Berlin-Heidelberg, 1940/1989.

4). Körner, Heiko: Wurzeln der Sozialen Marktwirtschaft. In: Michael von Hauff (Hrsg.): Die Zukunftsfähigkeit der Sozialen Marktwirtschaft. Metropolis-Verlag, Marburg 2007.

5). Peters, Hans-Rudolf: Wirtschaftspolitik. 3., vollst. überarb. und erw. Auflage. Oldenbourg, München 2000.

6). Gerken, Lüder/Renner, Andreas: Die ordnungspolitische Konzeption Walter Euckens. In: Lüder Gerken (Hrsg.): Walter Eucken und sein Werk: Rückblick auf den Vordenker der sozialen Marktwirtschaft. Mohr Siebeck, Tübingen 2000.

7). Lachmann,Werner: Volkswirtschaftslehre 2: Anwendungen. Springer-Verlag, Berlin/Heidelberg 1995.

8). Pies, Ingo: Ordnungspolitik in der Demokratie. Ein ökonomomischer Ansatz diskursiver. Mohr Siebeck, Tübingen 2000.

9). Thalemann, Gero: Die Soziale Marktwirtschaft der Bundesrepublik Deutschland – ein realisiertes Konzept?: Analyse von Genesis, theoretischem Gehalt und praktischer Verwirklichung. Dissertation. 2011.

10). Krüsselberg, Hans-Günther: Humanvermögen in der Sozialen Marktwirtschaft.In: Werner Klein, Spiridon Paraskewopoulos, Helmut Winter: Soziale Marktwirtschaft. Ein Modell für Europa. 1. Auflage. Duncker & Humblot, 1994 , S. 39 ასევე, Ralf Ptak: Vom Ordoliberalismus zur Sozialen Marktwirtschaft: Stationen des Neoliberalismus in Deutschland. 1. Auflage. VS Verlag, 2003, S. 199 ასევე, Jan Hegner, Alexander Rüstow: Ordnungspolitische Konzeption und Einfluß auf das wirtschaftspolitische Leitbild der Nachkriegszeit in der Bundesrepublik Deutschland. Lucius und Lucius Verlagsgesellschaft, Stuttgart 2000, S. 43.

11). Krüsselberg, Hans-Günther: Humanvermögen in der Sozialen Marktwirtschaft in: Werner Klein, Spiridon Paraskewopoulos, Helmut Winter: Soziale Marktwirtschaft. Ein Modell für Europa. 1. Auflage. Duncker & Humblot, 1994.

12).Ulrich, Peter: Marktwirtschaft als Rechtszusammenhang. Die Perspektive der integrativen Wirtschaftsethik. In: ARSP: Wirtschaftsethik und Recht. Franz Steiner Verlag, Stuttgart 2001.

13). Quaas, Friedrun: Soziale Marktwirtschaft. Wirklichkeit und Verfremdung eines Konzepts. Verlag Paul Haupt, Bern-Stuttgart-Wien 2000.

14). Berndt, Arnold/Goldschmidt, Nils: Wettbewerb als Aufgabe. Leonhard Mikschs Beitrag zur Ordnungstheorie und –politik. In: ORDO. Jahrbuch für die Ordnung von Wirtschaft und Gesellschaft, 51, 2000.

15). Fuhrmann, Uwe: Die Entstehung der „Sozialen Marktwirtschaft“ 1948/49. Eine historische Dispositivanalyse. UVK Verlagsgesellschaft, Konstanz und München 2017.

16). Ambrosius, Gerold: Die Durchsetzung der Sozialen

Marktwirtschaft in Westdeutschland 1945–1949. Deutsche Verlags-Anstalt, Stuttgart 1977.

17). Mierzejewski, Alfred C.: Ludwig Erhard: der Wegbereiter der Sozialen Marktwirtschaft. Siedler, München 2005.

18). Erhard, Ludwig, Wolfram Langer, Wolfram(Bearb.): Wohlstand für alle. Econ, Düsseldorf 1957.

19). Reichel, Richard: Soziale Marktwirtschaft, Sozialstaat und liberale Wirtschaftsordnung. In: Gesellschaft für kritische Philosophie Nürnberg (Hrsg.): Zeitschrift für freies Denken und humanistische Philosophie. Sonderheft 2 (1988) S. 83–92. Online: Soziale Marktwirtschaft, Sozialstaat und liberale Wirtschaftsordnung (PDF; 43 kB), S. 7.

20). Habermann, Gerd : Müssen Utopien sozialistisch sein? In: ORDO, Jahrbuch für die Ordnung von Wirtschaft und Gesellschaft. Lucius & Lucius, Stuttgart 2004, Band 55, S. 114.

21). Kutzenberger, Gerhard: Mitbestimmung der Aktionäre. Duncker & Humblot, 1964.

22). Leisering, Lutz: Der deutsche Nachkriegssozialstaat – Entfaltung und Krise eines zentristischen Sozialmodells. In: Hans-Peter Schwarz (Hrsg.): Die Bundesrepublik Deutschland: eine Bilanz nach 60 Jahren. Böhlau, Köln/ Weimar 2008.

23). Pätzold, Jürgen: Soziale Marktwirtschaft: Konzeption - Entwicklung - Zukunftsaufgabe. 6., überarb. Auflage, Verlag Wiss. und Praxis, Ludwigsburg 1994, Abgerufen am 19. April 2009.

24). Allgemeine Kölnische Rundschau. 27./28 Dezember. ციტირებულია გეორგ შტოტცელის, მარტნინ ვენგელერის(Georg Stötzel, Martin Wengeler) მიხედვით: Kontroverse Begriffe: Geschichte des öffentlichen Sprachgebrauchs in der Bundesrepublik Deutschland. de Gruyter, Berlin 1995.

25). ციტირებულია მიულერ-ლისტის(Gabriele Müller-List) მიხედვით: Müller-List, Gabriele (Bearb.): Montanmitbestimmung. Das Gesetz über die Mitbestimmung der Arbeitnehmer in den Aufsichtsräten und Vorständen der Unternehmen des Bergbaus und der Eisen und Stahl erzeugenden Industrie vom 21. Mai 1951. Droste, Düsseldorf 1984.

26). Biedenkopf, Kurt H.: Ludwig Erhards Ringen um eine politische Gesamtordnung. In: Karl Hohmann: Grundtexte zur Sozialen Marktwirtschaft. Band 2: Das Soziale in der Sozialen Marktwirtschaft. 1. Auflage. Gustav Fischer, 1988.

27). Reichel, Richard: Soziale Marktwirtschaft, Sozialstaat und liberale Wirtschaftsordnung. In: Gesellschaft für kritische Philosophie Nürnberg (Hrsg.): Zeitschrift für freies Denken und humanistische Philosophie. Sonderheft 2 (1988) S. 83–92 (PDF, S. 9), abgerufen am 19. April 2009.

28). Butterwege, Christoph/Lösch, Bettina/Ptak, Ralph: Neoliberalismus. 1. Auflage. 2008.

29). Müller-Armack, Alfred: Stil und Ordnung der Sozialen Marktwirtschaft" (1952). In: Alfred Müller-Armack: Wirtschaftsordnung und Wirtschaftspolitik. Studien und Konzepte zur Sozialen Marktwirtschaft und zur Europäischen Integration. Rombach. Freiburg i.B. 1966.

30). Müller-Armack, Alfred: Soziale Marktwirtschaft. In: Erwin von Beckerath, Hermann Bente, Carl Brinkmann u. a. (Hrsg.): Handwörterbuch der Sozialwissenschaften: Zugleich Neuauflage des Handwörterbuch der Staatswissenschaften. Fischer, Stuttgart 1956 (Band 9), S. 390.

31). Laitenberger, Volkhard/Pursch, Günter : Soziale Marktwirtschaft: Bilanz und Perspektive. Bundeszentrale für Politische Bildung, 1989.

32). Karl Georg Zinn: Soziale Marktwirtschaft. Idee, Entwicklung und Politik der bundesdeutschen Wirtschaftsordnung, S. 25 (PDF; 364 kB).

33). შდრ. Schmid, Buhr, Roth u. Steffen: Wirtschaftspolitik für Politologen. UTB, 2006, S. 159–162.

34). ციტირებულია გასელი/აპოლტეს(Cassel/Apolte) მიხედვით: Cassel, Dieter/Apolte, Thomas (Hrsg.): 50 Jahre

soziale Marktwirtschaft: ordnungstheoretische Grundlagen, Realisierungsprobleme und Zukunftsperspektiven einer wirtschaftspolitischen Konzeption. Lucius und Lucius, Stuttgart 1998.

35). Pies, Ingo: Ordnungspolitik in der Demokratie: ein ökonomischer Ansatz diskursiver Politikberatung. Mohr Siebeck, Tübingen 2000, S. 74. აგრეთვე შდრ. Hans-Rudolf Peters: Wirtschaftspolitik. 3., vollst. überarb. und erw. Auflage. Oldenbourg, München 2000, S. 165.

36). ციტირებულია ვიუნშეს(Wünsche) მიხედვით: Horst-Friedrich Wünsche: Die Verwirklichung der Sozialen Marktwirtschaft nach dem Zweiten Weltkrieg und ihr Verfall in den sechziger und siebziger Jahren. In: Schlecht, Otto/Stoltenberg, Gerhard: Soziale Marktwirtschaft. Grundlagen, Entwicklungslinien, Perspektiven. Hrsg. im Auftrag der Konrad-Adenauer-Stiftung und der Ludwig-Erhard-Stiftung. Herder, Freiburg 2001, S. 102 f.

37). Hockerts, Hans Günter: Der deutsche Sozialstaat: Entfaltung und Gefährdung seit 1945. Vandenhoeck & Ruprecht, 2011.

38). Föste, Wilga: Grundwerte in der Ordnungskonzeption der Sozialen Marktwirtschaft. 2006.

ლიტერატურა:

თავი 4.

1). Abelshauser, Werner: Deutsche Wirtschaftsgeschichte. Von 1945 bis zur Gegenwart. München 2011, S. 70 f.

2). Löffler, Bernhard: Soziale Marktwirtschaft und administrative Praxis. Frantz Steiner Verlag, 2002, S.95.

3). Pätzold, Jürgen: Soziale Marktwirtschaft: Konzeption – Entwicklung – Zukunftsaufgaben. 6., überab. Auflage, Verlag Wiss. und Praxis, Ludvigsburg 1994.

4). Müller-Jentsch, Walther: Arbeit und Bürgerstatus: Studien zur sozialen und industriellen Demokratie. VS Verlag, Wiesbaden 2008, S. 196.

5). Altmann, Georg: Aktive Arbeitsmarktpolitik: Entstehung und Wirkung eines Reformkonzepts in der Bundesrepublik Deutschland. Franz Steiner Verlag, 2004, S. 194.

6). Diez, Willi: Die internationale Wettbewerbsfähigkeit der deutschen Automobilindustrie: Herausforderungen und Perspektiven. Oldenbourg Verlag, 2012, S. 77

7). Leaman, Jeremy: The Political Economy of Germany Under Chancellors Kohl and Schröder. Berghahn Books, 2009, S. 33

8). Osswalt, Walter: Offene Fragen zur Rezeption der Freiburger Schule. In: Nils Goldschmidt, Michael Wohlgemuth: Grundtexte zur Freiburger Tradition der Ordnungsökonomik. Mohr Siebeck, Tübingen 2008, S. 131 f.

9). Nicholls, Anthony: The Other Germany – The Neo-Liberals. In: Roger Bullen: Ideas into Politics: Aspects of European History, 1880–1950. Barnes & Noble books, 1984, S.

174.; Abelshauser, Werner: Deutsche Wirtschaftsgeschichte. Von 1945 bis zur Gegenwart. München 2011, S. 191.

10). Kutzenberger, Gerhard: Mitbestimmung der Aktionäre. Duncker & Humblot, 1964, S. 46.

11). Habermann, Gerd: Müssen Utopien sozialistisch sein? In: ORDO, Jahrbuch für die Ordnung von Wirtschaft und Gesellschaft. Lucius & Lucius, Stuttgart 2004, Band 55, S. 114.

12). Leisering, Lutz: Der deutsche Nachkriegssozialstaat – Entfaltung und Krise eines zentristischen Sozialmodells. In: Hans-Peter Schwarz (Hrsg.): Die Bundesrepublik Deutschland: eine Bilanz nach 60 Jahren. Böhlau, Köln/ Weimar 2008, S. 425.

13). Hockerts, Hans Günter: Der deutsche Sozialstaat: Entfaltung und Gefährdung seit 1945. Vandenhoeck & Ruprecht, 2011, S. 12.

14). Gehler, Michael: Deutschland: von der Teilung zur Einigung, 1945 bis heute.Böhlau, Wien 2010, S. 109.

15). Brandt, Willy: Über den Tag hinaus. Hoffmann und Campe, 1974, S. 196.

16). Remke, Stefan: Gewerkschaften und Sozialgesetzgebung. Band 33 von Veröffentlichungen des Instituts für Soziale Bewegungen: Darstellungen. 2005, S.

17). Lessenich, Stephan : Dynamischer Immobilismus, Kontinuität und Wandel im deutschen Sozialmodell. Campus Verlag, 2003, S. 153, 154.

18). Bittner, Thomas: Das westeuropäische Wirtschaftswachstum nach dem Zweiten Weltkrieg. Lit-Verlag, 2001, S. 7.

19). Greiffenhagen, Martin: Handwörterbuch zur politischen

Kultur der Bundesrepublik Deutschland. Westdt. Verlag, Wiesbaden 2002, S. 556.

20). Mieder, Eckhard: Die Geschichte Deutschlands nach 1945. Campus, Frankfurt am Main 2002, S. 68

21). Lindlar, Ludger: Das Mißverstandene Wirtschaftswunder. 1. Auflage. Mohr Siebeck, 1997, S. 1.

22). Temin, Peter: The Golden Age of European growth: A review essay. In: European Review of Economic History. Band 1, Nr. 1, April 1997, S. 127–149

23). Spoerer, Mark: Wohlstand für alle? Soziale Marktwirtschaft. In: Thomas Hertfelder, Andreas Rödder: Modell Deutschland. Vandenhoeck & Ruprecht, 2007, S. 35.

24). Wehler, Hans-Ulrich: Deutsche Gesellschaftsgeschichte. Gesamtwerk: Deutsche Gesellschaftsgeschichte 1949–1990. Band 5, C.H. Beck, S. 51.

25). Persson, Karl Gunnar: An Economic History of Europe. Cambridge University Press, 2010, S. 110 ff.

26). Wagener, Hans-Jürgen: Die 101 wichtigsten Fragen – Konjunktur und Wirtschaftswachstum. C.H. Beck, 2010, S. 33.

27). Temin, Peter: The Golden Age of European growth reconsidered. In: European Review of Economic History. Band 6, Nr. 1, April 2002, S. 3–22.

28). Nützenadel, Alexander: Stunde der Ökonomen. Vandenhoeck & Ruprecht, 2011, S. 244, 245.

29). Löffler, Bernhard: Soziale Marktwirtschaft und administrative Praxis. 1. Auflage. 2003, S. 586.

30). Schlecht, Otto: Leitbild oder Alibi? Zur Rolle der

Konzeption der Sozialen Marktwirtschaft in der praktischen Wirtschaftspolitik. In: Dieter Cassel (Hrsg.): 50 Jahre Soziale Marktwirtschaft. Ordnungstheoretische Grundlagen, Realisierungsprobleme und Zukunftsperspektiven einer wirtschaftspolitischen Konzeption. Lucius & Lucius, Stuttgart 1998, S. 41.

31). Soltwedel, Rüdiger: Die Arbeitsmarktverfassung. In: Karl Hohmann: Grundtexte zur Sozialen Marktwirtschaft. Band 2 – Das Soziale in der Sozialen Marktwirtschaft. 1. Auflage. 1988.

32). Vertrag über die Schaffung einer Währungs-, Wirtschafts- und Sozialunion zwischen der Bundesrepublik Deutschland und der Deutschen Demokratischen Republik (Staatsvertrag) vom 18. Mai 1990, Kapitel 1, Artikel 1 Absatz 3 (Vertragstext).; Otto Schlecht: Grundlagen und Perspektiven der sozialen Marktwirtschaft. Mohr Siebeck 1990, S. 182 ff.

33). Abelshauser, Werner: Deutsche Wirtschaftsgeschichte. Von 1945 bis zur Gegenwart. München 2011, S. 506.; Wandlung des „Modells Deutschland“ zur „Shareholder-Gesellschaft“. Die „Deutschland AG“ im Prozess der Globalisierung/Internationalisierung. Gerhard Himmelmann, 7. Februar 2007 (PDF)

34). Paqué, Karl-Heinz: Hat die deutsche Einheit die Soziale Marktwirtschaft verändert? In: Werner Plumpe/Joachim Scholtyseck (Hrsg.): Der Staat und die Ordnung der Wirtschaft. Vom Kaiserreich bis zur Berliner Republik. Steiner, Stuttgart 2012, S. 203.

ლიტერატურა:
თავი 5.

1). Branahl, Matthias: Zum Verhältnis von sittlicher und ökonomischer Rationalität – aufgezeigt am Beispiel der Unternehmenskultur der Siemens AG, Köln 1991.

2). Homann, Karl: Die moralische Qualität der Marktwirtschaft. In: List-Forum für Wirtschafts- und Finanzpolitik 20, Heft 1, 1994, Baden-Baden 1994.

3). Müller-Armack, Alfred: Genealogie der Sozialen Marktwirtschaft. Frühschriften und weiterführende Konzepte. Haupt, Bern/Stuttgart 1974.

4). Hohmann, Karl (et al.): Grundtexte zur Sozialen Marktwirtschaft. Bd. 2, Das Soziale in der Sozialen Markwirtschaft. Suttgart/New York 1988.

5). Müller-Armack, Alfred: Wirtschaftsordnung und Wirtschaftspolitik. Bern 1976.

6). Erhard, Ludwig: Wolstand für alle. Düsseldorf, Wien 1957(2000).

7). Ordo 1, XI. De Gruyter Oldenbourg Verlag, Berlin, 1948

8). Röpke, Wilhelm: Jenseits von Angebot und Nachfrage, Bern-Stuttgart, 1944(1979).

9). Reiner, Klump: Wege der sozialer Marktwirtschaft – Die Entwicklung ordnungspolitischer Konzeptionen in Deutschland vor der Währungsreform. In: Erich Streissler (Hg.) Studien zur Entwicklung der ökonomischen Theorie XVI: Die Umsetzung wirtschaftspolitischer Grundkonzeptionen in die kontinentaleuropäische Praxis des 19. Und 20. Jahrhunderts, I. Teil, Duncker & Humblot, Berlin 1997, S.129-160.

10). Goldschmidt, Nils: Entstehung und Vermächtnis

ordoliberalen Denkens. Walter Eucken und die Notwendigkeit einer kulturellen Ökonomik. Münster 2002.

11). Eucken, Walter: Grundsätze der Wirtschaftspolitik. Bern, Tübingen. 1952. 7 Auflage, Mohr Siebek, Stuttgart 2004.

12). Bluemle, Gerold/Goldschmidt, Nils: "Walter Eucken und das ordoliberale Programm", WISU, Vol. 32, 2003, S. 1539-1543.

13). Homann, Karl/Blome-Drees, Franz: Wirtschafts- und Unternehmensethik, Tübingen, 1992, S.35

14). Bude, Heinz: Die Ausgeschlossenen. Das Ende vom Traum einer gerechten Gesellschaft. Hanser, München 2008.

15). Fuchs-Goldschmidt, Inga/Goldschmidt, Nils: Inklusion als Zielpunkt einer modernen Sozialpolitik. In: Zeitschrift für Wirtschaftspolitik 59, 2010, S.62-76.

16). Rüstow, Alexander: Paläoliberalismus, Kommunismus und Neuliberalismus. In: Greiß, F.-Meyer, F.W. (Hrsg.): Wirtschaft, Gesellschaft und Kultur. Festgabe für Alfred Müller-Armack, Berlin 1961, S.68.

17). Sen, Amartya: Freedom, Rationality, and Social Choice: The Arrow Lectures and Other Essays. Oxford: Oxford University Press. 2000

18). Erhard, Ludwig/Müller-Armack, Alfred: Soziale Marktwirtschaft. Ordnung der Zukunft. Frankfurt a.M. 1972

19). Wicke, Lutz/de Maiziere, Lothar/de Maiziere, Thomas: Öko-soziale Marktwirtschaft für Ost und West. Der Weg aus Wirtschafts- und Umweltkrise. München 1990.

20). Schmidheiny, Stephan: Changing Course: A Global Perspektive on Development and the Environment. Cambrige, MA: MIT Press: 1992

21). Rademacher, Farnz Josef: Balance oder Zerstörung: Ökosoziale Marktwirtschaft als Schlüssel zu einer weltweiten nachhaltigen Entwicklung. (August). Ökosoziales Forum Europa, Wien 2002

22). Strasser, J/Traube, K.: Die Zukunft des Fortschritts. Bonn 1981.

23). Riegler, Josef: Aufstand oder Aufbruch? : wohin gehen Europas Bauern? / hrsg. vom Ökosozialen Forum Österreich und vom Ökosozialen Forum Niederalteich. (Josef Riegler ... u.a.) 3. Aufl. Stocker Verlag, Graz, Stuttgart 1997.

24). Ökosoziale Marktwirtschaft – Wikipedia, Http://de.

25). http://www.slideshare.net-21-7-2010

26). ORDO: Jahrbuch für die Ordnung von Wirtschaft und Gesellschaft, Band 51, 2000, S. 169-202.

27). D. W. Benecke. www.kas.de/wf/doc/Kas1857-1522-1-30_pdf

28). http://www.seri.at

29). http://www.nbinepal.org.np/adetail.php?id=25

ლიტერატურა(ბოლოთქმა):

1). Kissling, Christian: Gemeinwohl und Gerechtigkeit (Ein Vergleich von traditioneller Naturrechtsethik und kritischer Gesellschaftstheorie). Paulusdruckerei Freiburg Schweiz, Verlag Herder, 1993, S. 274-275

განმარტებები:

1). Die Rheinanliegerstaaten : რაინზე მდებარე სახელმწიფოები, არიან 1831 წლის რაინის სანაოსნო ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მემკვიდრე სახელმწიფოები: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, ნიდერლანდების სამეფო, შვეიცარიის კონფედერაცია(Die Rheinanliegerstaaten sind die Nachfolgestaaten der Unterzeichner der Rheinschiffahrtsakte von 1831: Die Bundesrepulik Deutschland, Die Französische Republik Das Königreich der Niederland, Die Schweizerische Eidgenossenschaft.).

2). Gefangendilemmata : პატიმრების დილემატა (დილემა), - ფუნდამენტური პრობლემა თამაშთა თეორიაში, რომლის თანახმად აქტიორები ყოველთვის არ ითანამშრომლობენ ერთმანეთთან, მაშინაც კი, თუ ეს მათ ინტერესებშია.

3). Scarcity prices ანუ, die Knappheitspreise : მყარი ფასები დეფიციტის პირობებში.

4). Externe Effekte(ასევე Externalität) : გარეგანი/გარე ეფექტები ანუ ექსტერნალიები, ეკონომიკაში(ეკონომიკურ მეცნიერებაში) წარმოადგენს ეკონომიკური გადაწყვეტილებების არაკომპენსაციურ შედეგებს/ გამოვლინებებს გადაუჭრელ მხარეებზე/საკითხებზე, ანუ ისეთ ეფექტებზე, რომლებისთვისაც არავინ იხდის ან იღებს კომპენსაციას.

5). Mitbestimmung - მონაწილეობა სამეურეო საკითხების გადაწყვეტილების მიღებაში, მონაწილეობა მართვაში (Mitbestimmung/codetermination/worker participation).

6). Skaleneffekt/economies of scale, ანუ მასშტაბის ეფექტი/მასშტაბის ეკონომია არის ხარჯების უპირატესობა, რასაც იღებენ კომპანიები, როდესაც წარმოება ხდება ეფექტიანი.

7). Konditionenkartelle : პირობების/მდგომარეობის კარტელები წარმოადგენს საწარმოთა (ბიზნესის) შერწყმას, რომელთაც, § 2 GWB შესაბამისად გაჩნიათ ვაჭრობის, მიწოდებისა და გადახდის, მათ შორის ფასდაკლების საკითხების პირობათა ერთობლივი, კოორდინირებული გამოყენების ფორმა. მსგავსი კარტელების არსი მდგომარეობს, ყველა წევრისთვის შეთანხმებული პირობების ერთიან გამოყენებაში. ისინი მიეკუთვნებიან ცნობილ კარტელებს.

8). Rabattkartelle : ფასდაკლების კარტელები დასაშვებია § 3 GWB -ის შესაბამისად, რეგისტრაციით. ისინი წარმოადგენენ ფასდაკლების ბიზნეს-კომბინაციას საქონლის მიწოდებაზე, იმ პირობით, რომ ეს ფასდაკლება წარმოადგენს ნამდვილ მომსახურებას, და არ იწვევს სხვა ეკონომიკური დონის ან იმავე ეკონომიკური დონის მომხმარებელთა გაუმართლებლად განსხვავებულ მოპყრობას.

9). Strukturkrisenkartelle : სტრუქტურული კრიზისის კარტელები არის კარტელები, რომლებსაც კომპანიები ქმნიან ინდუსტრიის შიგნით რთული ეკონომიკური გარემოს ფაზაში. კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ გერმანიის ფედერაციული კანონმდებლობის თანახმად, ბუნდესკარტელამთმა შეძლო მოეხდიან ამგვარი კარტელების შექმნის სანქციონირება, რათა კომპანიებს შეძლებოდათ ადაპტირება მოთხოვნის მდგრად ცვლილებებთან მიმართებით. კარტელის წევრებს უნდა მიეღწიათ გეგმიური ადაპტაციისთვის მოთხოვნის პოტენციალთან(მოცულობა მოთხოვნასთან). შესაბამის ეკონომიკურ სექტორებში კონკურენციის პირობები გათავალისწინებული უნდა ყოფილიყო ხელშეკრულე-ბებში. მაგალითად, გერმანიაში, ამ რეგულაციით

დაზარალდნენ ფოლადის ინდუსტრია და გემთმშენებელი ქარხნები. რეგულაცია, რომელიც ადრე იყო გათვალისწინებული § 6 GWB-ით, 2005 წელს შეჩერდა § 7 GWB შესწორებით.

10). Exportkartelle : საექსპორტო კარტელები წარმოადგენს საწარმოთა შერწყმას. კანონმდებელი განასხვავებს მარტივ და კვალიფიციურ საექსპორტო კარტელებს § 6 GWB. მიუხედავად იმისა, რომ მარტივი საექსპორტო კარტელები, რომლებიც ემსახურება ექსპორტის უსაფრთხოებას და გაღრმავებას, ექვემდებარება მხოლოდ რეგისტრაციას, კვალიფიციური საექსპორტო კარტელებს, რომლებიც ასევე ვრცელდება შიდა ბაზარზე, გააჩნიათ ლიცენზიის ვალდებულება.

11). Rationalisierungskartelle : რაციონალიზაციის კარტელი არის კარტელი, რომელიც მონაწილე კომპანიების რაციონალიზაციაზე, ანუ ხარჯების დაზოგვაზე ორიენტირდება. ამის მაგალითია, რამდენიმე კომპანიის მიერ წრმოებული ერთობლივი შესყიდვა ან გაყიდვა.

12). Beveridge Model(System) : ბევერიჯის-მოდელი(სისტემა) ეს არის ჯანდაცვის სისტემა, რომელშიც მთავრობა უზრუნველყოფს მისი ყველა მოქალაქის სამედიცინო მომსახურებას, საშემოსავლო გადასახადის გადახდის(income tax payments) გზით. ეს მოდელი პირველად შეიქმნა უილიამ ბევერჯის მიერ გაერთიანებულ სამეფოში, 1948 წელს.

13). Flächentarifvertrag : კოლექტიური (სატარიფო) ხელშეკრულება/შეთახმება კონკრეტული ზონისთვის (სატარიფო არეალი) ან გარკვეული გეოგრაფიული ტერიტორიისთვის (მაგ., ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ან

ბადენ-ვიურტემბერგის მიწები). ის ყოველთვის ეხება ერთ ან მეტ დარგს (ლითონი, საცალო ვაჭრობა და ა.შ.); ამიტომ, ხშირად საუბრობენ დარგობრივი (ანუ, სექტორალური) კოლექტიური ხელშეკრულების/შეთანხმების თაობაზე.

14). Die Bekennende Kirche (BK) იყო ევანგელისტი ქრისტეანების ოპოზიციური მოძრაობა, გერმანიის ევანგელისტური ეკლესიის(DEK) სწავლებისა და ორგანიზაციის, ნაციონალ-სოციალიზმის გვერდში ამოყენების(გათანაბრების/გატოლების) მცდელობის წინააღმდეგ.

Vasil Khizanishvili

social market economy

(german model)

The monograph ,,social market economy (german model) presents the first individual research in Georgia about the essence and main point of german economic system. I think, that it must be interesting and important for the economic present and future prospects of our country.

The work is fulfilled at the University of Tübingen.

Major Editor:

Prof. Elguja Meqvabishvili (Tbilisi State University)

Honour Editor:

Prof. Hermann Lichtenberger (University of Tübingen)

Reviewer:

Prof. Loid Karchava (Georgian Technical University)

Vasil Khizanishvili, ,, Social Market Economy (german model)“, Publishing House ,,Loi“, Tbilisi 2020, PP. 130

ვასილ ხიზანიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. გერმანიის EKD-ის (2001-03, 2012) Gustav-Adolf-Werk e.V. (2010) და KAAD-ის (2015, 2017, 2020) სტიპენდიანტი. სამი სახელმძღვანელოს (,,ეთიკური ეკონომიკა“, ,,ბიზნესის ეთიკა“, ,,მსოფლიო რელიგიები და ეკონომიკა“) ავტორი.

Vasil Khizanishvili

Doctor of social sciences in economics. Invited Professor of Telavi State University. He was Germany scholarships holder of EKD (2001-2003, 2012), Gustav-Adolf-Werk e.V. (2010) and KAAD (2015, 2017, 2020). He is author of the three textbooks (,,Ethical Economics“, ,,Business Ethics“ ,,World Religions and Economics“).